


652/2
1986



საქართველოს
რესპუბლიკის
საქართველოს

ISSN 0134 3459

ქრონიკა



5132

4

1986





ჭოჩოხი

გ ა მ ო მ ც ე მ ი ნ ე

28-ე

წ ი ლ ი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტიზომოს მფინალთა კავშირისა და ახალის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

4

1986

ივლისი
ახვისთ.



ბ ა თ უ მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სიტყვა — ყრილობის დღეუბანს

ნათელა ფუტყარაძე — ახალ მოთ-
ხოვნათა შესაბამისად 3

სამხარეთველოს სანაოსნოს ალბით

ამირან თურქია — სამხრეთის პა-
რალელებზე (ნარკვევი დასას-
რული) 7

კოუმეზა, პრეზა

ლადო სეიდიშვილი — ლექსები 12

შოთა რთყვა — ელესა (რომანის
ფრაგმენტები) 16

ამირან ზაბაზი — ლექსები 27

მაია შიქვლაიშვილი — ლექსება 28

გიორგი ტოტონიავა — ჯერჯერობით
კი დაველოდოთ (მოთხრობა) 29

ნიკოლა ვაზცაროვი — გამოთხოვება
(ლექსი, თარგმან ვახტანგ ასულუდია-
ნა) 33

იმან ქემალი — მემედი ჩემი შევარდე-



ნი — (რომანის ერთი თავი. თარ-
გმნა იზრაიმ კორაძემ) 34

გიორგი ზომერეიკი — ლექსები 37

**რაც დავიწყებით არ
იბინდება**

იური იაკოვლევი — (მოთხრობა.
თარგმნა ტიტე ხინთიბიძემ) 40

ბორის შეტრეველი — ფიქრები მთი-
ბეთა ქოხში (პოემის ნაწყვეტე-
ბი) 51

შოთა ნიქარაძე — იმ დღეთა მოსა-
გონარი 55

კვალი ნათელი

დავით ნაცვალაძე — დიმიტრი
ერისთავი 59

სელმონება

ლადო შარაშიძე — „აჭარა ყოველ-
თვის მსიბღავდა“ 64

ენრიკო გოგაძე — ჰადლი ნიჭისა
წერილები 68

იური ზიბილეიშვილი — განმავი-
თარბეული სწავლების არსი 72

ლევან ანანიძე — ბავშვების საყუა-
რელი პოეტი 78

კრიტიკა და პიბლიოგრაფია

შოთა ქურიძე — საქმის კაცი, ანუ
ლევან ხიდაშელი როგორც ხასია-
თი (წერილი I) 80

აბელ სურგულაძე — საყურადღებო
ნაშრომი უძველეს წარსულზე 85

ნოდარ კახიძე, თეიმურაზ არუგბა —
წიგნი მოგვითხრობს აჭარაში
მცხოვრებ აფხაზებზე 88

მამია კომახიძე — „მე ასე ვფიქ-
რობ“ 91

მედუსა

ზურაბ ჩხიკვაძე — დაკარგული კვირ-
გვინი 92

გასულ ორ თვეში 93

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ზოთა ზორიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუჟაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაბიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 18.6.86, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 1.7.86, საგამომცე-
მლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 2071, ემ
01845, ქალაქი ზომა 60X90/16, ტი-
რაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოთ გაერ-
თიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательства, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ნათელა ფუტყარაძე

ახალ მოთხოვნათა შესაბამისად

მუახვევის რაიონის ოლღაურის კოლმეურნეობის წევრმა ნათელა ფუტყარაძემ პირველი დიდი აღიარება მაშინ მოიპოვა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის დებუტატად რომ აირჩიეს. მალე მის მკერდზე ხალხთა მეგობრობის ორდენი აკიაფდა, დაჯილდოებულია აგრეთვე საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

საქართველოს კომუნისტთა XXVII ყრილობაზე ნათელა ფუტყარაძე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს.

ნათელა ფუტყარაძის ბიოგრაფიის ყველაზე ნათელი ფურცელია სკკპ XXVII ყრილობის დელეგატობა.

რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე მართლაც რომ დიდი პატივი დამდეს, როდესაც სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს.

პარტიის XXVII ყრილობამ ქვეყნის სახალხო მეურნეობის შედგოში დაჩქარებული განვითარების პროგრამა განსაზღვრა. მე სოფლის მეურნეობის მუშაკი ვარ და ამ დარგის ამოცანებზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

„წინსვლა იგრძნობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევა მაინც ყოვნდება, — აღნიშნა ამხანაგმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, — აგრარულ სექტორში გვჭირდება მტკიცე გარდატეხა, რათა უკვე მეთორმეტე სუთწლეულში შესამჩნევად გავაუმჯობესოთ. სურსათით მომარაგება“.

ამ მიზნის მისაღწევად პარტიამ დასახა დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის გაზრდა. უნდა შეიცვალოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური

18.231

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპობ.

სიტუაცია, შეიქმნას უფრო ღრმა ინტენსიფიკაციის, პროლუქციის გარანტირებული წარმოების პირობები.



ამ ამოცანის რეალიზაცია ყველა დარგის ერთიან, გეგმაზომიერ განვითარებას მოითხოვს.

როგორაა ამ მხრივ საქმე აჭარის მთიანეთში?

ვერ ვიტყვით, რომ ცუდად, მაგრამ გაწეული საქმიანობა მაინც არ არის საკმარისი, მართალია (მუხახევის რაიონის მაგალითზე ვიტყვით), სოფლის მეურნეობის ყველა დარგში დავალებები გადაჭარბებით სრულდება. მაგრამ დიდი დანახარჯების ფასად, ამას კი გონიერი მეურნის თვალში მაინცდამაინც არც მაღალი წონა აქვს და არც ფასი.

პარტია მიგვიითთებს, რომ უნდა გავზარდოთ აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა, ძალებსა და საშუალებებს თავი მოვუყაროთ იმ უმნიშვნელოვანეს უბნებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უმეტეს უკუგებას. აქ საქმე, პირველ რიგში, ეხება მიწის ნაყოფიერების გადიდებას, სოფლის მეურნეობის სტაბილური გაძღოლის პირობების შექმნას.

ოლადაურის კოლმეურნეობაში, სადაც მე ვმუშაობ, ძირითადი დარგი მეთამბაქოეობაა. მასზე ჩვენი შემოსავლის 70 პროცენტი მოდის და, ბუნებრივია, მის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. ამ დარგის მუშაკთა დამსახურებაა, რომ წარსულ ხუთწლედში ოლადაური აჭარის მთიანეთში პირველი მილიონერი კოლმეურნეობა გახდა.

სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების გაცნობის შემდეგ ჩვენ ვადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავზარდოთ საკუთარი წვლილი პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებაში. მოვითათბირეთ, ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ვადავწყვიტეთ მეთამბაქოეობაში ხუთწლიანი დავალება ოთხ წელიწადში შევასრულოთ. ჩვენი ასეთი ვადავწყვეტილება გასული ხუთწლედის მიღწევებმაც განაპირობა, მაშინ ხომ ოთხ წელიწადში შევასრულეთ დავალება.

მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ მარტო ერთი რომელიმე, თუნდაც წამყვანი, დარგის აღმავლობა არაა. ასევე უნდა ვიზრუნოთ სხვა დარგების შემდგომი დაჩქარებული განვითარებისათვისაც. მე განსაკუთრებით მეცხოველეობა მაქვს მხედველობაში. უკანასკნელი წლების მიღწევების მიუხედავად, ამ დარგში ყველაფერი როდი გვაქვს რიგზე. საქმე ისაა, რომ ძალზე ძვირი გვიჯდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-დამზადება.

ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, დაბალ ღირებულებას დარგის გაძღოლის კულტურა, მოსაწესრიგებელია ფერმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასაუმჯობესებელია ფურების ჯიშობრივი შემადგენლობა.

ჩვენს სოფელში მეცხოველეობის თანამედროვე კომპლექსი კი აიგო. მაგრამ პრობლემას ვერ გადაჭრის თუნდაც უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სადგომები, თუ ფერმის მუშაკებს მტკიცე საკვები ბაზაც არ უმაგრებს ზურგს. ყოველწლიურად 200 ტონაზე მეტ უყუბათ ნამჯას რომ შემოიტან, პირუტყვის რა პროდუქტიულობის გადიდებაზე უნდა ილაპარაკოდა, მით უმეტეს, რძისა და ხორცის თვითღირებულების შემცირებაზე?

ასე საქმიანობა აღარ შეიძლება! — ასეთია სოფლის მშრომელთა ერთ-სულოვანი აზრი და საქმიანობის მკვეთრი გარდაქმნის პროგრამაც შემუშავდა.

ჩვენი მიზანია, მეცხოველეობა რენტაბელურად გადავაქციოთ. ამის დადებითი მაგალითები უკვე გვაქვს ავტონომიურ რესპუბლიკაში. სოფელში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მეცხოველეობის კოოპერირებას.

ყრილობის წინა დღეებში ბალაშიხინის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ვეწვიეთ. ბევრი მსმენია მოწინავეთა დადებით გამოცდილებაზე, ჩვენი სოფელიც ერთ-ერთი მოწინავეა აჭარის მთიანეთში, მაგრამ აქ რაც ვნახეთ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

კოლმეურნეობაში წამყვანი დარგი მეცხოველეობაა, შემოსავალი 36 მილიონი მანეთია. არ გაინტერესებთ, რამდენს წველიან საშუალოდ ერთ ფურსს? 5 ათას 200 კილოგრამს! ჩვენთან კი ათას კილოგრამს ძლივს აღებატება ერთი სულის საშუალო ნაწველი.

სწორი გითხრათ, შემწურდა კიდევ, კოლმეურნეობის მიღწევებს, განსაკუთრებით მის განაშენიანებას რომ გავცეანი. მთლიანად გადაჭრილია საბინაო პრობლემა, მშრომელთა სამსახურშია ბავა-ბადები, პოლიკლინიკა, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და მომსახურების სხვა ობიექტების ფართო ქსელი. სპორტული კომპლექსი რომ ვნახე, თავისი საცურაო აუზით, მწარედ გამეცინა: 'ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობამ სოფლის ახალგაზრდებს მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოსაწყობადაც არ გამოუყო ადგილი.

ოღადაურს ბევრი სიკეთე შემატა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებამ. აიგო მეცხოველეობის თანამედროვე კომპლექსი, დამონტაჟდა ტელეტრანსილატორი, კეთილმოეწყო შიდასასოფლო გზები, გვაქვს გამართული რადიოკვანძი, 200-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქრო (თუმცა მისი ამოქმედება რატომღაც ჭიანურდება), რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ცენტრის უნივერსიტეტს, მაგრამ კიროველებს რომ დავეწიოთ, ალბათ, დიდი დრო დაგვჭირდება... სამომავლოდ სოფელში ბავა-ბადს ჩაეყრება საფუძველი, დაგეგმილია კლუბ-კანტორის თანამედროვე შენობის აგება, მაგრამ ამ საქმეში ქმედითი დახმარება უნდა გაგვიწიონ ზემდგომმა ორგანოებმა.

ეტყობა, საუბარში კრიტიკული ტონი შემეპარა. მაგრამ ყრილობამ

ხომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ნაკლოვანებები თუ არ ვამხილეთ და მათი აღმოფხვრის გზები არ დავსახეთ, ისე წინ ვერ წავიწევთ. მით უმეტეს, რომ ჩვენს საქმიანობაში თუ ღრმად ჩავიხედავთ, ბევრ ხარვეზს დავინახავთ.

თუნდაც, ისევე მეცხოველეობა ავიღოთ. თუ კიროველები ერთ ფურს 5 ათას 200 კალოგრამ რძეს წველიან, ამდენი არა და, ათას 500 კალოგრამი რძის მიღება ხომ შეიძლება ოლადაურში, სამოლეთში, დღვანში, სხვაგან. შეიძლება, მაგრამ საქმეს გულისყურით არ ვუდგებით, არ ვიცავთ პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესებს, დაბალია სათიბ-სავარგულების პროდუქტიულობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში ინტენსიურა ფაქტორი უნდა წამოგწიოთ წინა პლანზე. ასათვისებელი მიწები ცოტა გვაქვს, მთავარია არსებულის მოვლა-პატრონობა, სასუქების, წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება. როცა ყრილობის ტრიბუნიდან მოწინავეთა გამოსვლებს ვისმენდი, ძალაუნებურად მეზადებოდა კითხვა — ხომ შეიძლება ჩვენთანაც ავიყვანოთ კარტოფილის საჰექტარო მოსავლიანობა 150-200 ცენტნერამდე, ხოლო მარცვლეულისა 40-45 ცენტნერამდე? შეიძლება და ამას ამ ხუთწლეულში საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს. და ეს მით უფრო, რომ ზოგჯერ იმდენი მოსავალიც ვერ მოგვეყვავს, რამდენსაც ვთესავთ.

ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენი აგრონომები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან. მათი ხელი კი პლანტაციებსა და ბალ-ვენახებს აშკარად აკლია.

მეთამბაქოეობა, როგორც აღვნიშნეთ, აჭარის მთიანეთისათვის წამყვანი დარგია. მეთამბაქოეებს კი მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. აქაც ხომ შეიძლება დაინერგოს მექანიზაცია? შეიძლება, მაგრამ...

ავტომატური საშრობი ფარდულები შემოვიტანეთ და მის დამონტაჟებას საშველი არ დააღვა. თუ დავამონტაჟებთ, ვერ ვამუშავებთ და წყალში ჩაიყარა ამაოდ გაწეული ხარჯები. ასანემსი დანადგარები შევიძინეთ და არსად გამოვიყენებია. მეთამბაქოეებს სპეციალური ტანსაცმელი არა გვაქვს.

ძალზე ცოტა კეთდება მთის პირობებში სხვა დარგების მექანიზაციისთვისაც.

გარდა ამისა, ამ ხუთწლეულში დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ სოფლის მეცხოვრებთა წინაშე მდგომი სხვა სოციალური პრობლემების მოგვარებასაც.

დაჩქარება და გარდაქმნა! — აი, ხუთწლეულის მთავარი სტრატეგია. ეს არამარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის დაჩქარებულ განვითარებას, ჩვენი საქმიანობის მკვეთრ გარდაქმნასაც მოითხოვს.



ამირან თურქია,

ტანკერ „ფორე მოსულიშვილის“
კაპიტნის უფროსი თანაშემწე

სამხრეთის კარალებზე

მდინარე პარანას გასვრიც

მონტევიდეო, სინაეს ლა-პლატას,
სდუმს ოკეანე, სდუმან ქარები...

ლა-პლატა.

მეგობრულად ჩაგვიკრა თვალი შუქურა ლობოსმა. ავტოსაქის ნაცვლად ადგილს
ნოდარ მუავია იკავებს. მარჯვნივ ელავენ მონტევიდეოს შუქრეკლამები.

დილის ოთხი საათისათვის ფუტკრებით ხომალდ-შუქურა „რეკოლდას“, აგ-
ყავს მეგზურები (ლოცმანები) — მსუქანი, საშუალო წლოვანების მამაკაცი და მისი
ახალგაზრდა მოსწავლე. ინგლისურ ენას არცთუ ისე კარგად ფლობენ (უცხოელებ-
თან კონტაქტი ინგლისურ ენაზე გვიწევს), მაგრამ საქმე კარგად გაეგებათ.
შუადღეა.

ხომალდ-შუქურა „ინტერსექციონთან“ ვართ.

მეგზურებს ვცვლით. ერთი მათგანი კეთილა მოზღვი უნდა იყოს, მეორეს ხახვ
კი მაინცდამაინც სიპოვნებას ვერ გვანიჭებს, ხასიათი გვიფუტდება.

შევდივართ მდინარე პარანაში — არგენტინის მთავარ არტერიასში. შორეული ან-
დეზიდან მოაგორებს იგი ზღვრივ და გოლიათ ტალღებს. მარჯვნივ, ჩრდილოეთისაკენ,
გაჭრილა მდინარე ურუგვაი, ჩვენ კი ჩრდილო დასავლეთისაკენ ვიღებთ გზას.

ნაპირზე გაუვალი ტყეები და ქაობებია. დროდადრო ზედ წყლის ნაპირთან შე-
ამჩნევ „ქათმის ფეხებზე“ შეყენებულ ფაცხებს. ხასხასა მდელზე შავტუხა ბავშვები
თაბაშობენ. შეგვაშინებს, თამაში შეწყვიტეს, სიხარულით დაგვიჩინეს პაწაწინა
ხელები.

მდინარეში უამრავი კუნძულია, უღრანი და გაუვალი. კოლოები გესევან.

ღამეა.

მთვარე ანათებს, ვერცხლისფერი სხივები მოჰფენია ხომალდის კვალს. ნაპირთან



ისე ახლოს გავდივართ, ლამის დიდრონ ხეთა ამწვანებულ ტოტებს წაავლო ზემო ბარანაზე ნაოსნობა რთულია.

— 5 გრადუსი მარცხნივ!

— 10 გრადუსი მარჯვნივ! — გესმის მეგზურთა ბრძანება. მხოლოდ მათთვის ცნობილი ნიშნებით მიჰყავთ ხომალდი.

შეცდომის დაშვება არ შეიძლება, წუთიერი შეუკვნება შეჩერებულ ჯდომას გამოიწვევს. ახლა კი მივხვდით, თუ რატომ სიტყვაძვირობდნენ მეგზურები: ბევრი ლაპარაკისათვის ვისღა სცალია. ძლივს ასწრებ ბრძანების გაგებასა და შესრულებას.

მზე ამოვიდა, როდესაც როსარიოს მივადექით. ლამაზი სანაპიროებითა და ზემო-დღივი შენობებით იგი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ისევ მივკვებით პარანას. რაც მალეა ავდივართ, მდინარე მით მეტად ვიწროვდება. აქ ვერ შეხვდებით მშვენიერ ვილებსა და კოტეჯებს, როგორც სენაზე, ან ელბაზე, მაგრამ თავისებურად მშვენიერია პარანა ულრანი ტყეებითა და ხელუხლებელი უღნებით.

ღიაშანტაში ნაშუადღევს მივედით. გემზე ამოვიდა პოლიციელების, საბაჟოსა და ადგილობრივ ხელისუფალთა მთელი ოცეული — ფოტოგრაფის ჩათვლით. საბუთების გაფორმებას შევუდექით. კანონები ძალიან მკაცრია, ხოლო მათ აღმსრულებლებს ნულარ იკითხვთ, საბაჟოს აღრიცხვაში ფასიან ნივთებთან ერთად უნდა გატარდეს ასანთი, საპონი და, წარმოიდგინეთ, ჩიტების გალიაც კი, თუკი-ვინმეს იგი ვააჩნია. საშვის გასაფორმებლად მთელი კრიმინალისტური პროცედურა უნდა გაიარო თითების ანაბეჭდებიდან დაწყებული, თმების, თვალების, კანის ფერითა და ცხვირის ზომითა და ფორმით დამთავრებული. არასასიამოვნოა, როცა სადღაც, ქვეყნიერების დასასრულს, სისხლის სამართლის დამნაშავესავით თითის ანაბეჭდს რომ გართმევენ, მაგრამ ნათქვამია, რა ქვეყანაშიც შეხვალ, მისი ქული უნდა დაიხუროს.

ფორმალობა სადამომდე გაგრძელდა. ჩვენსა და ფირმა „კონტინენტალის“ წარმომადგენლებს შორის საქმიანი საუბარი გაიმართა.

ნავსადგომზე თავი მოუყრიათ საბჭოთა ხომალდის ნახვის მსურველებს. შეატყობთ, რომ მშრომელ არგენტინას ძალიან იზიდავს საბჭოთა ხალხი, ამიტომაც ახეთი თბილი მათი დახვედრა.

აქვე გავიცანით ავტოციტბრნის მძღოლი ხოსე როდრიგესი. მალე, შეატყობა ჭაბუკი დიმილით მოგვიანდოდ, არგენტინული სიგარეტი „ჯოკერ-კლავი“ გამოვიწვოდა. ჩვენ ქართული „კოსმოსით“ გავუმასპინძლდით. შემდეგ ფეხბურთზე გადავედით. არგენტინაში ამ თემაზე სასაუბროს რა გამოიღვეს. ეს დიეგო მარადონაო, ეს ჰარიო კემპესიო, — დაიწყეს ტრაბახი. ვალში არც ჩვენ დავრჩით. არც დავით უიფიანი და რამაზ შენგელია არიან ნაკლები ფეხბურთელებიო, ვუთხარით მასპინძლებს. ვიცითო, გვიბასუხეს მათ, — მენოტიმ ხომ თავის დროზე იწინასწარმეტყველა, ევროპის თასის მფლობელთა თას თბილისელები დაეუფლებიანო. საერთოდ შეატქეს მაშინდელი თბილისის „დინამო“, მაგრამ ჩვენი „ბოკა ხუნიორსი“ მაინც სულ სხვააო. მართლაც ამ დღეებში „ბოკა ხუნიორსმა“ ძალზე ძლიერ „რივერ პლატას“ ხუთით ერთზე მოუგო.

დილიდანვე შევუდექით ხომალდის კორპუსის შედევას — კომკავშირული შაბათობა გამოცხადდა. თავი გამოიჩინა პრაქტიკანტების — ბათუმის საქალაქო პროტექციური სასწავლებლის კურსანტების ბრიგადამ, რომელსაც ამავე სასწავლებლის ყოფილი კურსანტი გიგლა სიხარულიძე ხელმძღვანელობდა.

ხომალდიდან მუქი „ვალკონი“ გაჩერდა—მანქანა საბაჟოს უფროსმა გამოგვიგზავნა. დიამენტა პროვინციული პატარა ქალაქია. ერთადერთი ელევატორი, უზარმაზარი

ელექტრონიკელი, დაბალი, ერთსართულიანი სახლები, ათაძე მოგუდრონებელი ქუჩა და ჩვეულებრივი შარა-გზები...

ქალაქის საზღვრებს ვცილობდით. ჩვენთან სამშობლოში ახლა გაზაფხული იწყება, აქ კა შემოდგომის პირველი დღეებია, პო და, ოდნავი სიყვითლე დაჰკრავს „მაისის“ სიმინდის ყანებსა და ვრცელ სამოვრებს. ყველაფერი ეს ადგილობრივ მიწათმოქმედელ-მილიონერს ეკუთვნის, გლეხები კი იჯარით ამუშავებენ მიწას, ოჯახი რომ გამოჰყავებონ.

აი ჩანჩქერი „ვიქტორია“, ცნობილი „ვიქტორიის“ სენია. ორმოცამდე მეტრის სიმაღლიდან ეცემა წყლის ნაკადი და იქვე პატარა ტბას ქმნის. ზღბი ბუზივით ირეცა, ნანქანებს გვერდს ვერ აუვლი.

უკან ვბრუნდებით. ჩანქანა მიჰქრის, გვერდით ჩავვიქროლა ინგლისურ-ჰოლანდიური ფირმა „შელის“ ბენზინჩამსხმელმა.

სოფლის ბართან ვჩერდებით. ცხენებიც აქვე მიუბამთ, ბარიდან ჰარმაგი მოჩუცი გამოვიდა და ცქციტალ ამხედრდა. მისკენ მიმართული ფოტოაპარატის ობიექტივი რომ შენიშნა, კჰაყოფილად გაიღმა.

— ჩვენც რომ ვსინჯოთ?

— ინებეთ, სენიორ! — მოხუცს ეამყება. რაც უნდა იყოს, უცხოელებმა ისრუგვებს მის ბედაურზე შეჭდომა.

ომარ გაბეჩავამ გაბედა. ცხენის სიყვარული, ალბათ, წინაპრებისაგან გამოყვა. მათრახი მოიმარჯვა, ცხენი თოხარკიზე მიუშვა, შემდეგ მალაყზე შეაყენა. ჩვენს შორის დარჩეს და, მარჯვენა „ქინზე“ მიიღო ოდნავი გაღაბრა. ბედი მოსინჯა უფროსმა მექანიკოსმა შაუმიან ისმაილოვმაც.

ცხენის ტენების სურვილი მეც გამიჩნდა, მაგრამ ვერაფერი მხედარი გახლდით და შორეულ არგენტინაში სირცხვილის ქამას თავი მოვარიდე, თანაც ჩემი მტერი ჩავარდა მეზღვაურთა უბაში, მთელი თვე საქილიყო არ გამოეღეოდათ.. ჩვენი მასპინძლები კი გულთბილად იღიმებოდნენ..

ტვირთის წილება დავამთავრეთ.

გავდივართ.

გულთბილად გავვაცილეს.

ბუენოს-აირესში

ბუენოს-აირესში ვართ. წინ ქალაქის უდიდესი შენობაა — 48-სართულიანი ცათამბჯენი აღმართულა.

ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. ბოცმანი ვიქტორ სტეპანოვი, მატროსები ვასო ბარაბაძე, ტარიელ სიხარულიძე, ნოდარ მუავია ახწორებენ ხომალდის წყალწყვის ნაზს. მარცხენა ქიშზე „ბარუებს“ ღებულობს ჰაიდარ დევაძე.

ბუენოს აირესი, სასიამოვნო ჰაერს ნიშნავს. ახლანდელ ქალაქს „სასიამოვნო ჰაერის“ მხოლოდ სახელიდა-ღა შერჩა.

არგენტინის მრეწველობა უმთავრესად ბუენოს-აირესშია თავმოყრილი, უფრო სწორად მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძველი ჩავსადგურის გარშემო, მდინარე რიარეულოს დაბლობზე, აველანედას, ლომასისა და ლაპუსის მიდამოებში.

ფირმა „დედ ტურიზმო არგენტინოს“ ავტობუსი მოადგა ხომალდს. 12 საათსა და 35 წუთზე დავიძარიტ. მიგელ კორდოვა კეთილსინდისიერი და გამოცდილი მძღოლი აღმოჩნდა, დაწვრილებით გვიხსნიდა ყველაფერს, ღირსშესანიშნაობებს.

პირველი გაჩერება სპორტული კლუბი „ატლენტიკო ზოკა ხუნიორისის“ პარკი იყო. მშვენიერი ადგილია, კეთილმოწყობილ პლაჟს უნიკალური სპორტული ნაგებობანი

გრწყვიან. სწორედ აქ ჩატარდა 1978 წლის მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. ჩავუარეთ ახალ ნავსადგურს. უდიდეს თბოელსადგურიდან ფართო ავტოსტრატაზე გავედიართ. მარჯვნივ აეროდრომი. ასაფრენ ბილიკზე გამოსულ უზარმაზარ „ბონ-გებთან“ შედარებით საპაერო „ტაქსები“ სათამაშოებს მოვაგონებთ.

ავტობუსი ფართო გამზირზე გამოდის, ეგზოტიკური სახელი „ბოკას დე პალერ-მო“ — პალერმოს ტყე რომ ეწოდება. ეს ბუენოს-აირესის არისტოკრატიული რაიონია ჩოგბურთის კორტებით, გოლფის სათამაშო მიედნებითა და ათობით სხვადასხვა სპორტიული ნაგებობებით.

მოედან „პლასა მაჟოსთან“ ვჩერდებით. აქვე განლაგებულიან საზღვაო, სამხედრო სანინისტრო, პრეზიდენტის რეზიდენცია „კასა როსადო“ — ვარდისფერი სასახლე და ცადაპრილი უმშვენიერესი კათედრალი...

ქიანველებივით ირევიან მსუბუქი ავტომანქანები. ოცი წუთის განმავლობაში ერთი უბანი ძლივს გადავჭერთ. მტრედები, უთვალავი მტრედები, საკენკს პირდაპირ ხელებიდან რომ გართმევენ.

„რივა და ვია“ — ბუენოს-აირესის უგრძესი ქუჩა, 25 კილომეტრს რომ აღემატება!

ქუჩა „ელ კორინტეს“ დინებას მივაღექით. აქ გახლავთ ქალაქის სავაქრო ცენტრი. ირგვლივ ფარდულეები, მადანები, უნივერსიტეტი.

ორასი მეტრი სივანის გამზირი „ნუეგო ნულიო“ და სამხრეთ ამერიკისათვის დანასაიათებელი ჰელელები ეპოლეტებიანი ესპანელი კონსეკადორებისა...

იხევ ძველი ნავსადგურის რაიონში ვართ. ვიწრო ქუჩები და ერთსართულიანი საწყობები, ლითონის ფურცლებისაგან შეკონსტრუირებული მუშათა ქოხები...

ექსკურსია დამთავრდა, მშობლიურ ზომადს მივაღექით. სამი საათი და ოცდახუთი წუთი დავყავით ბუენოს-აირესის ქუჩებში. რასაკვირველია, ამ გოლიათი ქალაქის ავისა და კარგის განსახელოად ეს დრო ძალზე უმნიშვნელია.

დატვირთვა დამთავრებულია, მეგზური ზომადზე ამოვიდა.

არხს მივყვებით, ვშორდებით ბუენოს-აირესს. ნელ-ნელა მიცურავენ უკან ზემადლივი შენობები, ფაბრიკა-ქარხნების მიღები, ირგვლივ მწარე ბოლს რომ აფრქვევენ. წინ უკიდევანო ატლანტიკა, შტორმი და ქარიშხალი.

ჩისურში საათი ითვლის წამებსა და წუთებს. ხმაშიწყობილად გუგუნებენ მთავარი ძალოვანი დანადგარები, ხრახნის ყოველი მოსმა ნაბიჯია წინ, ახალი ოცნებებისა და შეხვედრებისაკენ.

თავისუფლების კუნძულისაკენ

მონტევიდეო. შუქურა ლობოსი. ვემშვიდობებით ლა-პლატას. ჩრდილო-აღმოსავლეთის გეზე ვწვებით. უკან რჩება ურუგვაი. იწყება ბრაზილია.

საშინლად ცხელა, გემბანზე თავს ვერ გამოჰყოფ. ჰაერი დახუთულა. ნიავეც არ ქრის. სისხლისფერია ჩამავალი მზე, ცის დასალოერზე მიმოფანტული ღრუბლების პატარა ფთილებიც სისხლისფერია.

თენდება. ჩამოუქროლა ჩრდილო-აღმოსავლეთის სიომ. ოკეანე მშვიდია თითქოს, მაგრამ ზომადლი ირწყვა, ნელ-ნელა გადადის ქიმიდან ქიმზე. ქარბორბალას აშკარა ნიშანია, სადღაც რიო-დე-უანიეროს თავზე ბობოქრობს ცნობილი „პომპეერო“. განავაშა წამოჰყარა მეზღვაურები. უნდა შემოწმდეს სატვირთო სათავსების წყალგაუმტარი კარები, ვემბანზე უნდა დამაგრდეს ყოველივე მოძრავი საგანი. რამდენიმე საათში გოლიათი ტალღების სათარემოდ გადაიქცევა გემბანი და ზომადლიც მზად უნდა იყოს ამ ტალღებთან შესარკინებლად...



ქარის სიჩქარე მატულობს, ცა ღრუბლებით იფარება, ატმოსფერული წნევა ეცემა... ოდნავ მარცხნივ და წინ შავ, წვიმიით გაუღენთილ ღრუბლებს შორის, ნათელი ცის წრისმაგვარი ნაჭერი მოჩანს და იქედან გამოქრისლი მზის სხივები ხანჭალავენ უკაცნობოქრებულ ოკეანის ზედაპირს. ეს შერე „ქარიშხლის თვალა“, ქარბორბალას ცენტრი. გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ ქარი საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ იცვლება. ციკლონის ყველაზე სახიფათო ადგილას ვიმყოფებით. კაპიტანი ზრახანებას იძლევა და მკვეთრად ვუხვევთ მარჯვნივ, რომ დროზე გამოვიდეთ სახიფათო ადგილიდან. შტორმი კი გრძელდება, ქარიშხლის მიერ გამოღვიძებული ოკეანე კიდევ 700-800 მილის მანძილზე მოგვაბეზრებს თავს...

ქარიშხალი აწყობს და ანტენებს შორის ღრიალებს. გოლიათი ტალღები დევებივით გადაეცლებიან გემბანზე, მთელი ძალით აწყდებიან სათავსთა სახურავებს, სატვირთო მილგაყვანილობის გადასასვლელ ხიდურებსა და გემბანზე მოთავსებულ ხევა ნიწობილობას. ხომალდის ფოლადის მკერდზე შემსკდარი წყალი შხუილით აღწევს თორმეტი მეტრის სიმაღლეზე მოთავსებულ სანაოსნო ჭიხურამდე, ფოლადის ტიხრისა და სპეციალური მინის სქელ სარკმელებს, წყალგაუმტარ კარებს აწყდება, ცდილობს ჭიხურში შემოდგენას, სადაც სანქს ტარიელ სიხარულით ჩაჰვრდინა. ხომალდი საშინლად ირწყვია, გემი სადაც ტალღებს შორის ღრმა უფსკრულში მიეჩანება, ყალბზე შემდგარი ხომალდი ერთ ხაზზე ვერ ჩერდება და იგი გეზზე რომ მოიყვანოს, ტარიელს სანქს ერთი კიმიდან მეორე კიმზე გადაწვინა უხდება და ასე დაუსრულებლად. ძიკიკებს ჭიხური, ცახცახებს მთელი ხომალდი, მოსაბეზრებლად ჭრიალებენ კარადენის კარები. თაროებიდან ცვივა სქელტანინი წიგნები, სასაღილოში, მეთაურთა სალონში, დაჯირითობენ სავარძლები, სადაც მოისმის თეფშებისა და სხვა ჭურჭლის მსხრევის ხმა. უფროსი მწარეული ტელმან ალიევი და მისი მოადგილე ხასან სარიძე ჩაფრენიან სამწარეულოში საცეკვაოდ გამაზღებულ ქვებებს, ელექტროდუმელზე გადმოღვრილი წყალი კი საშინელი შიშინით ორთქლდება.

გამობრძმედილ მეზღვაურებს ყოჩაღად უჭირავთ თავი, მაგრამ პრაქტიკანტები... მათთვის ეს პირველი შტორმია და პირველი შეჭახება აბობოქრებულ სტიქიასთან. როცა ვერ წამოშდვარხარ და ფეხქვეშ იატაკი ვაგირბის. შრომა, მოძრაობა ზღვის ავადმყოფობის ერთადერთი მაღაშოა და ბოცმანი სტეპანოვიც ცდილობს პრაქტიკანტების წამოყენებას, ისინი კი, ალბათ, გულში ბოცმანსაც უკურთხებენ და იმ დღესაც წყევლიან, ზღვაოსნობის რომანტიკით გატაცებულებმა ბათუმის პროფექტინიურ სასწავლებელმა რომ მოაკითხეს... გაივლის დრო, ჩადგება ქარი, გამოაბრწყინებს მზე, ქათქათა თოლიები გამოუდგებიან ხომალდს და ახალგაზრდა პრაქტიკანტები მხიარული სიცილით გამოეფინებიან გემბანზე. შეიძლება ისეთიც გამოერიოს, საშინა ბლოში ჩასვლისთანავე გამოემშვედობოს ზღვასა და მის რომანტიკასაც, მაგრამ ნუ გაკვირხვავთ მას. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ზღვა ასე თუ ისე არ მოქმედებდეს.

როგორც იქნა გრიგალი ჩადგა. მარცხნივ ეღვარებენ... რიო-დე-ჟანეიროს შუქრეკლამები, ჩახახებენ ლამპიონები. ჩვენ კი გზას ვაგრძელებთ. შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ გუანარაბას ყურე, ნავმისადგომბთან მთვლემარე გემები, ასობით ცათამბეჭენები, ფართო გამწირები, ოქროსფერქვიშიანი პლაჟები, ვიწრო ქუჩები და მუშათა ფარდალა ქოხები ქალაქის გარეუბნებში, უწყვეტი კარნავალი და ოსტაბ ბენდერის აუხდენელი ოცნება...

მზე ისევ აცხუნებს. საპირისპირო დინებაა და ჩვენი ხომალდი ლამის მცოცავს... წინ თავისუფლების კუნძული გველოდება,

წინ რიერა-მაესტროს მთებია, სადაც 1959 წელს გამარჯვების დროშა აფრიალდა...

ლადო სვიდიზვილი



პოეტის უძღვები სული მალავს რა შიმშილს,
 უშურველად აპურებს თავის ლექსებს.
 ისინიც, თითქოს დრო იხელთესო,
 წურბლებივით წოვენ აზრებს, გრძნობებს, ფერებს, ბგერებს..
 და ეგზალტირებული სევდა ლექსის მეშვეობით
 გულიდან გულში გადადის ტრანსფორმირებული სახით.
 მიდის და მიჯაყყაყებს ლექსის მატარებელი...
 რიტმს აყოლილი მთვლემარე მგზავრები
 ორთქლმავლის შეკვივლებაზე შეკრთებიან წამით
 და კვლავ განაგრძობენ თავის კანტურს.
 მათ არ იციან, რომ სწორედ ამ დროს
 გადაუარეს ლიანდაგებზე გაწოლილ პოეტს.

შუალაგის იდილია

ა. რუგოშელს

უხმოდ გაიღო სადარბაზოს კარი
 და იწყო აღმასვლა მარმარილოს კიბის
 მომქანცველმა საფეხურებმა
 სვენებ-სვენებით, მთელ სიმაღლეზე.
 რაც უფრო მაღლა მაღლდება მარტივი,
 სართულებს შორის მცირე პლათფორმა —
 სიმდაბლისა და სიმაღლის კავშირი,
 თავისებური პაუზა სუნთქვის.
 გასაღები კი ჭუჭრუტანას ვიდრე მიაგნებდეს,
 ყელიდან ამოსროლილი ბებრული გინება
 კიბეზე დაგორდება რიხინ-რიხინით.
 წამით გაცოცხლდება სადარბაზო, თავს წამოყოფს...
 მაგრამ კარის მიჯახუნების ხმა ზურგიდან ჩასცემს დანას
 და ნახევრადმბჟუტავ სიბნელეში მიიმალება.



წათელი ვარდი... სიმრავლეში კოლირებული.
ნუთუ ეს ფერი მოგონებებს არ აღძრავს შენში?
აბა, მიჰყევი, არ იქნება არ გაგახსენოს —
ანაზღად წამის შეკვივლება და სისხლის წვეთი.

ლოყას მოედო ელვარება; მისი ტუნები
გადაიშალნენ ფურცლებად და გამოკრთა კბილი;
ის ასე იწკა კუბოში და მკერდზე ეფინა
ხსხასა ვარდი, შენ რომ წელან გეჭირბ ხელში.

ო, ეს კონტრასტი, თეთრ ფერებში რომ დომინირებს,
როგორ აძმაფრებს, აღამაღლებს შენს თვალში სიკვდილს
და აღარ იცი, ჭეშმარიტად, ვინ ვის მორჩილებს

სიცოცხლე სიკვდილს თუ პირიქით... ეჭვი მართლდება...
მაშინ გულზე რად მეწვეთება ჩამწყდარი ცრემლი
და რად მეზინა, სამუდამოდ მემშვიდობები.

ღლისა და ღამის სონეტი

რა არის ღლე — თუ არა მზის მხურვალე ბირთვი
პრეისტორიის წყვედიადიდან ნასროლი ჩვენკენ.
სული აწყდება სხეულის ნეკნებს,
როცა სინათლის კვალდაკვალ ვილტვით.

იით, ოზონით ივსება ფილტვი...
ფეხისგულებით ვაჭედებთ ეკლებს...
მიწა კი არა, ეს პლანეტა ცომია ეგებ
ვადაზელილა ჩვენი სისხლის ტრილიონ ლიტრით.

მზე ჯარბის სადღაც... წიქარა ბლავის...
თავაწვეტილი მივღევთ უკან, ისე ბრმად ზოგჯერ,
რომ წარამარა ვვარდებით ღრმა ორმოში ღამის.

იქნებ ეგ არის გაცხადება, იქნებ აქ სჯობდეს —
სიზმრებზე გავლით... მაგრამ მაინც არის გოლეოთა
თავის დაღწევის მარადი ცდა ბნელი ორმიდან.

დაიბადე ამ და ამ
 რიცხვში, როგორც ურიცხვი
 გააჩინა ადამმა
 ერთმანეთის გულისთვის.
 იზიარებ ცოდვილის
 ხვედრს ისევე; როგორც სხვა,
 მაგრამ შენი ობლის კვერი არ იქნა არ გამოცხვა.
 ის ცხოვრება რა ყოფილა —
 შილის რიხინ-რიხინით...
 თურმე განაწყენებულა, შენ გეგონა, გილიმის.
 როცა ხელი შეგაშველა,
 უკვე ეგღე მიწაზე;
 მაგრამ მისი სიდიადე ახლა უფრო იწამე.
 ფრთხილად სწავლობ სიარულს,
 ყოველ ნაბიჯს ინიშნავ
 და რაც ჩქარა შეისწავლი, მალე მიხვალ ფინიშთან.
 ცეკვა მაინც ვერ აწყვე,
 როგავ ფეხარეული;
 შენს გვარს მაინც არ აშორდა ერთი გადარეული.
 თავხედობა გაკლდა, თუმცა
 არ იყავი ლაჩარი...
 კარჩაკეტილ მონარდესა — რა დუშაში, რა ჩარი.
 სხვას თუ პარტერს სთავაზობენ,
 შენ სულ მალლა — იარუსს;
 ფეხი თუ არ დაგიცურდა, ვერ ისწავლი სიარულს.
 და რაც ჩქარა შეისწავლი,
 გზასაც მალე ინიშნავ;
 მაგრამ გული ნუ დაგწყდება, თუ ვერ მიხვალ ფინიშთან.
 არც სახელი აღარ გინდა.
 არც სკამი, არც ტრიბუნა,
 რაც გაეცა, იგი უკან არვინ გამოვიბრუნა.
 ვარეგნულად სულ არ ჩანხარ
 შეწირული ერისთვის.
 შაბაშ, ვისაც ეჩქარება დიდი კარიერისთვის!

მოუხსნელი კარკასით —
როგორც ინტეგრალი
მანსარდაში იჯდა ტიტლიკანა ქალი,
ნაღვლიანი თვალებით მარმარილოს ქვიდან
მოქანდაკეს უმზერდა, იატაკს რომ გვიდა.



დიდი ხნის შემდეგ... როცა...
კაცობრიობა გადაეჩვევა ოცნებას —
მთელი მისი გამოცდილებისა და ცოდნის
მიუხედავად, მანც გაუჭირდება იმის გაგება,
თუ რატომ დაარქვა მხატვარმა თავის სურათს
„შემშილი“, როცა ტილოზე მაძლარი კაცი ეხატა.



იყო ადამ, ევა და...
ღმერთი, მათ რომ დევნიდა.
სწვა სასჯელს არ ელოდნენ
ამგვარ შეცოდებადან.
...შლი რა შუაშია,
იქვე ედოთ ნაღველი:
სდამს ევა შიოდა,
ივას გადევ ადამი.



ქ ლ მ ს ნ

როჲვანის შრომანობი

ივლისის მზიან დილით ჩაის საკვლევი ინსტიტუტის ეზოში, ნაძვე-ბის ჩრდილში, შოფერს „კოლეის“ კაპოტი აეხადა და მოტორს უკირკიტებდა. შავი ფერის მანქანა ახალთახალი იყო, გაპრიანებული.

სიმპათიური შესახელობის, ღამაზად ჩაცმული, გამხდარი ქალი ჯერ შორიახლო იდგა, ტყავის ჩემოდანი ძელსკამზე დაედო და მანქანას ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა. შოფერმა მას ყურადღება მიაქცია, მაგრამ მერე თვალი მოარიდა და თავისი საქმე განაგრძო.

ქალი ახლოს მივიდა, შოფერს მიესალმა.

— ბოდიში, ბატონო, ბათუმამდე ერთი ადგილი ხომ არ გექნებათ? — მოწიწებით იკითხა.

შოფერმა ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე გაიღიმა: — თქვენ საიდან იცით, რომ ბათუმში მივდივართ?

— მანქანას შევატყუე, — ღიმილით თქვა ქალმა და ამ ღიმილმა მისი სუსტი აღნაგობა ერთიორად გააღამაზა.

— რას ამბობთ, — გაიოცა შოფერმა, — ასეთი რაზე პირველად მესმის.

— ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ არ დამტოვებთ.

შოფერმა კაპოტი ნელა დაუშვა და ქალისთვის არ შეუხედავს, ისე უთხრა: — რა ვიცი, ქალბატონო, მანქანა ჩემი არაა, ვნახოთ, რას იტყვის უფროსი.

— უფროსი ვინ არის? — იკითხა ქალმა.

— გენერალური დირექტორის მოადგილე, ავთანდილ სვანიძე...

— ახლა სად არის?

— თავის კაბინეტში... სადაცაა მოვა. დღეს სამეცნიერო მივლინებით მიდის, თვითმფრინავზე უნდა ჩავიყვანო.

— ძალიან კარგი, — თავი თავაზიანად დააქნია ქალმა, — თუ ადგილი გექნებათ, ის არ დამტოვებს. სხვათა შორის, მეც თვითმფრინავზე მივლი-
ვარ.

შოფერმა ახლა უფრო ცნობისმოყვარედ დაათვალიერა მანდილოსანი. მაგრამ ვერაფერი გაარკვია და მოეშვა.



— კარგი, თქვენ იქ, ძელსკამზე, დაბრძანდით, დაელოდეთ, — უთხრა

და ღირეჭციის შენობისაკენ წელი ნაბიჯით გაემართა.

ქალი დაბრუნდა ჩემოდანთან და ძელსკამზე ჩამოჯდა.

მალე სვანნიძე გამოჩნდა. მარტოდ მოდიოდა. ქალს რომ მიუახლოვდა, გოცეპული შედგა.

ქალი წელს წამოღვა, მისკენ ნაბიჯი გადადგა.

— თალიკო! — დაძახა სვანნიძემ, — შენ... შენ აქ რა გინდა?

— რა მინდა! — თქმის მოგვებით ჩაილაპარაკა ქალმა, — რა ვიცი, რა მინდა? ვიცი?

თალიკომ სვანნიძეს ხელი გაუწოდა, უნდოდა გადასვოდა, მაგრამ თავი შეაკავა. ტირილით აღარ ტიროდა, მაგრამ კანკალებდა. სვანნიძემ თვითონ მიიზიდა და გულში ჩაიკრა. შუბლი და ლოყები ფრთხილად დაუკოცნა. მერე ჩემოდანი ხელით გასწია და ძელსკამზე თალიკოსთან ჩამოჯდა.

— აბა, მითხარი, როგორ ხარ. რას შვრები? — ხმის თრთოლვით ეკითხებოდა.

— ქალიშვილი გავატხოვე... — სხვა ვერაფერი მოიფიქრა თალიკომ, — გავატხოვე და მარტოდ დავრჩი...

— ეს ვიცი, კავივე. მომილოცავს. — უთხრა სვანნიძემ, — სიძე როგორია, კმაყოფილი ხარ?

თალიკოს თვალებზე უნებლიე ცრემლმა გამოჟონა, მერე კი სიცილი აუტყდა.

— სიძე კარგი ბიჭია... ერთი კაცის ახალგაზრდობას მაგონებს...

— ნუთუ ის ერთი კაცი დაბერდა? — მიაჩერდა სვანნიძე და თავზე ხელი ნაზად გადაუსვა, — როგორ ხარ, ხომ აღარ ავადმყოფობ?

— ზოგჯერ... როცა მომესურვება. ამიტომ მკურნალობა და დასვენება მჭირდება. და აი, მივლივარ კიდევ.

— სად? — დაინტერესდა სვანნიძე.

— იქ, სადაც შენ!

— რას ამბობ? მე დასასვენებლად სად მცალია, ადილეში და დაღესტანში სამეცნიერო მივლინებით მივლივარ, იქ ჩვენი საყრდენი პუნქტებია...

— ვიცი, — წყნარად თქვა თალიკომ, — ყველა შენი ფილიალი და პუნქტი ვიცი. ამიტომ დღეს მეც შენს თვითმფრინავზე მაქვს ბილეთი...

სვანნიძე გაოცებისაგან დაიბნა.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა თალიკომ, — შენთან მხოლოდ ერთ თვეს ვიქნები. — მერე სევდიანად გაიღმა, — ახლაც ხომ რაიკომის მდივანი არა ხარ, თანამდებობიდან რომ გაგათავისუფლონ... მეცნიერს ხომ გაქვს უფლება საყვარელ ქალთან ისე ირწონო? ასე არ არის?

18231

საქ. სსრ კ. მარტოსი

სვანიძეს სიცილი აუტყდა. გაურკვეველი სიცილი იყო — შიშისა და სიხარულიც, შიშიც, ეჭვიც...

— ცოლ-შვილი ბახმაროში გყავს, — მარჩიელივით განავრძობდა თალიკო, — ისინი თვენახევარს არ დაბრუნდებიან. ჩემი სიძე-ქალიშვილიც კურორტზეა... ასე რომ, ახლა დრო ჩვენს ხელთაა...

სვანიძე დაღონდა, სახეზე მწუხარება გამოეხატა.

— ეე, თალიკო, თალიკო! — ჩურჩულით ამბობდა სვანიძე, — აღარცერთს რომ აღარ შეგვშვენის... ასეც არ იყოს, ჩვენს ნება-სურვილს ზომ კაი ხანია ხუნდი ადევს...

ქალი ჩაფიქრდა, ნათქვამი იწყინა.

— ძალიან გინდა გუნება გამიფუტო? თუ ასეა, მე ახლაც წავალ.

— მოიცა, სად წახვალ? — მხარზე ხელი დაადო სვანიძემ.

— რა ვიცი, სად წავალ. ფიქრობ, ძალიან ადვილი იყო ჩემთვის აქ გამოჩენა?

ახლა სვანიძეს უხერხულობის გრძნობა აწუხებდა. აქ ესენი მარტონი როდი იყვნენ, აქეთ-იქიდან, ალბათ, ასი თვალი უყურებდა.

— მე შენთვის უკვე უცხო აღამიანი ვარ, ზომ? უკვე ვიღაც დედაკაცი ვარ, ზომ? — ეჩურჩულებოდა სუსტი ხმით ქალი და ეს ხმა გულის სიღრმეებში ატანდა, სვანიძის გულს კლავდა.

— არა გრცხვენია? — იმეორებდა სვანიძე, — არა გრცხვენია, რატომ ამბობ ასე?

— დროს ნუ ვკარგავთ, — გააფრთხილა ქალმა. — მე მოვდივარ შენთან. შენ ზომ კრასნოდარის გავლით მაიკოპში მიდიხარ... მე მინდა იქ ვიმკურნალო... სანატორიუმში, ან სადმე სხვაგან... შენ იქაურობას იცნობ, მეც შენი იმედით მოვდივარ...

სვანიძე აწრიალდა, თავში ათასი ფიქრი და აზრი აირია. ერთხელ იყო და, ამ ქალის მიზეზით თანამდებობა დაატოვებინეს, მითქმა-მოთქმის ხმები ჯერაც არ მიწყნარებულა... ამ ბოლო დროს ცოლიც დაეჭვიანდა... ახლა ეს ქალი აგერ ზის და აძალებს... იქ წამიყვანე, სადაც მიდიხარო. არა, წამიყვანე რას მიქვიან, მე თვითონ მოვდივარ!

— მაინც საიდან გაიგე, რომ დღეს მაიკოპში მივდიოდი?

— ეჰ, სვანი! — წყენით თქვა თალიკომ, — გული გულობდეს, თორემ გაუგებელი რა დაგრჩება? შენ საიდან გაიგე, ქალიშვილი რომ გვაუთხოვე? სვანიძეს გაეღიმა.

— დროს ნუ ვკარგავთ, მითხარი, წამოვიდე თუ არა?

— წამოდი, წამოდი, — გაუბედავად უთხრა სვანიძემ, — შენ მართლა მკურნალობა გჭირდება, მე ერთი კარგი მკურნალი ვიცი, არ დაგამადლი, მიგიყვან.

თალიკომ თავი კმაყოფილებით დააქნია: — მდღობა ღმერთს, რომ მკურნალთან მიყვანას აღარ მამადლი. მაგრამ მე სხვა მკურნალობა აღარ მჭირდება.

სვანიძემ ისევ ნაზად და ფრთხილად გადაუსვა თავზე ხელი.

— ოღონდ ჩემი მანქანით ვერ წამოხვალ. ბათუმში ჩემთან ერთად ორი ქალი მოდის. ეჭვს აიღებენ. ისევ მითქმა-მოთქმა დაიწყება. ეს კი არცერთს აღარ გვინდა. მით უმეტეს ახლა, როცა შენ ქერივი ხარ და სიძე და ახალი მოყვრები გყავს. შენ აქ დაიცადე, მე კი ერთ მეგობარს დაფურეკავ. ის მოგაკითხავს და ბათუმში ჩაგიყვანს. ოღონდ შენ იქნები არა თალიკო, არამედ... ვენერა ნიკოლაიშვილი. თბილისელი. და მიდი-ხარ არა კრასნოდარში, არამედ თბილისში. აეროდრომზე კი ვნახავთ ერთმანეთს. გასაგებია?

თალიკომ გაიღიმა და თავი დააქნია.

— მაშ. ნახვამდის, ქალბატონო ვენერა ნიკოლაიშვილი! — უთხრა და წავიდა.

...თვითმფრინავში ისინი ერთად ავიდნენ. წინ თალიკო მიდიოდა. როცა ის თვითმფრინავში შევიდა, სვანიძე მერე ავიდა ტრაპზე.

თალიკომ ილუმინატორთან მარჯვენა მხარეს დაიკავა ადგილი და მასთან მეორე ადგილზე მისული უცნობიც გააფრთხილა: — ეს ადგილი დაკავებულია!

ბოლოს სვანიძეც გამოჩნდა, მგზავრები შეათვალიერა და თალიკოსთან მივიდა.

— ბოლიში, აქ დაჯდომა შეიძლება? — ჰკითხა მეზობლების გასაგონად.

— დაბრძანდით.

მერე ბილეთები დაათვალიერეს და ორივემ ჩუმად გაიცინა: სხვადასხვა დროს შეძენილი მათი ბილეთები გვერდი-გვერდ აღმოჩნდა, ისინი თავიანთ ადგილებზე ისხდნენ! მალე თვითმფრინავი მიწას მოსწყდა და ზღვის სივრცეში შეიჭრა. ილუმინატორიდან ერთად ათვალიერებდნენ ჯერ ზღვას, მერე ლამაზ მთებს, ველებს, ჰავრში მოწიალე ქათქათა ღრუბლებს... ისინი ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. საბედნიეროდ, მათი ნაცნობი არავინ აღმოჩნდა, არც არავის ეცალა მათთვის, ზოგი ჟურნალ-გაზეთს ათვალიერებდა, ზოგი — ილუმინატორიდან ქვეყანას გასცქეროდა.

— თვითმფრინავში პირველად ზომ არა ხარ? — ჩუმად ჰკითხა სვანიძემ.

— თვითმფრინავში არა, — ჩუმადვე უპასუხა თალიკომ, — მეცხრე ცაზე კი პირველად ვარ!

მგზავრობა შესანიშნავი, მოხერხებული გამოდგა. თუმცა გზაში ორი-ჯერ რაღაც გამოუცნობი სევდა აწუხებდა.

მააკობში საუკეთესო სასტუმროში მოეწყვნენ. მათი ნომრები ერთმანეთს პირისპირ იყო. ავთანდილ სვანიძე ბევრჯერ ვოფილა ამ სასტუმროში. როცა მივლინებით ჩამოდიოდა, ყოველთვის აქ ჩერდებოდა ხოლმე. აქაურებიც დიდი პატივით ღებულობდნენ, რადგან იცოდნენ, ვინც იყო. იგი ამ მხარეში ჩაის გავრცელებას ხელმძღვანელობდა, ამ საკითხს სწავლობდა და ამუშავებდა. ჩაის ინსტიტუტის აქაური ნაკვეთები, სადაც აკადემიკოს ქსენია ბახტაძის გამოყვანილი ქართული ჩაის ჯიშები იყო გაშენებული, დიდ იმედებს იძლეოდა, ეს ყინვაგამძლე ჯიშები მეტად პერსპექტიული ჩანდა. ამიტომ ჩაის ინსტიტუტიდან ჩამოსულ ხალხს აქ კვლავ დიდი პატივით ზვდებოდნენ. სვანიძეს სასტუმროში წინასწარ ჰქონდა დაკვეთილი ნომერი. მაგრამ როცა მან ნაცნობი ქალისათვის კიდევ ერთი ნომერი ითხოვა, თუმცა სხვა დროს ასეთი არ დასჭირვებია, სასტუმროს დირექტორი ამ ამბავს არ გაუკვირვებია და სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა — მისცა ნომერი მისი ნომრის პირდაპირ. მააკობში ისინი ორ კვირას დარჩნენ. სვანიძე თავის საქმეზე დადიოდა, ჩაის საყრდენ პუნქტში ისმენდა იქ მომუშავე სპეციალისტთა ანგარიშებს. მათ რჩევა-დარიგებას აძლევდა.

უსაქმოდ არც თალიკო იჯდა. იგი ჯერ ექიმებს გაეხინჯა და მათი მეთვალყურეობით სამკურნალო მინერალურ აბაზანებს იღებდა.

მაიკობი შესანიშნავი ქალაქი-კურორტია. წლის ყველა დროს, განსაკუთრებით კი ზაფხულობით და შემოდგომაზე, აქ უამრავი დამსვენებელი და ტურისტები ჩამოდის. აქაური კლიმატით, მინერალური წყლებითა და აბაზანებით ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იკაჟებს ჯანმრთელობას. აქაური ბაზარიც სავსეა ხილით, პროდუქტებით, თაფლით.

ერთ დღეს სვანიძე საცდელი ნაკვეთებიდან სასტუმროში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. თავის ნომერში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა, სურნელოვანი შავი ქლიავი გარეცხა და დივანზე წამოწვა. კმაყოფილი იყო მუშაობით და... თალიკოს მიმართ მისი მზრუნველობით. რამდენიმე ხნის შემდეგ ქლიავიანი თევში აიღო და გარეთ გავიდა, თალიკოს კარებზე დაუკაკუნა.

— ღიაა, შემოდი! — გაისმა თალიკოს ხმა.

აბაზანების შემდეგ თალიკო ლოგინში იწვა და იხსენებდა. სვანიძემ თევში სასთუმალთან სკამზე დაუდგა და თვითონ სავარძელში ჩაჯდა.

— გმადლობთ, ძვირფასო, — უთხრა თალიკომ და ქლიავი აიღო, — შენი მორთმეული ორმაგად გემრიელი იქნება.

— როგორ ხარ, ხომ არ მოგეწყინა, ან აბაზანებმა ძალიან ხომ არ გაგათეთრა?

თალიკო ღუმდა, ჭერს მისჩერებოდა.

— დაიღალე? — ჰკითხა სვანიძემ.

— იცი, დღეს რაზე ვფიქრობდი, სვანი?

— ჰო, თბილი აბაზანების შემდეგ რა აზრები დაგებადა?

— ადამიანის ცხოვრებაში რა არ ხდება... მაგრამ აი, ორად ორი კვარაც კი, თურმე, საკმარისი ყოფილა, რომ თავი ბედნიერად ჩათვალო... დღეს მე ისეთი ბედნიერი ვარ, შემოდლია მშვიდად მოვკვდე!

— რა სულელური აზრი მოგსვლია! — დატუქსა სვანიძემ.

— არა, ნამდვილს ვამბობ, — უპასუხა თალიკომ, — ეს ორი კვირა ორ საუკუნეს უდრის. დიახ, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. როცა ადამიანი ასე ბედნიერია, ის უნდა მოკვდეს!

სვანიძემ ერთხანს უმზირა, მერე გაიღიმა.

— ახლა შენ რომ აქ მოკვდე, აი ამბავი და სკანდალი მაშინ იკითხვ!

თალიკომ თვალები დახუჭა.

— ხომ ცოდვა ვაქნებოდი, იმ დღეს ქარცივაპის ტყვიას რომ მოვკვალე, ა?

სვანიძე შეიშმუშნა: — რა თქმა უნდა, ცოდვა იქნებოდი.

— მადლობა, დიდებულო ღმერთო, იმდენ ხანს ნაწამებს ბოლოს რომ მაინც გაღმომხედე და ბედნიერი გამხადე, — ნახევრად ჩურჩულთ ამბობდა თვალდახუჭული თალიკო, — მადლობა ღმერთო, რომ არ მომკალი და ასეთი ორი კვირა მაჩუქე! ხომ მართალს ვამბობ, სვანი?

— თუ ღმერთი გისმენს, რა თქმა უნდა, მართალს ამბობ, — ეუბნება სვანიძე და თმაზე ხელს ნაზად უსვამს.

— დღეს კი ვარ ბედნიერი, — თალიკო სვანიძის ხელს კოცნის, გულში იხუტებს, — დღეს კი ვარ, მაგრამ, ძვირფასო, მითხარი, რა უნდა ვქნათ აწი?

— თუ რა უნდა ვქნათ აწი, — იღიმება სვანიძე, — ამაზე პასუხს გავცემს ქალბატონი ცაცა... დასვენებული რომ დაბრუნდება ბაზმაროდან!

— მდა... ქალბატონი ცაცა! — თქვა თალიკომ და თვალები დახუჭა, — კარგი მეუღლე გყავს შენ, სვანი!

— მე კი მყავს, მაგრამ საკითხავია, მას თუ ვყავარ?

ღუმილი ჩამოვარდა.

— ეჰ, რანაირია ცხოვრება! — ისევ ჩურჩულებს თალიკო, — შენ რომ შემიყვარდი, თოთხმეტი წლის ვოგო ვიყავი... მივდიოდი წისქვილში და გზაზე რაღაც მიხაროდა, მიხაროდა, გული სავსე მქონდა სინათლით, სიხარულით... რატომ? გამახსენდებოდა, რომ შენ მიყვარდი და იმიტომ! მივდიოდი ჩაის საკრეფად და გზაში რაღაც მიხაროდა, მიხაროდა... გულში ვარდები მიყვარდა. გამახსენდებოდა, შენ რომ მიყვარდი და იმიტომ! კბრუნდებოდი სკოლიდან და ისევ რაღაც მიხაროდა, მიხაროდა... სიზმარში თუ ცხადში ყველგან შენი სახე, შენი ქოჩორი მეღანდებოდა... ვაზ-



სოვს, მეათე კლასიდან ბიჭები სამხედრო კომისარიატში რომ გამოვიდნენ ხეს და შენს გარდა ყველა თავგადასოტრილი დაბრუნდა?

სვანიძეს გაეცინა: — მახსოვს, მახსოვს.

— დილით მოვედი სკოლაში და რას ვხედავ, ყველანი თმაგადაპარსულნი დაბრუნებულან. გულმა რეჩხი მიყო, ვაითუ ავთოსაც გადაკრიჭეს-მეთქი! მაგრამ არა! მალე შენც გამოჩნდი ლამაზად დავარცხნილი მაღალი ქოჩორით. როგორ გამეხარდა! ლუბა მასწავლებელმა შენ რომ შეგხედა, სხვები დატუქსა,—აბა, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ, ბავშვებო?!—გახსოვს?

— მახსოვს, — გაიცინა სვანიძემ, — პარიკმახერთან რიგში რომ ვიდექით, უცებ ერთი აზრი მომივიდა, სწრაფად მეორე სართულზე აველი და კომისართან შევედი.

— რა ვნებათ? — მომაჩერდა კომისარი.

— რატომ გვპარსავენ თმას, ამხანაგო კომისარო, ჩვენ ხომ ჯერ ჯარში არ მივდივართ, სკოლაც არ დაგვიმთავრებია?

— მერე, თმის გადაპარსვა ასეთი ტრაგედიაა?

— მე თმას ვერ გადავიპარსავ, სკოლაში შეყვარებული მყავს და მას თავგადასოტრილი ვერ დავენახვები!

კომისარმა უცებ ისეთი გადაიხარხარა, ფანჯრებიც კი აზრიალდა. მერე ღხლავს თითი დააჭირა და შემოსულ გოგონას უბრძანა, მეორე ნაწილის უფროსი მომიყვანეთ.

შემოვიდა მეორე ნაწილის უფროსი.

— რატომ პარსავ ბავშვებს თმას, ისინი ჯარში ხვალ ხომ არ მიდიან? მეორე ნაწილის უფროსმა მხრები აიჩჩია.

— კარგი, ამ ბიჭს მაინც აღარ გადაპარსო, ხუმრობა ხომ არაა, შეყვარებული ჰყოლია. ამის ჯარში გაწვევაც კი არ შეიძლება, იქ გოგო რომ მოენატროს, შინ გამოიპარება... წიდი სვანიძე, შენი ქოჩორი ღმერთმა მოგახპაროს, აჩვენე შეყვარებულს...

— შენ იმ დღეს ევ ამბავი ასე მოუყევი ლუბა მასწავლებელსაც. მერე მთელმა სკოლამ გაიგო, სამასწავლებლოშიც კი იცინოდნენ. როგორ მიხაროდა, რომ გიყურებდი! გულში ვამაყობდი, ასეთი გმირი შეყვარებული რომ მყავდა! ეე, რა ბედნიერი დღეები იყო, რა სიხარულით, რა სიხათლით იყო სავსე ქვეყანა! ასეთი ოთხი წელიწადი მქონდა. მერე? მერე ყველაფერი უცებ დაინგრა... და მიკვირდა, მაინც რომ ცოცხალი ვიყავი... მივდიოდი გზაზე და რაღაც მაწუხებდა, მტანჯავდა, მოსვენებას არ მაძლევდა... მერე გამახსენდებოდა, რომ შენ მყავდი დაკარგული! საზოგადოებაში, შეკრებულებაში, იცინოდნენ, მხიარულობდნენ, მეც ვიცინოდი, მაგრამ რაღაცა მაინც არ მასვენებდა, მაწვალებდა, მტანჯავდა... და უცებ გამახსენდებოდი შენ... შენ რომ ჩემი აღარ იყავი, უკვე ცხრაშეტი წელიწადია, ამ დღეში ვარ. რამდენი ტანჯვაწამება გამოვიარე, სვანი! და

მაინც, თურმე, რა ბედნიერი ვყოფილვარ, რომ ქარცივადის ტყვიას ვადავუხრნი! ხომ მართალს ვამბობ?

— კი, მართალს ამბობ! — დაეთანხმა სვანიძე.

— რა ჭკვიანურად მოვიფიქრე, აქ გამოვყოლოდი, არა? ხომ სვანი? ხომ კარგად მოვიფიქრე? ხომ მართალს ვამბობ?

— კი, მართალს ამბობ. — მწუხარედ იღიმება სვანიძე.

თალიკო თვალს ახელს და იღიმება.

— თუმცა არა, დაგლუბე კაცი, აქ რომ წამოგყევი! — ეშმაკურად იცი-
ნის თალიკო, — რა ქალებია, რა ლამაზები! დღეს აბაზანებზე ქალი ვნახე.
ო, ღმერთო, როგორ შექმნი ასეთ სასწაულს! თეთრი, თეთრი, ჩამოსხმუ-
ლი ანგელოსი! მე ქალი ვარ და მაინც შემეხარბა. ხომ შევიშალე ხელი,
აქ რომ გამოვყევი, სვანი?

— კარგი, ნუ სულელობ, — გააჩუმა სვანიძემ, — კაფეში ხომ არ შევ-
სულიყავით? რაიმეს შევექცეოდით, თანაც ძალიან მინდა შამპანური
დავლიო.

— სიამოვნებით! — გახალისდა თალიკო, — მე ვპატიუებ. — მცირე
დუმილის შემდეგ კი დაამატა: — რა კარგია, ქვრივი რომ ვარ, არა?

— ვადაძრევს ეს ქალი! — თქვა სვანიძემ და წამოდგა.

— კარგი, მე ანჭავე ავღებები, პირს დავიბან, კონტად მოვიკაზმები.

— ნომერში დაგვლოდები.

თალიკო ლოგინის თავს ზურგით მიეყრდნო.

— დაიცა, რაღაც მინდა გკითხო. შეგვიძლია თუ არა; ერთი კვირა
ისევ აქ დავრჩეთ?

— არა, დაღესტანში ხომ უნდა ჩავიდე, საქმე იქაც ბევრია, ასპირან-
ტები მყავს.

— როგორ თუ ჩახვიდე, მარტოდ მიდიხარ?

— რატომ მარტოდ, შენც წამოხვალ.

— ეს სხვა ამბავია.

— ადექი, ადექი.

— ანჭავე გამოვალ. მაგრამ კაბა როგორი ჩავიცვა?

— ისეთი, როგორიც ქვრივს დაშვენდება! — უთხრა სვანიძემ და კა-
რებისაკენ წავიდა.

მალე-ისინი ღია ცის ქვეშ, კაფეში მაგიდას უსხდნენ.

ოფიციატმა ქალმა ნამცხვარი, ხილი, ერთი ბოთლი შამპანური, ნა-
ყინი და შავი ყავა ჩაიწერა.

შამპანურს რომ შეექცეოდნენ, ისინი გახალისდნენ, თითქოს ჩვიდმე-
ტი წლისანი იყვნენ და ცხოვრებას ახლა იწყებდნენ. ყავა რომ შესვეს,
სვანიძემ თალიკოს პირჩამხობილი ფინჯანი აიღო და „მკითხაობა“
დაიწყო.

— თქვენ... ოცდათექვსმეტი წლისა ხართ...

— ყოჩაღ, — მიაჩერდა თალიკო, — გცოდნიათ წაკითხვა.

— ქვრივი... ამ ცოტა ხნის წინათ ქალიშვილი გავითხოვებით... კარგი საქმეც გამოსულა, ისინიც კმაყოფილნი არიან... მაგრამ თქვენს გულში... რაღაც ვერ არის სიმშვიდე... გიყვარდათ ვინმე? აქ ასე გამოდის... მაგრამ იცით, რას გეტყვით? აი თქვენ თხოვდებით! არა, ნამდვილად თხოვდებით. თუმცა რა გასაკვირია, ოცდათექვსმეტი წლის ქალი ვითომ რატომ არ უნდა გათხოვდეს? სხვათა შორის, ამ გათხოვებით დიდი კმაყოფილება და ბედნიერება გელვით...

თალიკო მხიარულად იღიმებოდა, ლაზღანდარა „მკითხავს“ მოთმინებით უსმენდა.

— აბა, ერთი კარგად წაკითხე, სვანი, ვთხოვდები თუ უკვე გათხოვილი ვარ?

სვანიძემ ფინჯანი განზე გადადო.

— ჩემი აზრით, მართლაც უნდა გათხოვდე. ეს ჭკვიანური იქნება.

— გათხოვება ჩემი ოცნებაა, სვანი. მაგრამ მხოლოდ ერთ კაცზე! ახლა თალიკომ აიღო სვანიძის ფინჯანი.

— შენ გვინა, მე არ ვიცი წაკითხვა?

— კარგი, ხალხი გვიყურებს, ვილაცას ეგონება ამას სერიოზულად ვაკეთებთ.

— მე მინდა სერიოზულად გიმკითხო, — ღიმილით მისჩერებია სვანიძეს თალიკო, — აი როგორი. სინათლე გაქვს! თუმცა წარსულში ვიღაც ქალის გულის გამო დიდი სკანდალი შეგხვედრია... მაგრამ იმ დღეაკაცს შენ თავზე მეტად უყვარხარ. აქ ასე გამოდის. ცოლ-შვილში გახარებული ხარ... სამუშაოზედაც წინსვლა და სიხარული გელის. მაგრამ გულში... შენც ვილაცაზე ფიქრობ. იმ ვილაცის გამო შეიძლება კიდევ რაღაც უსიამოვნება შეგემთხვას...

— გაგიჟლი?!

— არა, ცოტა უსიამოვნება კიდევ უნდა აიტანო. შენ ის ქალი გიყვარს... გინდა დაივიწყო, მაგრამ ვერ ახერხებ. ვერ ახერხებ, რადგან ის ქალი ვერ გშორდება. სხვათა შორის, მას ძალიან უნდა ჩამოგშორდეს, დაგივიწყოს, რომ ხელი არ შეემალოს, მაგრამ... რა ქნას?

— სკანდალი მართლა მომელის?

— არა, ღმერთმა დაგვიფაროს, — ჩურჩულით თქვა თალიკომ და ფინჯანი განზე გადადო, — სკანდალი მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოგველის — ამ ჩვენს ერთად ყოფნას თუ გაიგებს ცაცა! მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ ცაცა თავზეც რომ წამოგვადგეს, ყველაფერს კვაპატიებს...

— შენ ასე გვინა.



— რატომ არ უნდა გვაპატიოს, ჩვენ ხომ გულით გვიყვარს ერთმანეთი?

— ოო, რა ბავშვი ხარ... მე ერთი ექიმის მისამართი მაქვს, მინდა ამაღამვე მასთან მივიყვანო.

— თუკი მეტყვი, წამოვალ.

— ჯერ მე თვითონ უნდა მივიდე და მოველაპარაკო.

ერთი წლის წინ, როცა სვანიძე მაიკოპში მივლინებით იმყოფებოდა, იქაურ ვაზეთში წაიკითხა ერთი ექიმის, ფსიქო-თერაპევტის შესახებ, რომელიც თურმე ჰიპნოზის დახმარებით „სიყვარულით დაავადებულ ადამიანებს მკურნალობს“. ამ კაცმა, გვარად ზნამენსკიმ, შეიშუშვა მკურნალობის მეთოდი, რომლითაც კურნავს უიმედოდ შეყვარებულებს, ადამიანებს, რომელთაც სიყვარულში მარცხი განუცდიათ და ტრავმა ვერ მოუშორებიათ. კურნავს, სიყვარულით გამოწვეულ განსაცდელს ავიწყებს.

სვანიძემ მაშინ გაზეთი შეინახა, ამ ექიმის მისამართი ჩაიწერა...

ექიმმა ზნამენსკიმ ქართველი სტუმარი შინ თავაზიანად მიიღო და ყურადღებით მოუსმინა. სვანიძემ მოუყვა თალიკოს თავადასავალი. მოუყვა უბელო სიყვარულის ამბავი და შეევედრა, ეს ქალი როგორმე იმგვარად განეკურნა, რომ დაევიწყებინა ძველი სიყვარული და ეპოვა თავისთავში ძალა, რომ ახალ გზას დასდგომოდა, შესძლებოდა ხელახლა გათხოვილიყო და ბედნიერი ყოფილიყო. ის ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალაა...

ექიმმა სტუმრის ნაამბობი ყურადღებით რომ მოისმინა, თავაზიანად ჰკითხა:

— მართალია თუ არა, რომ თქვენ ეს ქალი ისევ გიყვართ?

— ვთქვით, მართალია, — უპასუხა სვანიძემ, — მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი, მე ცოლ-შვილი მყავს, თავს მაინც ბედნიერ კაცად ვთვლი, ოღონდ მინდა როგორმე ამ ქალს ვუშველო, ამ სიყვარულისაგან განვკურნო.

ფსიქო-თერაპევტმა სტუმარი კეთილი და სათნო ღიმილით დააჯილდოვა.

— ძვირფასო მეგობარო, — უთხრა მან, — იმისი მსგავსი, რაც ახლა მომიყვით, ჩემს პრაქტიკაში არ შემხვედრია. ქალი, რომელსაც ამდენი ხანია ერთი კაცი უყვარს, ვერ ივიწყებს და ისევ მას ელოლიავენა, ამქვეყნად უბედნიერესი ადამიანი ყოფილა! თქვენ კი მთხოვთ და მირჩევთ მას იმნაირად ვუმკურნალო, რომ ეს ბედნიერება დაუკარგო? ეს ხომ დახმარება კი არა, ბარბაროსობა იქნებოდა? ადამიანს უბელო სიყვარულის განცდა, მართლაც სტანჯავს, ტკივილს აყენებს, მაგრამ ის რომ მოვშორით, ხომ უარესად დაიტანჯება! თავის წარმოსახვაში, მთელი შინაგანი არსებით ეს ქალი მუდამ თავის საყვარელ ადამიანთანაა, იგი ამით ცოცხლობს და სულღებულობს. განა შეიძლება მას ეს გრძნობა წავართ-

ვან? ჩვენ შეგვიძლია ადამიანს დავეხმაროთ იპოვოს თავისი თავი, შთა-
ვუნერგოთ თავის თავისადმი რწმენა, დამოუკიდებლობის შეგნება. ეს მა-
შინ, როცა მისი თავმოყვარეობა შელახულია პარტნიორის ღალატით,
მისგან წასვლით, განშორებით. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, უფლება არა
გვაქვს, მას შევაძულოთ, დავავიწყოთ საყვარელი ადამიანი — იგი ამისა-
თვის მადლობას როდი გვეტყვის! მაგრამ ზოგჯერ ადამიანს ტანჯავს არა
სიყვარული, არამედ შელახული თავმოყვარეობა. მას კი ეს სიყვარული
ჰგონია. გაიხსენეთ, როგორ იწვოდა ჟულიენ სორელი, რამდენს წვალო-
ბდა, რომ ამაყი მათილდას გული დაეპყრო, სიკვდილის წინ კი დარწმუნ-
და, რომ ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ ქალბატონი დე რენალი ჰყვა-
რებია...

სვანიძემ ექიმს კეთილი საუბრისათვის მადლობა მოახსენა და წა-
მოვიდა

თალიკო თავის ნომერში დაუხვდა, სარკის წინ თმას ივარცხნიდა,
კეკლუცობდა.

— ჰო, როგორაა საქმე, — ჰკითხა კონტად გამოწყობილმა, — ისევ
მოგწონვარ, თუ უკვე მოგებზრდი?

— სიყვარულისაგან შენი განკურნება მინდოდა, მაგრამ ექიმმა მითხ-
რა, უკვე დაგვიანებულია, ეს სენი ქრონიკულად გადაქცევიდაო... დავრჩეთ
ისევ ერთ კვირას, შენ აბაზანების მიღებას განაგრძობ, მე კი ჩემს საც-
დელ ნაკვეთებში ზივლი, საქმე აქაც ბევრია...

— როგორ გამახარე სვანი! დავრჩეთ, ძვირფასო... ნუ გეშინია, ცაცა
ყველაფერს გვაპატიებს...

— კარგი რა, ცაცას თავი დაანებე!

— მართალს ვამბობ, სვანი... გვაპატიებს. მით უმეტეს, რომ მე მალე
მოკვდები

— რა სისულელე ავიჩემებია! — დატუქსა სვანიძემ, — მოკვდები,
მოკვდები... — მერე ახლოს მივიდა, სარკეში თმების დავარცხნაში დაეხ-
მარა, მოეფერა, — ნუ გეშინია, არ მოკვდები. რატომ უნდა მოკვდე ასეთი
ნაზი, ასეთი ღამაზი...



**სეკტემბერი,
მამწიფარები...**

მამწიფარა, მამწიფარა,
სექტემბერი მწიფს,
მწყერიფება ეფერება
თეთრი გოგოს წვივს.
მთა წვიმებმა გადიარეს,
ცა ქორებმა გამოსტოპეს,
თეთრ მუხლებზე სიმინდები
იფარებენ შქერის ღობეს.
შემოსკდა ღამე ქედებს,
ქრის ზეფირი რუღუნებით
და მთოვართ ნათოვარი.
უჩანს ღამეს ძუძუები...
მამწიფარა, მამწიფარა,
სექტემბერი მწიფს,
მწყერიფება ეფერება
თეთრი გოგოს წვივს.

შენ დაუამე სნეულთა — ბურღლით
ფარშევანგისა დედალ-მამალის...
სულის და ხორცის ყველა
ტკივილის
ჩვენს მამულშია ჩვენი წამადი.

ღვას ღვინობისთვე

ღამეებია ახლა ჭყურტისფერი,
ღღეებს ფოთლები მიაცილებენ
და ყორეებზე ყრია კვახები
ტანდაბანილი დიაცებივით.
თიხის დოქებში, სურის
ყელ-ყელში
ღვას ღვინობისთვე,
სოფლის ძაღლები მისდევენ
ყეფით
ვაზის ფოთოლმფარებულ
დიონისეს.

ხასან ხაბაზს

სტირიან ქედზე ზიმთის ხეები,
ბალახ-ბულახი, დეკა და ღვია,
თაფლის სანთელი, ერბო და
ზეთი,
რომელსაც ჩვენში მალამო ჰქვია.
ფანასკერტელთა, თურმანიძეთა,
მოაქუამამდე სუნი საამო,
საქართველოში ბედის
ჭრილობებს
შემოხარჯვია მათი მალამო,

ნაადრევი ყვაილებიც ვიყიდე,
ხარის რქებიც, ღელის ქვაც.
არ და არა, ამ ქალაქში
შენი სუნთქვა არ იქნა!
განწმენდილხარ, განბანილხარ
თავით ფეხის თითამდე,
მე კი მაინც პირველქმნილი,
ცოდვიანი მიყვარდი.
გაურანდავს, როგორც ფიცარს
ვნატრობ მე შენს კილო-კავს,
ვაგალ მერე ფიქრის დღელს
და იარას ვილოკავ.

შიშველ დიაცებს რენუარის,
მიაქვთ ყვავილები უფლისათვის...
მე უფრო მალეღვებს
თალხი კაბიდან მომზირალი
მუხლისთავი,

მე უფრო მიყვარს
ღამე, რომელიც ღრიჭოდან ჩანს,
წყლიან პეშეში რომ თრთის
ერთი ნაფლეთი ცა...

მანია მიქელანჯილი

სევდა თოვდა,
სევდა მოვდა,
სულშიც სევდა კიოდა,
ყველა ტოტს და ყველა ფოთოლს
უშენობა ტკიოდა.
ქარი ქროდა,
ქარი ქროდა,
სუსხიანი მჟნდილით.
ფანჯარასთან გაირინდა

მონატრების ანრდილი.
ტრიალებდა შავი დისკო
და ტიროდა ქვეყანა,
...ფანჯრის ნაცვლად, იისფერი
ნამსხვრევები ეყარა.
არც არავინ მიბრალედა.
არც არავინ მხედავდა,
მართო ვიდექ თმებგაშლილი
სიყვარულის ცხედართან.

მოლოდინი

ფართოდ გავუღებ გაზაფხულს კარებს,
მერე გავყვები იმედს აპრილთან,
სევდას გავატან ზამთრის თეთრ ქარებს
და გამოვუხმობ უფლისწულს ზღაპრიდან.
სულში შობენის მუსიკასავით
დამივლის აპრილი, ამრევი თავგზის,
გემუდარები, მაჩუქე იმ დღეს
ღიმილის გვირილა, თეთრი და ნაზი!..



ჯერჯერობით კი დაველოდით...

შუალამე რომ მოახლოვდა, მუშაობას თავი მიაჩნება, სეირნობის დრო იყო. ზამთრის მშრალი უაფრო ღამე იდგა. ბალისაკენ ჩაუყვავ ქუჩას.

ბატონი ოთარი ორმოცდაათს კარგა გადაცილებული, მაგრამ ახალგაზრდობით სავსე კაცია. მისი პროფესია რომანების წერაა. დაღლილი, შუალამის მოახლოებამდე სასეირნოდ დადიოდა ყოველდღიურად. ზუსტად თორმეტ საათზე ბაღში ერთსადანიმავე ხის ქვეშ ჯდებოდა, თავის რომანზე ფიქრებისაგან განთავისუფლებული, და ტვინის სიცარიელით ტკებოდა, ფიქრებისაგან დაცლილი გაჰყურებდა შუალამეს. ეს წუთები უდიდეს სიამოვნებას ჰკვირებდა.

ერთ დღეს შეამჩნია, რომ ზუსტად თორმეტ საათზე იგივე ადგილას ჯდებოდა სკამზე. ზუმრობით გაიფიქრა, „ეშმაკი ხომ არ მიხმობს შეხვედრაზე“, მერე კი საგანგებოდ მოდიოდა ამ ადგილზე, მოსწონდა ასეთი სეირნობა. მალე ამ სკამთან მოსვლა რიტუალს დაემსგავსა. „მისტიკური“ უწოდა ბატონმა ოთარმა შუალამის სეირნობას და მალე ჩვევაშიც გაუჯდა ამ სკამზე დასვენება.

„ეშმაკი არა და არა ჩანს“, ზუმრობით ფიქრობდა იგი. ბატონ ოთარს ეშმაკებისა და მსგავსი რამეების არ სჯეროდა და, საერთოდ, მისტიკაზე უფრო სულელურ რამედ არაფერი მიაჩნდა, თავს რეალისტად თვლიდა. იგი ფიქრობდა, „ჩემს მაგივრად რომელიმე სხვა მწერალს რომ შეემჩნია, თორმეტ საათზე ერთსადანიმავე ადგილას მივდივარო, კარგ მოთხრობას მოაკვარახვინებდა“. ეს სიტყვა ძალზე იზიდავდა პატივცემულ მწერალს, თუმც საკმაოდ მაღალი გემოვნებისა იყო. ასეც იცოდა თქმა, „ფუთიანი რომანი მოვაკვარახვინეო“. იგი კმაყოფილი იყო, იმდენად სულელა არა ვარ, მისტიკური რომანი დაწერო. ამ შუალამისეულ სეირნობებს, რა თქმა უნდა, დამთხვევად თვლიდა. დღის რეჟიმში ხომ ვარკვევით ჰქონდა ჩაწერილი: სეირნობა ბაღში 23-30 — 00-15. საერთოდ, ბატონ ოთარს არა მარტო მისტიკის, არამედ არაფერი სხვისი ნათქვამი არ სჯეროდა, სანამ გაზეთში არ წაიკითხავდა, ან საღამე მეცნიერულ წყაროში არ იქნებოდა დამოწმებული.

გუმინ წააკითხეს სპორტულ გაზეთში (სპორტულ გაზეთებს არ კიბულობდა), სიმაღლეზე მხტომელ ფორსბიურზე წერდნენ, რომ იგი თითქოს უცხო სამყაროებს შეხვდა. მოსულმა სითხისა და რაღაც მედალიონის

მეშვეობით ყველაზე დიდ სიმაღლეზე გადაავლო ფორსბიურა. ახლა ბატონი ოთარი ბალისაკენ მიუყვებოდა ქუჩას და წაკითხულს ანალიზებდა. არაფრით არ სჯეროდა უცხო სამყაროიონის გამოცხადება. ერთი კი ენიშნა, ფორსბიურიმ პირველმა გამოიყენა ზურგიდან ხტომის წესი, რამაც უწინდელი რეკორდების გაუმჯობესების საშუალება მისცა. ვერ იჯერებდა, ფორსბიური ყველაფერს ისე უცნაურად ჰყვებოდა. არა, არ სჯეროდა. მერე იფიქრა, რეკლამის მიზნით თუ მოიფიქრაო. უამრავი რამ გავიგონა მფრინავ თეფშებზე, სხვა სამყაროებთან შეხვედრაზე, მაგრამ არ სჯეროდა. ასეთ ჭორსაც კი მოჰკრა ყური, ამერიკელებთან ერთად მფრინავი თეფშიც დაჯდა მთვარეზეო. არ სჯეროდა, სისულელეაო! ასე თუა, პრესაში რად არ სწერნო. უთხრეს „კაცობრიობა არ არის მზად მათთან შესახვედრად და ძალავენ, შიში რომ არ დაეუფლოს ქვეყანასო“.

იმ ჭორის მოყვარულმა ახალგაზრდა პოეტმა მთელი მოსაზრება გამოთქვა, თუ რატომ არ შემოდინა მოსულები კონტაქტში. იგი ამბობდა: „ჩვენ მზად არ ვართ. მიუხედავად უამრავი ფანტასტიკური ლიტერატურისა, არც ერთი ნაწარმოებთაგანი საშუალებას არ იძლევა წარმოვიდგინოთ სხვა სამყაროები. ფიზიკურად ჩვენნიარებიც რომც იყვნენ, მსოფლმხედველობა განსხვავებული ექნებათ და, სართოდ, სულ სხვაგვარი დამოკიდებულება სამყაროებზე მოვლენებთან“. ბატონ ოთარს ასეთი ლაპარაკი სძაგდა, მაგრამ ცნობილი მწერლისა და პედაგოგის მძიმე სახელი აიძულებდა ესმინა „იმედისმომცემ ახალგაზრდისათვის“. ვთქვათ, განაგრძობდა ჭორის მოყვარული პოეტი: „მოსული ჩვენი ფსიქოლოგიის შესწავლის მიზნით დასახლდა შალვას მეზობლად (შალვა შუახნის „ახალგაზრდა პოეტი“), ჰოდა, რას ხედავს: ეს ჩვენი შალვა-ვიდაც ქალს დასდევს უკან (შალვა აქ განგებ გარია, რადგან მასზე ამბობენ, ქალებთან არ უმართლებსო), კითხულობს მოსული შალვას ფიქრებს, შალვას სიზმრებს. ყველაფერი ამ ქალითაა დაკავებული. იცის მოსულმა, რომ ასე უნდა იყოს, მაგრამ ვერაფრით გაუგია, რატომ? თურმე იმ პლანეტაზე (ვაჰყვა ოცნებას ეს ჭორის მოყვარული) სქესობრივი კავშირი შთამომავლობის შესაქმნელად აღარ სჭირდებათ. გენეტიკის ლაბორატორიაში ამზადებენ უმაღლესი ნიჭიერებისა და ფიზიკურად უნაკლო ადამიანებს. სქესმა დაკარგა მნიშვნელობა და გაქრა. უკვე უამრავმა თაობამ აღარ იცის სქესი, იგი ისტორიის კუთვნილებაა, ანდა აღარ იბრაწება წიწილები, აღარ ცხვება ხაჭაპურები, გემოვნებას აღარავინ დაგიდევს. რამდენიმე აბი და — ენერგიით ხარ სავსე, ყრველგვარი კალორიებით. გემოვნებათ სიამოვნებაც წარსულშია, უკვე უამრავმა თაობამ არ იცის გემოვნება. დაკარგულ სიამოვნებებს კი სხვაგვარად ივსებენ, ვთქვათ, რაიმე პრობლემისტური ამოცანის ამოხსნა იმავე გალიზიანებას იწვევს ტვინში, რასაც სქესი იწვევდა. ჰოდა! ასეთი კაცი გაუგებდა ახლა შალვას? თვალს უკრავს ჭორის მოყვარული პოეტი ირგვლივ მყოფთ. შალვა



ჭარხალია. ბატონი ოთარი ნაძალადევი ღიმილით, „ცნობილი მწერალი ილიძემა იმედისმომცემ ახალგაზრდის ხუმრობაზე. ეს მოსულებიც გვაჩვენებს მათი არსებობის შესაძლებლობას. თვით ბიბლიური თქმულებები მოსულებზე („ღვთის შვილების“ სახით) ამ პროგრამის ნაწილია, რამდენი ხანია ველოდებით უცხო სამყაროსთან შეხვედრას კოსმოსური მარტოობით დასწევულებულები. აგერ გამოჩნდნენ და არავის გვაჯერა. ყველას უჭირს დაჯერება, რომ შორეთიდან, ვთქვათ 30 ფარსეკის იქეთ პლანეტიდან მოვიდნენ ჩვენს პატარა დედამიწაზე, კვერცხისოდნა რომაა, არც გვაჯერა სანამ პირადად არ ვნახავთ ან ოფიციალურად არ გვაცნობებენ. ეს ოფიციალური ნაცნობობა შეადრწუნებს კაცობრიობის დიდ ნაწილს, იგრძნობს რა საკუთარ უსუსურობას მოსულთა წინაშე. ისე როგორც ძრწოდნენ თეთრსახოვან ცხენოსანთა დანახვაზე ინდიელები და ღმერთებად რაცხდნენ ჭუჭყიან ყაჩაღებს“ — განაგრძობდა ჭორის მოყვარული, — „სხვა სამყაროსს რომ შევხვდეთ, შეიძლება არც კი შევშინდეთ, შეიძლება მშვიდადაც კი გავესაუბროთ, მერე მაინც შეეძრწუნდებით უცნაურობით. მოხდა ის, რაც არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, დავფრთხებით საკუთარი უძლეურობით და შემოგვეპარება შიში, შიში იმ თავვისა, კატას სათამაშოდ რომ უქცევია. შეგვეშინდება იმისა, რომ სხვა ბიოლოგიურ არსებას შეუძლია „უძლეველი ადამიანი“ ჭიანჭველასავით გასრისოს. ჰოდა, ნელ-ნელა გვაჩვენებს, ხან ვის ეჩვენებია, ხან ვის. გავა წლები და ისე ხშირი იქნება ლაპარაკი უცხო სამყაროებზე, რომ შემოვა ჩვენს ყოველდღიურობაში მოსულების რეალური სახე და ჩვენ მივენდობით მათ, დარწმუნებული, რომ ისინი უმაღლესი სიკეთის მატარებლები არიან. შემდეგ შიში ისეთ ზღვარამდის იკლებს, რომ შეხვედრა შედგება“. ბატონ ოთარს ასე არ მიაჩნდა, ჭორის მოყვარულ პოეტს უსაქმურად თვლიდა და საერთოდ ასეთ მოლაპარაკე ხალხს — მიცლილებად.

რა სისულელეა! ფორსბიური, ჭორის მოყვარული პოეტი, სხვა სამყაროინი... შუალაშე მოახლოვდა. ამოჩემებულ სკამძელზე ჩამოჯდა, ფიქრები განდევნა და სივრცეს მიაპყრო მზერა. სივრცე თითქოსდა შეინძრა და საღამოს ბინდს მოქალაქე გამოეყო. საკუთარი თვალებით დაინახა, რომ გაჩნდა, მაგრამ დაჯერება არ უნდოდა: „აღბათ, ხის უკან იდგა და გამოვიდა, სიბნელეში კი მომჩვენა, თითქოს გაჩნდა“. უცნობი მიუახლოვდა, იქვე გვერდით ჩამოჯდა. ბატონმა ოთარმა შიშით გადახედა. ჩვეულებრივი ადამიანი იყო, არაფრით ჰგავდა ისეთს, რომლებიც ჩნდებიან. ლამპონის შუქი ხეს ეცემოდა, ხის ჩრდილი კი უცნობს და მისი სახე კარგად არ ჩანდა. მწერალმა სივრცეს მოუკიდა. „მისმინეთ“, თქვა უცნობმა მაგნიტოფონის ტემპრით: „გკითხეთ: არასოდეს მომიწევია სივარეტი, თქვენ რატომ ეწევიეთ?“. „ვინ ჰკითხავს“, გაიფიქრა ბატონმა ოთარმა. „მე არავინ მკითხავს“. ვი შეშინდა... „მინტერესებს, რატომ ეწევიან, ყველა სივარეტის მწე-



ველი სხვადასხვა პასუხს იძლევა. მისმინეთ და არ შემაწყვეტინოთ, ნუ გეშინიათ, მე ჰუმნერი, — ამტკრევედა უცნობი, — მე სხვა პლანეტიდან მოსული ვარ“. ოი, საშინელებაჲ! უცნობის სახე ისეთივე იყო, როგორც ფორსბიურის სხვასამყარიონისა, მას არ ჰქონდა ცხვირი და ნიკაპი. — ჩვენ ვსწავლობთ რატომ ეწევა სიგარეტს დედამიწიონი. გთხოვთ, მაპასუხოთ... „ან გიჟია ან ხულიგანი“, გაიფიქრა მწერალმა. „მე არა ხულიგანი“... ეს მეტისმეტი იყო. — „იგი აზრებს. კითხულობს“, გაუელვა მას. „ღიას!“ დაუდასტურა მოსულმა. „ნუ გეშინიათ, მე ჰუმნერი“, „არ მჯერა“, თქვა ბატონმა ოთარმა. „მე აზრებს ვკითხულობ, ეს ფაქტია, დაიჯერეთ“. „თქვენ... თქვენ ჰიპნოზს მიკეთებთ, არ მჯერა“. „ნუ გჯერა“, თქვა უცნობმა. „თქვენ მიპასუხეთ, რატომ ეწევით, მე წავალ, მეხსიერებიდან ამოვშლი ამ შეხვედრას და თქვენ მეტი აღარ შეგეშინდებთ“, „სიგარეტს არ ვიცი, რატომ ვეწევი. ბავშვობაში დავიწყე უფროსების მიბადებით, იმაზე კი არასოდეს მიფიქრია, უფროსები რატომ ეწეოდნენ. სიგარეტი გვამშვიდებს, როცა ვნერვიულობთ, სიგარეტი ფიქრის დროს გვეხმარება. „გასაგებია, — თქვა უცნობმა. — ნუ ნერვიულობთ, რატომ ნერვიულობთ“... და მიხვდა უცებ ბატონი ოთარი, თუ რატომ ნერვიულობს, რატომ ნერვაულობს კაცობრიობა. სიღარიბე, უსამართლობა დაუკმაყოფილებელი სურვილები არაა მთავარი მიზეზი ტანჯვისა, მიზეზი ერთია — შიში, შიში სიკვდილისა, სიკვდილის შიში შობს დანარჩენს... და ამ სხვასამყარიონმა არ იცის ნერვიულობა და მეკითხება, რატომ ნერვიულობო? მას სიკვდილის არ ეშინია, იგი უკვდავია. „მე სიკვდილის მეშინია და ვნერვიულობ, — უთხრა ბატონმა ოთარმა. — ამიტომაც ვეწევი სიგარეტს და ვწერ რომანებს“. „მესმის, — თქვა მოსულმა, — „ნუ გეშინიათ სხეულებრივი უკვდავება არ არსებობს, მხოლოდ ინფორმაცია რჩება ჩვენზე სივრცეში. აზროვნება უკვდავებაში შეიძლება, ცხოვრება არა. მე თქვენთან ამ შეხვედრას ამოგიშლით ტვინიდან, თორემ თვალები შემინებულია“. „არა! ნუ ამოშლით, გთხოვთ! მე აღარ მეშინია. ჩემი რომანებიც სომ უკვდავებაში აზროვნებას მცდელთაა. მე მინდა ყველას ეუამბო ამ შეხვედრაზე, იმ ჭორიკანა პოეტსაც მოუყუყვი“. „კარგი, მე არ ამოვშლი, მაგრამ არავინ დაგიჯერებთ, ვერ კიდევ დღესანს არავინ დაგიჯერებთ, ვერ დრო არ მოსულა. ყველაფერს თავისი დრო აქვს...“ „ჟამი სიკვდილისა და ჟამი სიცოცხლისა“, ასე სწერია ბიბლიაში“, — თქვა უცნობმა და ადგა. ჰაერი კვლავ შეინძრა, შემდეგ ოდნავ განათდა და უცნობი გაქრა.

მწერალი დომხდარზე არ ფიქრობდა. იგი თვალებგამტერებული იჯდა. ყრუ ტკივილმა გაუარა გულში, „მართლაც არავინ დამიჯერებს, იქნებ მომეჩვენა, ფორსბიურის სტატია, პოეტის მონოლოგი, მისტიკური სეირონობები და მუშაობისაგან გადაღლილმა ტვინმა უნებურად შექმნა ჰალუცინაცია. კმ! რა თქმა უნდა! სიგარეტს რატომ ეწევიო?! უკეთესი შეკითხვა

ვერ მოიფიქრა იმ ჭორიკანა პოეტს მოუყვები, თუ დაიჯერებს, ნეტავ, არა, იფიქრებს შეთხზაო, მართალიც იქნება. ხუმრობითაც არ უნდა იფიქრო მისტიკაზე და ამგვარ რამეებზე, მწერლის მეტაფორული ტვინისათვის ამგვარი ფიქრიც კი საკმარისია, ერთი მისტიკური მოთხრობა რომ მოაკვარაბჭინო!

ჭორის მოყვარულმა პოეტმა არ დაიჯერა (როგორც ბატონი ოთარი ელოდა). „მშვენიერი მოთხრობა შევითხზავთ, ბატონო ოთარ, გუშინდელი საუბრის თემაზე. მიუტანეთ თელოს, დაბეჭდავს“. „არა, არა, — გაიღიმა ბატონმა ოთარმა, — ჩემს სტილში არაა, თქვენთვის მიჩვენია სიუჟეტი. მართლაც რომ ხალასი ტალანტია (ასე იტყვიან), სიუჟეტით ასაჩუქრებს „იმედისმომცემ ახალგაზრდებს“.

ბოლოს კი მიინდა გამოვიტყდეთ, რომ ჭორის მოყვარული პოეტი მე ვარ და ვისარგებლე ბატონი ოთარის გულუხვობით, თუმცა ზოგი რამ ჩემგანაც დაუშმატე. ბატონი ოთარი კი ვინაა, იქნებ ვერც მიხვდეთ, მე ხომ მას სახელი შევუცვალე. ხანდახან ეჭვი მეპარება, ნამდვილად ხომ არ შეხვდა სხვასამყარიონს-მეთქი, მაგრამ არა, რაღა ძველმოდური მწერლით დაინტერესდებოდა მოსული. აი, მე რომ გამომცხადებოდა, შეიძლება, დამეჯერებინა. ჯერჯერობით კი დაველოდოთ, დაველოდოთ მომავალს!

ნიკოლა ვაკცაროვი

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

გუძღვნი ჩემს ცოლს

ვით სტუმარი შორეული, სტუმარი სანატრელი,
მე ხანდახან, ჩემო კარგო, სიზმრად მოგველინები,
მე ხანდახან, ჩემო კარგო, ვით ფარვანას — სანთელი,
აქ მომიყვანს სახე შენი, არ ჩარაზო კარები,
არ ჩარაზო კარები, ცივ და უკუნ დაძეში
შემოვალ ფეხაკრეფით და დაგხედავ მძინარეს,
ჩამოვჯდები საწოლზე, მაგ საოცარ თვალეში
ვაკოცებ და სარკმლიდან შევერევი ჩინარებს.

ბულგარულიდან თარგმნა
ვანტანბ ახვლედიანმა

მეგედი — ჩემი შევარდანი

შარშან გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დასტამბა პირველი წიგნი გამოჩენილი თურქი მწერლის იასარ ქემალის რომანისა „მეგედი — ჩემი შევარდანი“, რომელიც იბრაიმ გორაძემ თარგმნა.

ებეჭდავთ ერთ თავს ამ რომანის მეორე წიგნიდან.

ერთ წვიმიან ღამით იარაღსხმული, ნაბადმოხურული ინჯე მეგედი თავისი საყვარელი მეგობრის ქოჯა ოსმანის სანახავად სოფელში შევიდა. ძლიერი სიბნელის გამო ბოსტნის ღობეს შეეჩება, ხელების ფათურით ჭიშკარს მიაგნო, შევიდა და სახლს მიაღება. ქოჯა ოსმანის სახლიათ, იფიქრა, დაუკაკუნა და შესძახა:

— ოსმან ალა, ოსმან ალა, ოო, ოსმან ალაა!

— რომელი ხარ? — იკითხა ნამძინარევი კაცის ხმა.

— ღვთის სტუმარი.

კარი მაშინვე გაიღო.

— მობრძანდი, ძმაო, მობრძანდი. ახლავე ავანთებ სინათლეს, — მიეგება საცვლების ამარა გამოსული მოხუცი.

— მე ოსმან-აღას სახლს ვეძებ. აქ არ ცხოვრობს ქოჯა ოსმანი?

— მოითმინე, ძმაო, ჩავიცვამ ტანზე და წაგყვები. შიგნით შემოდი, ხომ არ წვიმს?

— ხო, წვიმს.

კაცმა სწრაფად ჩაიცვა ტანთ და ღამით სტუმარი ქოჯა ოსმანთან მიაცილა.

— ოსმან ალა, ოსმან ალა, სტუმარი მოგიყვანე.

კარი გაიღო და ქალი გამოჩნდა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ველი შენც შემოდი. მართალია, გვიანაა, მაგრამ ქოჯა ოსმანი არ დაწოლილა ჯერ. რახანია ცხენის უნავირს უკირკიტებს, შემოდი.

— არა, მეძინება, — უბასუხა ველიმ და უკან გაბრუნდა.

— იცოცხლე, ველი, ჩვენი გულისათვის რომ შეწუხდი. — დალოცა ქალმა და სტუმარი შინ შეიპატიჟა.

— ვინ არის? — გამოსძახა ბოხი ხმით ბუხართან მჯდარმა ქოჯა ოსმანმა.

— მე ვერა ვცნობ, ღვთის სტუმარია, მთიელი უნდა იყოს.

— მთიელი? — გამოსძახა ბუხუნა ხმით ქოჯა ოსმანმა, — კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს ოჯახში. ბუხართან მოიწიე; სტუმარო, ბუხართან. დასველებულხარ, ისევ წვიმს, არა?

— წვიმს, ბიძია.

ოსმანმა საქმეს თავი მიანება და სტუმარს მიუბრუნდა, თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩათვალიერა.

— რატომ არ დაჯდები მეგობარო? დაბრძანდი, რა მოხდა ძმაო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

სტუმარი ვერ ჯდებოდა, ეშინოდა, რომ დამჯდარიყო, იარაღი გამოუნდებოდა.

ქოჯა ოსმანმა მხარზე ხელი დაადო და დაყვავებით მოუთათუნა.

— დაბრძანდი, შვილო

მაინც არ ჯდებოდა.

— ქამერ, მოიტანე რაიმე და ძვირფას სტუმარს დაუგე დასაჯდომად, — გასძახა ცოლს მოხუცმა.

— მომაქვს, — გამოსძახა ქალმა სახლის მეორე კუთხიდან.

— როგორ დაგსველებია ნაბადი. საიდან მოდიხარ, . შვილო, ან საით მიგეჩქარება? — ჰკითხა ქოჯა ოსმანმა.

— მთებიდან ჩამოვედი და ქოჯა ოსმანთან გამომიწია გულმა, — მხიარულად უპასუხა სტუმარმა.

— მაშ, ქოჯა ოსმანთან, არა?

— დიახ. ქოჯა ოსმანთან.

ქამერ-ხანუმმა ხალიჩა მოიტანა და ბუხართან გაავი.

— დაბრძანდი, შვილო! მოიხადე ეგ ნაბადი და დაჯექი! ამას რას ხედავს ჩემი თვალები, სტუმარი არ ჯდებოდეს, ეს სად გაგონილა?! — გაიკვირვა ქოჯა ოსმანმა.

სტუმარი მაინც ყოყმანობდა და ნაბადს არ იშორებდა.

— ამ ბავშვს რაღაც მოსვლია, — ქმარს ჩასჩურჩულა ქამერმა.

— რა უბედურება შეემთხვა, ნეტავი? — გაიფიქრა ქოჯა ოსმანმა და მორიდებით ჰკითხა:

— ცუდი ხომ არაფერი შეგმთხვევია, სტუმარო?

სტუმარს გაეცინა.

— ნუთუ მართლა ვერ მიცანი, ძია ოსმან?

ქოჯა ოსმანი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და სახეზე დააკვირდა.

— ვაიმე, ეს ვინ ყოფილა, ინჯე მემედი, ჩემი შევარდენი... შვილო, ჩემო შვილო! — მოხუცმა გულში ჩაიკრა ინჯე მემედი, ოსმანს მთელს სხეულში დაუარა კანკალმა.

— შენა ხარ ჩემი შევარდენი? შენა ხარ იხვე მემედი?

ახლა უსახვროდ ბედნიერი იყო ქოჯა ოსმანი.

მემედს ისე აუჩუყდა გული, რომ სიტყვა ვეღარ დასძრა. დიდი ბედნიერებისაგან სიზმარში ეგონა თავი.

— ქამერ, შე დასაბრმავებელო, მოდი, ნახე, ვინ ყოფილა ჩვენი სტუმარი! მოდი ქამერ, შეხედე ერთი!

— რას ამბობ, ოსმან! — გამოსძახა ქალმა გრძელი სახლის შორეული კუთხიდან.

— მოდი და ნახე, ერთი, ვინ ყოფილა!

— ვინ ყოფილა, ოსმან? ვეღარ იტყვი, შე კაი კაცო?

— ვინ და, ჩემი შევარდენი, იხვე მემედი, ჩემი შევარდენი.

— ნუ ხმაურობ ამდენს, ბერიკაცო! ბიჭი იმალება, ხომ ხედავ? იხვე მემედ შენა ხარ, შვილო?

— მე ვარ, დეიდა, მე, შენი იხვე მემედი!

— კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, შვილო! მოშორდი მავ სულელს და აი აქ დაბრძანდი, მოისვენე, ვინ იცის, რა შორი გზიდან მოდიხარ.

— გაჩერდი, ქალო, შენ, მანამ არ მოვეშვები ჩემს შევარდენს, სანამ გულში არ ჩავიკრაღ და მისი ხვევნით არ დავტკბები.

მოხუცმა გულზე მიიკრა მემედი.

— მოეშვი ბერიკაცო, ბავშვი დაღლილია. მოეშვი, მოისვენოს!

ქალმა მკლავეში ჩაავლო ხელი და მემედს მოაშორა. ერთხანს ისევ გაოგნებული შეჰყურებდა იხვე მემედს ქოჯა ოსმანი. ქამერ-ხანუმი ამოდ ცდილობდა ნაბადი მოეხსნა იხვე მემედისათვის. ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა მემედი და ნაბადი მოიძრო, თოფი, დამბაჩა, ღურბინდი და ხანჯალი იქვე მიაწყო კედლის ძირას და ხალიჩაზე დაჯდა. ქოჯა ოსმანი პირდაპირ დაუჯდა, მოხუცი გაოცებული მისჩერებოდა და თვალს არ აშორებდა მოსულს.

მემედი იღიმებოდა, ქამერ-ხანუმი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, ქოჯა ოსმანმა ვერ მოითმინა.

— არც თვალი მატყუებს და არც ყური მღალატობს, მამ, შენა ხარ ჩემი შევარდენი? კიდევ ერთხელ გიხილე ხომ, საკუთარი თვალით გნახე, არა?... კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს ოჯახში, ჩემო შევარდენო!

სიხარულისაგან გაბრუებული ქოჯა ოსმანი, ძლივს გონს მოვიდა.

— ესე იგი, ერთხელ კიდევ უნდა მდირსებოდა იხვე მემედის ნახვა.

— თქვა და ხელმეორედ მოეხვია სტუმარს.

ყ ა ყ ა ნ ო

დახურული აქვს ღრუბელს გული,

მამ, რატომ დარჩა

ყავის ნალექი ყაყაჩოში?!

ყაყაჩოს დედა მიწა არის,

მამა კი — ქარი.

მსურდა ყაყაჩო მომეწყვიტა, მაგრამ ვიფიქრე:

ჩემს ხელზე ბევრად მტკიცე არის ეს დედამიწა;

არ იცახცახებს მასზე ყაყაჩო.

ყაყაჩოს თაზე ღრუბელი წევს,

ქვემოთ კი — მიწა.

ნეტავი, რაზე დარდობს ღრუბელი?

გულში შეშნარევე სიხარულით ვაბიჯებ ტერფებს
წითელ ზვირთებზე.

უცებ ვიგრძენი — მსუბუქია ჩემი სხეული,

მსუბუქი, როგორც თეთრი პეპელა.

ვწევარ ყაყაჩოს ცვრიან ფურცელზე

და ღრუბელს ვუმზერ,

მერმე ყვაველში ჩავდივარ ქვემოთ

(წვიმის წვეთივით ჩამოვცურდი წითელ ფურცელზე,

ჩემი აკვანი დავინახე ფერთა ზღაპარში),

შიგნით, ბუტკოში, მიმიძლოდა ღრუბლის წარსული,

იქ, სადღაც შიგნით, ზეცისაკენ...

სხვა რაღა ვითხრათ?

მუხლმოდრეკილთა იმედია ჩემი ყაყაჩო,

იღუმალთა მისი რხევა,

მისი ლაშქარი,

გვერდს ისე უვლის ქედმადლობას, ვით სიყვარული.

ეკენისთვის უხდება ჩიტა ჟივილ-ხივილი,
 გულში სანთლად მინთია მამაჩემის ღიმილი.
 ღმერთო, მუდამ ასე და უფრო მეტად მახსოვდეს,
 ღმერთო, აღარ მომიკლა მამა აღარასოდეს.
 ზუსტად ერთა წელია, სასოებით მოგენდო,
 ვიცი, მისგან შორსაა ჯოჯოხეთის გოგირდი.
 თუმც არც შენზე მსჯელობდა, არც რაიმე მაღალზე.
 თბილი კაცი იყო და სიყვარულით აღსავსე.
 ბოროტს ისე ისხლეტდა, ზოგჯერ არც კი მჯეროდა,
 კეთილი და ბოროტი თუ იცოდა ჯეროვნად.
 შიში ვერ გამომქონდა სიკვდილისა თავიდან,
 ანლა მამის საფლავზე სასოებით დავდივარ.
 მიყვარს მისი სახეა მართალი და ბავშვური,
 ნეტა ასე ლამაზად საფლავს მეც მივაშურო.
 ღრო მომეცი ოღონდაც, ღმერთო, კიდევ მადროვე,
 მე — იმისი იმედი — არსად არ მიმატოვო.
 მისი ბოლო ღიმილი საუკუნოდ მახსოვდეს,
 ღმერთო, აღარ მომიკლა მამა აღარასოდეს.

ზ ჳ ა ს თ ა ნ

გვერდიგვერდ წვანან ზღვა და ნაპირი,
 აღვიღვაცვლილებს
 თავი ერთ ბალიშზე ჟღევთ.
 ქმრის გასაგონად იზმორება გაღვიძებულ
 და თბილი ქალი,
 მის ცისფერ საბანს საწადელი ნისლივით ასდის.
 პლაჟი ცივია, გვიან ჩათვლიმა და...
 თავს იმძინარებს.
 მე ვარ მესამე!
 ზღვასთან მივალ,
 ტანთ გავიხდი და
 მწვავე აღერსში თმებს ვაუწყეწ ცისფერ ქალბატონს.
 ალბათ ვერაფერს მეტყვის ნაპირი.

ღიმილი ყოველთვის ერთი აქვს,
ერთი სუნთქვა და რიტმი
პულსი და სითბო
ერთი ოცნება ერთი გრძნობა
ერთი სიმართლე
ეცვლება მხოლოდ თვალების ფერი.
პოეტი ამბობს:

ჩემი ლექსი შამპანურის მზრებით
(სერ ლანსელოტს ელის).

ჩემი ლექსი ქალი არის, რომელიც
არასოდეს შიშვლდება,

არც დღისითა და

არც სანთლის ჩრდილში,

არც მთვარის სხივზე

არც ლომების ყვითელ თვალებში,

არც საყვარელთან და არც ექიმთან,

არც მხატვართან და არც მკურანთან, და აღარც ზღვასთან,

არც მეუღლესთან, შვილთან, დედასთან...

(ნეტა ვინა ვარ —

იქნებ ყველა,

იქნებ არცერთი?)

ო, მხოლოდ ჩემთან,

მხოლოდ ღამით,

თვალების შუქზე...





იური იაკოვლევი

ა ლ ი ო შ ა

დასავლეთ ბუგის ნაპირას, საზღვარზე, ძველი მუხა დგას. ომის პირველ საათს მესაზღვრე კომკავშირელი ალიოშა ნოვიკოვი აქ მამაცურად დაუსვდა ფაშისტებს, მთელი დღე გააფორებულ იერიშებს იგერიებდა და მტერი მშობლიურ მიწაზე არ შეშოუშვია. მის ხსოვნას ეძღვნება ეს მოთხრობა.

ავტორი.

ალიოშა მონასტრის ეზოში იწვა, თავი გვერდზე გადაეგდო და ლოყით მიწას მიჰკვროდა. სახეს იმ დროის მოდაზე შეკრეჭილი თხელი ბიჭური ქონორი უმშვენებდა. ხალათი, რომელზეც მესაზღვრის მწვანე ნიშანი ეკეთა, ჭვარტლით იყო გამურული, თითქოს ეს-ეს არის დიდი ხანძარის ჩაქრობაში მონაწილეობდაო. სახელოზე სისხლი მუქ ლაქად აჩნდა. ზედა და შუათანა დილეგს შორის პატარა, თითქმის უჩინარი, თუმცა მთავარი — გულის ჭრილობა მოჩანდა.

წვეტიანი ბალახის შეხებისაგან დრთიდადრო ქუთუთოები უთროოდა. ეს სიცოცხლის ერთადერთი ნიშანი იყო. ალიოშას არ ესმოდა ქვემეხების გრიალი, ვერ გრძნობდა პოლის მწარე სუნს. არც ტკივილს ვრძნობდა. ტკივილი სიცოცხლესთან ერთად გაუქრა. ის ვერ კიდევ არ იყო მკვდარი, მაგრამ ცოცხლებშიც აღარ, ეწერა. იმ ზღვარზე იმყოფებოდა, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

მომავლად მესაზღვრეს თავს სამი შავოსანი ბერი ადგა. ერთი მათგანი, დაბალი, ჩასუქებული და დიდთავა, ლოცვას ჩურჩულებდა და დემეტოს შეუძლებელს სთხოვდა. მეორე, რომლის ჩაცვივრულ ლოყებს წაშვეტებული წვერი ამშვენებდა, შვილსავით დასცქეროდა ალიოშას, ხოლო მესამე, სრულიად მახრწნილი, თოვლივით გათეთრებული, წესის შეაფერის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მკაცრი ბერული ცხოვრების მფარ-



ველ წმინდა ონოფრეს მონასტრის სამი ბერი მომაკვდავ საბჭოთა მებრძოლს გუშავობდა.

ომის მეორე დღეს დაუძლურებული ალიოშა გერმანელებმა რეზინის ნავით პოლონეთში გადაიყვანეს. ნავის ფსკერზე ტალღების მოწოლა აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა ნატყვიარ ზურგში. ალიოშამ წყალში გადავარდნა სცადა, რათა ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში ბარბაროსებს, მაგრამ თავიც კი ვერ წამოსწია. იგი მონასტრის ჭიშკარში შეიტანეს, რომლის შემოთავსებაც სამრეკლო იდგა, და ბალახში ჩააწვინეს ახლად შეთეთრებული კედლის წინ. ალიოშამ ერთი წამით იანვრის თოვლის მადისაღმძვრელი ხრამუნი შეიგრძნო, ო, რომ შეიძლებოდა ამ თოვლის დადება თავზე და ჭრილობებზე! რატომ უბრუნის თავი? აჰ, ის ხომ ყინულისძირიან კალათშია და მთიდან მოგორავს. უკან გადაიწია, ფეხები ასწია, ქარი წივის, წივის დაუსრულებლად. ცა და მიწა ირგვლივ ბრუნავს. ნეტავი, არ გადაბრუნდებოდა! ამ დროს რაღაც ძალამ გვერდზე გადაავლო. ფხვიერ თოვლში ჩაეფლო. თოვლი უცვივა პირში, ცხვირში, საყელოში, სახელოში. იქ, ზემოთ, კი იცინიან და ზეიმობენ. ალიოშა სახიდან იფერთხავს თოვლს და იცინის, მაგრამ შემდეგ უცებ გრძნობს, რომ ერთბაშად წაერთვა მხარი, გული, ზურგი და თოვლი კი არ აცივებს, წვავს. და იგი წევს მიწაზე ეკლესიის თეთრ კედელთან. მის თავზე ფრიალებენ შავი ანათორები. და ისმის გერმანული სიტყვები.

გერმანელებმა არაერთხელ სცადეს მისი გვარის, ნაწილის ნომრის გავება, მაგრამ ალიოშა ისევ უგრძნობლად წევს. მასთან ლაპარაკი უსარგებლოა.

მესაზღვრეს ესმის უცხო სიტყვები და ეჩვენება, რომ გერმანული ენის გაკვეთილი მიმდინარეობს. მასწავლებელი მოითხოვს, რომ ალიოშამ დაასახელოს „შრაიბენ“ ზმნის ფორმები. ალიოშა წვალბოს, ძაბავს მუხსიერებას. ბოლოს როგორც იქნა მოიგონა.

— შრაიბენ... შრიბ... გეშრიბენ...

გერმანელ ოფიცერს გაკვირვებისაგან სახე დაუგრძელდა, დაიხარა და დაჭრილ მესაზღვრეს ჩასძახა:

— ვას? ვას ზავენ ზი?... რა? რას ამბობთ?..

მაგრამ ჯარისკაცის ბაგეები უკვე სულ სხვა რამეს ჩურჩულებენ.

ახლა იგი ბოდავს არა სასკოლო გაკვეთილის, არამედ სამხედრო სიტყვებს.

— საკვირველი ადამიანია, — ბუტბუტებს გერმანელი, — მოკვდა და ბინც ლაპარაკობს.

ბერებმა, თითქოს უბრძანესო, პირჯვარი გადაიწერეს.

არა, ალიოშა არ მომკვდარა: ის მხოლოდ ბურანში ჩაიძირა, მაგრამ ბნელი უძირო სიღრმიდან მას ყოველთვის აბრუნებდა ზედაპირზე ქა-

რის ქროლა, ხმები, მდინარის ხმაური, მზის ათინათი, ბალახის შეხებუდა და
ის კვლავ აგრძელებდა შეწყვეტილ სიცოცხლეს.

უცებ მან მიწაზე ხელი მოაფათურა: რაღაცას ეძებს თვალდახუჭუ-
ლი. ბერებმა ერთმანეთს გადახედეს. ნეტავ რას ეძებს? წყლიან ტოლჩას,
თუ ანგელოსებს უწვდის ხელს? არა, ალიოშა ქუდს ეძებს, თავის მწვანე
ქუდს, რომელსაც პრიალა წინაფრა და ალუბლისფერი ვარსკვლავა ამშ-
ვენებს.

ქული ძალიან უხდებოდა. ამ ქულში უფრო მკაცრი და მოზრდილი ჩანდა.
ყურები მეტისმეტად გამომშვერილი ჰქონდა ქულიდან. ლუსია ხელით
აწვებოდა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, ვერაფერი მოუხერხა ალიოშას
ყურებს. მაშინ ალიოშამ ქული მიიხადა და ფრთხილად დაახურა ლუსიას
სუჭუჭა ჟღალ თმას. ქალიშვილმა ჯარისკაცივით ასწია ხელი და გაუცი-
ნა. ისინი გზატკეცილს მიჰყვებოდნენ.

— სამოქალაქოში რას აკეთებდი? — ჰკითხა ლუსიამ.

— მასწავლებლად ვმუშაობდი.

— მასწავლებლად? — გაუკვირდა ქალიშვილს. — შენ რომ ჩვენთან
ყოფილიყავი მასწავლებლად, მე მხოლოდ ხუთიანებს მივიღებდი! იქნებ
ტყუი?

— არა, არ ვტყუი. ვმასწავლებლობდი ცოტა ხანს. შემდეგ საზღვარ-
ზე გამიწვიეს.

— არ ჰგავხარ მასწავლებელს.

— აბა, ვის ვგავარ?

ლუსია გაჩუქდა და სახეში ჩააცქერდა ალიოშას, თან შეუმჩნევლად
მიუახლოვდა. ის კი იდგა ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული, სუნთქვა
შეჰკვროდა და ხელები ძირს დაეშვა. იგი გრძნობდა ქალიშვილის სით-
ბოს, თმის სუნს, კაბის შრიალს, ახალი ფეხსაცმლების ჭრაჭუნს. ქალი-
შვილი კი სულ უფრო უახლოვდებოდა და, ბოლოს, ცხვირით მის ლოყას
შეეხო. ვაჟს აღმური მოედო სახეზე და დაიჩურჩულა:

— რას შვრები?

ლუსიამ არაფერი უპასუხა, განზე გაიხედა და სწრაფად განაგრძო
გზა. ალიოშა გამოუდგა. მან არ იცოდა, რა ეთქვა. სულ ერთსა და იმავეს
იმეორებდა:

— ვის ვგავარ?

— მეწისქვილეს! — თავმოუბრუნებლად სიცილით უპასუხა ქალი-
შვილმა.

— შენ დამცინი.

— არა, არა, შენ მეწისქვილეს ჰგავხარ. ცხვირიც კი ფქვილში გაქვს
ამოსვრილი, ნახე!

ალიოშამ ხელის გული ცხვირზე ჩამოისვა. ლუსიამ წყნარად ჩაიცინა.

ოპ, ეს ვლადი ქალიშვილები! ვაჟი სულ დაიბნა. იგი ლუსიას მისდევდა, ქალიშვილი მიდიოდა თავისთვის, მესაზღვრის ქუდი კეფაზე მოეგდო.

შემდეგ ალიოშამ ქუდში ოქროსფერი კულული იპოვა. ეს გუშინ იყო, განთიადისას, როდესაც ძველ მუხასთან საგუშაგოზე იდგა. მან ფრთხილად აიღო აბრეშუმივით სრიალა თმა, ლოყაზე ჩამოისვა და მოეჩვენა, რომ ლუსია მისკენ იხედებოდა და თვალები უცინოდა. „ვისლა ვგავარ?“ — „მეწისქვილეს!“ განთიადის ოქროსფერი აბლაბუდა კრთოდა მის ხელში. და უცებ მის ზურგს უკან საშინელი ვრიალი გაისმა. ჰაერი გასქელდა და ბოლიანი ცეცხლის ალი ცაში აისვეტა.

მონასტრის ჭიშკრის თავზე ზარებს შემოჰკრეს, მაგრამ მისი გუგუნა ხმა ქვემეხების გრიალმა ჩაახშო. ალიოშა კარგად იცნობდა ზარების ამ წკრიალა ხმას. მას ხშირად ესმოდა იგი მეორე მხრიდან. თვით მონასტერი კი არ ჩანდა. სამაგიეროდ პატარა ხის ევეგტერი ზედ ნაპირზე იდგა. გადმოცემით, აქ ჩაძირულა ბერძნული ორჩხომელი, რომელიც „ვარიაგიდან“ შინ — „ბერძნებში“ ბრუნდებოდა. ჩაძირულ ორჩხომელზე წმინდა ონოფრეს ხატი უპოვიათ...

შხაპუნით ეცემოდა წვეთები ფოთლებზე. ცვივოდა სველი თოვლი. ვალობდნენ ბუღბუღები. მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, ნახევარი ცხოვრების უკან — ნახევარი ცხოვრებისა, რომელიც კალენდრის ერთ ფურცელზე მოთავსდა.

ალიოშამ იცოდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო. გრძნობდა დაწყების გარდაუვალობას, მაგრამ არ უფიქრია, რომ ყველაფერი ეს ასე მალე — ივნისში — წლის ყველაზე მოკლე დამის განთიადისას მოხდებოდა. ყუმბარების აფეთქების ხმამ შესძრა არე-მარე. ალიოშას უნდოდა გაქცეულიყო იქ, სადაც ახლა აფეთქებათა გრიალში იწვოდა სახლები და იღუპებოდნენ მისი ამხანაგები და მეთაურები. მაგრამ ვერ გაბედა ბრძანების გარეშე საგუშაგოს დატოვება. სათვალთვალოდ თავისი მეწყვილე — მხვერავი გაგზავნა. თვითონ კი ხელის ტყვიამფრქვევით მუხაზე აცოცდა და მდინარის იქითა მხარეს გასცქეროდა. ბუგის ანკარა წყალი ჩვეულებრივად კამკამებდა და მას თბილი რძისფერი ორთქლი ასდიოდა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ალიოშამ დაინახა, თუ როგორ შეაცურეს წყალში გაბერილი რეზინის ნავეები და მათში უხმაუროდ ჩასხდნენ გერმანელი ჯარისკაცები. ალიოშამ პირველად დაინახა ნამდვილი ფაშისტები. იდაყვებამდე აკაპიწებული სახელოებითა და წინ განხნილი კურტაკებით ისინი შინ რიდის მოგზაურებს ჰგავდნენ, მაგრამ ნაცვლად ტრადიციული კორპის მუზარადებისა, ფოლადის ჩაჩქნები ეხურათ. ნავეები უხმაუროდ მოცურავდნენ ჩვენი ნაპირებისაკენ. ხელის ტყვიამფრქვევი მუხის მსხვილ ტოტზე იდო. სადგარი ჰაერში იყო გამოკიდული. ალიოშა მხარით მიაწვა დუგლუგს და თვალები მოჭუტა. სამიზნეში მტრები დაინახა. ძველ მებრძო-

ლებს სამიზნე მტერს მოაგონებს. ახალგაზრდა, სროლას მიუჩვენებელი ალიოშას გერმანელებმა სამიზნე „ფაშისტი“ — ფირფიცრის ფარი მოაგონეს, რომელზედაც გამობატული იყო მუქმწვანე ჩაჩქინანი ჯარისკაცი, ახლა მის წინ მრავალი სამიზნე იყო. ეს სამიზნე მოდიოდა საბჭოთა ნაპირებისაკენ და ყოველ წამში შეეძლო ცეცხლის დაშენა, შეეძლო დაეჭრა, მოეკლა. ალიოშა მართოდ იყო. მზარეულიც კი არ ჩანდა — იგი სადარაჯოზე წავიდა.

ალიოშა გაირინდა. სამიზნეში ისე მოჩანდა მტერი, როგორც პატარა შავი ტივტივა ვერცხლისფერ ღრუბლებში გახვეულ ბუვის წყალში. ალიოშა ელოდებოდა ნავის მოახლოებას ფარეატერთან — იმ უხილავ ხაზთან, რომელიც ორ სახელმწიფოს ერთმანეთისაგან ყოფს. და როდესაც გერმანელებით დატვირთულმა პირველმა რუხმა „ბიზონმა“ ეს ხაზი გადაკვეთა, ალიოშამ მძლავრად მოსწია სასხლეტის კაკვი.

საკუთარი იარაღის გრიაღმა გააბრუა, ტყვიამფრქვევი სამტკრევი ჩაქუჩივით დანაწევრებულად ურტყამდა. ღუგლუგი მაგრად მიეკრა მხარზე... პილზები მუხის როკს ეღარუნით ხვდებოდა და ძირს მიფრინავდა. პატარა შავი ტივტივა ცეკვავდა ბუვის წყალზე. დაზიანებული ნავებიდან ჰაერი გამოდიოდა. ფაშისტები წყალში ხტებოდნენ და უკან მიცურავდნენ, დაჭრილებსა და მკვდრებს კი ტოვებდნენ... „სამიზნე“ დადგა წყალში, დაიშალა სველ ნაფლეთებად და ეს ნაფლეთები წყალს იქით ნაპირისაკენ მიჰქონდა.

ალიოშამ თავი ძლიერად და ბედნიერად იგრძნო. ის იჯდა მუხის ტოტზე და ნელა ირხეოდა, თითქოს მესაზღვრე კი არა, მხიარული ოჩოპინტრე ყოფილიყო, რომელიც ტოტიდან ტოტზე დახტის და გზიდან იცილებს მოხეტიალე მლოცველებს. მან ვერასგზით ვერ მოისაზრა, რომ ეს იყო მხოლოდ პირველი რიგი, რომ მის უკან მოდიოდა კიდევ რიგი, კიდევ ათი, ასი. ასი ათასი და რომ ალიოშას არ ეყოფოდა არც ვაზნების, არც საკუთარი ძალების, არც სისხლის, არც სიცოცხლის მარაგი მათ შესაჩერებლად.

ამ დროს ქვემოდან ხმა მოისმა:

— ალიოშა! ეს მე ვარ! ჩამოხტი...

მზარეული დაბრუნდა, ალიოშა ძირს ჩამოხტა:

— რა ამბავია იქ?

მზარეული ღუმდა. ალიოშამ ყურადღებით შეხედა ამხანაგს: მზარეულს ადამიანის ფერი არ ედო.

— რა ამბავია იქ?

— სადარაჯოები აღარ არის. ყველაფერი დაიწვა. კომუნდატურებიც აღარ არის... მე ერთი ყუთი ვაზნა მოვიტანე.

— როგორ თუ არ არის სადარაჯოები? — ჰკითხა ალიოშამ.



— მათ წინასწარ იცოდნენ კოორდინატები... და ქვემების ცეცხლი დაუმიზნებლად დაუშინეს.

— ჩვენი ნაწილები არ მოსულან? — ჰკითხა ალიოშამ.

— არავითარი ნაწილები არ არის იქ.

— იქნება! — დარწმუნებით მოუჭრა მესაზღვრემ. — უნდა გავუძლოთ.

ამ დროს დასავლეთ სანაპიროდან ყურის წამლები, სულ უფრო მზარდი ღრიალი გაისმა. ეს ღრიალი ღრმად იჭრებოდა გულში და ახლოვდებოდა. ორ ახალგაზრდა მებრძოლს მოეჩვენა, რომ ნაღმის ცივი ღმუილი ზუსტად მათკენ იყო მომართული და უნებლიეთ ერთმანეთს მიეკვრნენ. მაგრამ ნაღმი მარჯვნივ ას მეტრში აფეთქდა.

— თავშესაფარში! — ბრძანა ალიოშამ.

ნამეხარი მუხის ბნელ ფულუროს შეეფარნენ. ძალზე ვიწროდ ადგნენ და აფეთქებათა შუაგულში ისმოდა მათი ძლიერი სუნთქვა: მუხის ღრუ ტანი უზარმაზარი რეზონატორივით აძლიერებდა ხმას.

— არ გეშინია? — ჰკითხა მზარეულმა.

ალიოშა გაჩუმდა. შიში უნდა დაფარო, ჩაახშო, დასძლიო, როგორც ტყის ხანძარი, რომელიც, თუ თავისუფლება მიეცე, მთელ ქვეყანას გადაბუგავს, ახლა არ შეიძლება შიშის აყოლა.

— მეშინია, — აღიარა მზარეულმა, — ნეტავ, ჩქარა გათავდებოდეს ყოველივე.

— ჩვენც გვაქვს ნაღმსატყორცნები, — თქვა ალიოშამ, — აგრეთვე ტანკები, გამანადგურებლები და ყველაფერი, რაც საჭიროა. მთავარია გავუძლოთ.

— სადარაჯოები აღარ არის... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მზარეულმა, — გაუგებარია, თუ რა არის ჩვენს უკან.

— გასაგებია! — მტკიცედ წარმოთქვა ალიოშამ. — ჩვენს უკან არის ღუბნიცა, დომაშევი, მინსკა, მოსკოვი, პერმი, სადგური კინი, სოფელი გრიაზნუხა...

— ეს რაღაა? — ჰკითხა მზარეულმა.

— სამშობლო. შენ სად დაიბადე?

— როსტოვიში...

— და როსტოვიც ჩვენს უკან არის. გასაგებია?!

ამხანაგის პასუხი მზარეულს აღარ გაუგონია. იგი უახლოესი აფეთქების გრიალმა დაფარა.

შემდეგ ალიოშამ მზარეული სადარაჯოზე გაგზავნა ვაზნებისათვის... კვლავ შემოჰკრეს ზარებს. ამჯერად ზარის ხმამ დაჭრილი მესაზღვრე შეაშფოთა. იგი შეკრთა და მხარში მწვავე ტკივილი იგრძნო. ამ ტკივილმა მთელი სხეული დაუსერა. იგი ფულუროში, თავის საიმედო თავშესაფარში აღმოჩნდა. ამ დროს ბუჩქნარი ნაპირზე ძლიერ გახურდა, ბა-

ლაზი გაშავდა ირგვლივ. ფაშისტები ნაღმსატყორცნებს განუწყვეტლად ურტყამდნენ სულ მცირე ადგილებშიც კი. ალიოშა ხშირად იცვლიდა საცეცხლე პოზიციას. იგი მარჯვედ ხტოდა ტოტიდან ტოტზე, ისროდა ხან მიწიდან, ხან მუხის კენწეროდან. იგი მართლაც და ახალგაზრდა, მარჯვე და გავაავრებულ ოჩოპინტრედ გადაიქცა. შუა მდინარემა, სადაც წარნოსახული სახლერის ხაზი გადიოდა, ალიოშამ ტყვიამფრქვევის ცეცხლის გაუვალი კედელი აღმართა. გერმანელები იმსხვერუდნენ ამ კედელზე, იღუპებოდნენ, სწრაფად მიგორავდნენ უკან, მაგრამ ზღუდის დანგრევის არაერთი საშუალება არ იყო, კედელი ისევე მოულოდნელად ჩნდებოდა, როგორც ქრებოდა.

ნაღმის ნამსხვრევები ყრუდ ხვდებიდა მუხას. ალიოშამ თავი ფულუროს შეაფარა. მას მზარეულის ბედი აწუხებდა. ნუთუ მან მიატოვა მეგობარი ამ „მცირე მიწაზე“, სადაც ცეცხლისა და ნამსხვრევების მეტი არაფერი არ არის? და ალიოშა პირველად შეაშინა იმაზე ფიქრმა, რომ ვიდრაცს შეუძლია გაიქცეს, გზა დაუთმოს მტერს...

შემდეგ სროლა შეწყდა და ალიოშა ფულუროდან გამოვიდა. შეხედა მდინარეს. ამოისუნთქა. ამ დროს დაგვიანებული ნაღმი დაეცა გვერდით. გაივლა, თვალებში დაკვესა, დაიგრილა და მოულოდნელი აუტანელი ტკივილი ცეცხლივით მოედო მთელ სხეულს... იქითა მხარეს ისევ შემოჰკრეს ზარებს.

ალიოშა დაეცა. ტკივილმა მოცელა იგი. იწვა შავ ბალახში და არაერთი ფიქრის თავი არ ჰქონდა, ფიქრობდა მხოლოდ ტკივილზე. ტკივილი ედგა თვალებში, ტკივილი უბურღავდა ტვინს, ტკივილმა ჩაახშო ზარის ხმა. ხოლო იმ ნაპირიდან წყალში კვლავ ჩამოუშვეს გაბერილი ნაგები.

სად არის მზარეული? სად დაიკარგა? მისი საქმეა ფუნთუშების ცხოვა და არა ბრძოლა. უხეიროდ ისვრის. მაგრამ ახლა უკიდურესად სჭირდება ალიოშას ადამიანი, როგორიც უნდა იყოს, ოღონდ თავისიანი.

ალიოშა მიწას მოსწყდა და ტყვიამფრქვევთან მიცოცდა. როგორც იქნა, საღვარზე დადგა. ცალ იდაყვს დაეყრდნო. სამიზნე წყალზე დახტოდა და ალიოშამ ვერ შესძლო მტრის ნიშანში ამოღება. მოეჩვენა, რომ მდინარეზე ნამდვილი ბიზონები მოცურავდნენ მისკენ, რათა ჩლიქებით გაეთელად იგი. ისინი მოცურავდნენ მშვიდად, რადგან იცოდნენ, რომ ყოველი ცოცხალი ჩვენს სანაპიროზე განადგურებული იყო: ადამიანები და ხანგრძლივი საცეცხლე წერტები — ყველაფერი, რითაც მტრის შეჩერება და უაუგდება შეიძლებოდა:

იდაყვი უცახცახებდა და ალიოშამ ვერაფრით ვერ შესძლო სამიზნის გაჩერება. ბლაგვცხვირა ნაგები ნაპირს მოადგნენ. აბოლებულ ბალახებში

უკვე დარბოდნენ პირველი ჩაჩქნები და აკაპიწებული სახელოები. კიდეც რამდენიმე წამიც და ალიოშასათვის ყველაფერი გათავდება. მან გაიგონა ჩექმების ყრუ ბრაგუნის, მორბენლების სუნთქვა. ალიოშას წინაშე ბრვე გერმანელი აღიმართა, რომელსაც ლაში გადმობრუნებული ჰქონდა, ხოლო იდაყვებამდე გაიშვლებული ხელები — ბაღითა და უფერული ჭორფლით დაფარული.

ომმა ორლესულივით შუაზე გაკვეთა ალიოშას სიცოცხლე. ყველაფერი ძვირფასი იმ ნაპირზე დარჩა, სადაც იგი ვეღარასოდეს გაცურავს. მას შეეძლო მხოლოდ ეცქირა იმ ნაპირისათვის, ეცადა: იქნებ, გაიღვოს ნაცნობმა სახემ, გაიგონოს სიმღერა, დაიქროლოს შოთხვის ყვავილების სასიამოვნო სურნელმა... ალიოშას არ ესმოდა ქვემეხების გუგუნის და ყუმბარების შემზარავი ღმუილი — მან მეორე ნაპირზე გადაინაცვლა...

როდესაც ის, ახალგაზრდა მასწავლებელი, პირველ გაკვეთილს ატარებდა, ბავშვები ძალზე ხმაურობდნენ, მაგრამ ალიოშას მღელვარებისაგან ეჩვენებოდა, რომ კლასში სიწყნარე იყო.

ასეა ადამიანი.

აზლა რომ მოვიდოდეს ლუსია! დაიხრებოდეს ალიოშასკენ ისე, რომ მისი ოქროსფერი კულული შეეხოს ალიოშას ლოყას!..

ერთხელ, მშვიდობიანობის დროს, ისინი კინოში იყვნენ, ნახეს სურათი „ხვალ თუ ომი იქნება“. მაშინ ჯერ კიდეც არ იყო სიტყვები: „სადარაჯო იბრძვის“, „დამსხვრეულია ტყვიამფრქვევი“, „მეთაური დაიღუპა“, „მეთაურობა იკისრა პოლიტხელმა“, „117-ე სასაზღვრო ბოძის რაიონში სარტილერიო სროლა“, „ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა სადარაჯოს მთელი პირადი შემადგენლობა“... ომი მხოლოდ კინოში იყო, მაგრამ ლუსია სახლში სულდამძიმებული, რაღაც ცუდი წინათგრძნობით ბრუნდებოდა. მან ჰკითხა:

— რა იქნება, ომი რომ დაიწყოს?

— ვიბრძოლებთ, — ძალზე მშვიდად უპასუხა ალიოშამ.

— მე ჩავაბარე ნორმები ნიშანზე: „მზად ვარ სანიტარიული თავდაცვისათვის“. შემიძლია ჭრილობის შეხვევა.

— შენ დაჭრილებს შეუხვევ?

— მე შეუხვევი ჩემს ძმას ვასკას. იგი გაუნძრევლად იწვა. მაგრამ შემდეგ სახვევიანად გაიქცა.

...სად არის ახლა ლუსია? რატომ არ მოდის და არ შეუხვევს? ხომ შეჰპირდა? იქნებ ისიც ვასკასავით სახვევებიანად გაიქცა.

...ბაღითა და უფერული ჭორფლით დაფარული ხელები ახლოვდებიან, სწრაფად იზრდებიან, აწვებიან დაჭრილ მხარზე. ალიოშას უნდა იყვიროს, მაგრამ თავი შეიკავა. ტუჩები მოკუმბა. იდაყვმა ცახცახი შეწყვიტა. მტრის ხელი მარწუხივით შემოეჭდო. გერმანელის ხელი უზარმაზარი

გახდა, დანრდილა წყლის ზოლი და ზოლი ცისა. ალიოშამ ჩურჩულდა
გასცა ბრძანება: „ცეცხლი!“

და როდესაც ტყვიამფრქვევი აკაკანდა, ხელები გაქრა და ტკივილიც
მიყუჩდა.

აყლაყულა გერმანელი მიწაში ჩაძვრა. შემდეგ იგი მუხასთან იბოვეს.
დანარჩენი მოკლული ცხრა ფაშისტის გვამი ბუვის ნაპირზე ეყარა.

ტყვილად დარღობდა მზარეულზე ალიოშა. მზარეული დაბრუნდა.
დამწვარი ყუთით ვაზნები მოიტანა, მაგრამ მუხიდან ათ მეტრზე მას პირ-
დაპირ საფეთქელში მოხვდა ტყვია და იქვე გათავდა. კარგი მზარეული
იყო: გემრიელ კერძებს ამზადებდა, კვირაობით ფუნთუშებსაც აცხობდა...

ალიოშამ თვალი გაახილა, მაგრამ თავი ვერ მოაბრუნა. მხოლოდ ცალი
თვალით აცქირებოდა. მის წინაშე მუხლებზე დაჩოქილიყო დიდი ხნის
წინათ გარდაცვლილი ბაბუაა. საიდან გაჩნდა აქ ბაბუა? რატომ არის იგი
ერთიანად შავით მოსილი? რატომ უბრწყინავს ბაბუას, წითელ პარტი-
ზანს, ჯვარი? იქნებ ალიოშას მოეჩვენა ჯვარი? მან დაჩურჩულა:

— ბაბუა, წავიდეთ აქედან.

ბაბუა დუმდა. მხოლოდ მისი თვალები ანათებდნენ, ასე სოცრად ნა-
ცნობი თვალები. მან თქვა:

— ჩემო შვილო (რატომ „შვილო“, და არა „შვილიშვილო“?), მე შე-
ნთან მოვედი გულის კარნახით, რომ შევამსუბუქო შენი სული. თქვი
აღსარება.

აჰ, აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ბაბუა უმალ გაქრა.

ახლა ალიოშა მხოლოდ ჯვარს ხედავდა, რომელიც მის თავზე ირხე-
ოდა. ჯვართან ერთად ირხეოდა ბალახი და ცის ნაწილი, რომელსაც იგი
ხედავდა. ალიოშა ფიქრობდა, ომი დამთავრდაო... უკანასკნელი ძალა მო-
იკრიბა და თქვა:

— მე კომკავშირელი ვარ.

ეს სიტყვები წარმოთქვა და თავი ახალგაზრდების უზარმაზარი ამხა-
ნაგობის ნაწილად იგრძნო, ახალგაზრდებისა, რომლებმაც გუშინდლამდე,
ესე, როგორც მან, არ იცოდნენ, რა არის საარტილერიო სროლა; ხიშტის
ჭრილობა, ბრძოლაში სიკვდილი, მაგრამ არ შეშინდნენ, არ გაიქცნენ, არ
დაიწყეს სიცოცხლისათვის ხვეწნა-მუდარა. შენ მარტო არა ხარ, ალიო-
შა. შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო. შენმა ტყვიამფრქვევმა ფეხზე
დააყენა რომელიღაც შენი ამხანაგი. შეგიძლია თუ არა იცნო შენი
ტყვიამფრქვევის ხმა — დანაწევრებული, რომელიც სამტვრევი ჩაქუჩის
ხმაურს ჰგავს?

ალიოშას უნდოდა თავისი აზრების დამადასტურებელი სიტყვები გა-
ეგონა და თვალგაუხეღელად ჰკითხა ბერს:

— როგორაა საქმე იქ... ჩვენთან?..

— ბრესტის სიმაგრე დგას. მთელ საზღვარზე სროლდა.

ბრესტი უძლებს! მთელ საზღვარზე ისერიან. დგანან მისი მეგობრები, ნაცნობი და უცნობი ბიჭები, მეჩვიდმეტე წითელდროშოვანი რაზმის კომკავშირელები...

ომში ერთი წელი სამ წლად ითვლება. რამდენად უნდა ჩაითვალოს ალიოშას ომის პირველი და უკანასკნელი დღე, თუ კა ამ ერთ დღეში გადატანილმა სიძნელეებმა და განცდებმა გადააჭარბა ყველაფერს, რაც მას გამოუცდია? ალიოშა ამ დღეს ახალგაზრდა, სროლას მიუჩვეველი შეხვდა, ხოლო გამოვიდა დაჭრილი, მაგრამ ქედმოუხრელი.

საიდან გაჩნდა გერმანელი სნაიპერი? როგორ ამოიღო მიზანში ალიოშა? საერთო გრიალში ალიოშამ ვერც კი გაიგონა სნაიპერის შაშხანის გასროლის ხმა. მას უცებ სული შეუწუთა ახალმა გამგმირავმა ტკივილმა, რა ქნა ამ ტყვიამ! მან მოკლა ყველა! ამ ტყვიისაგან დიდხანს დაიტანჯება დედა, იტირებს ლუსია, მოიწყენენ ამხანაგები, სხვა მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს. ტყვიამ დაჭრა ალიოშა და გაფრინდა შორს, ათასი კილომეტრის იქით, ათასი დღის იქით.

ალიოშას მოეჩვენა, რომ მდინარის ნაპირზე წევს, ზედ წყალთან, რომელსაც რძისფერი ორთქლი ასდის. მდინარეში მოცურავს სამი შავი იალქანი და კვეთს ამ ორთქლს. საიდან გაჩნდა ბუგზე იალქნები? რატომ არიან ისინი შავი და არა თეთრი? ეს ის, ალიოშა, მიცურავს უცნაურ სამიალქნიან გემზე „გვარიაციდან ბერძნებში“, არა, არა „ბერძნებში“, არამედ სადგურ კინზე, მშობლიურ სოფელ გრიაზნუხაში. ლუსია კი იცინის:

— თქვენთან გრიაზნუხაში ყველაფერი ბინძურია, ხომ?
ალიოშა ბრაზდება.

— სისულელეა! საქმე სახელწოდება როდია. ჩვენი გრიაზნუხა სხვა ჩისტუხებზე სუფთაა.

ლუსია მაინც იცინის. ალიოშამ არ იცის, რა თქვას და ამბობს:

— ჩვენი მზარეული ისეთ ფუნთუშებს აცხობს კვირაობით!..

აჰ, მზარეული ხომ უკვე აღარ არის. ის დაიღუპა. ის ნამსხვრევით... საფეთქელში... მე კი... ლუსენკა, საყვარელო, მე კიდევ გულში მომწვდა ტყვია, ორად გააპო ჩემი სხეული და გაფრინდა შორს... შორს...

მე ვფიქრობდი, რომ მხარზე უფრო მტკივნეული არაფერი არ შეიძლება იყოს ამ ქვეყნად. ლუსენკა, სად არის შენი სახვევები... „იყავ მზად სანიტარული თავდაცვისათვის“...

შავმა იალქნებმა აიტაცეს და მდინარეში წაიღეს. პატარა ტკივილს ახშობს დიდი, ძველ ჭრილობას — ახალი.

უკანასკნელად ფაშისტებმა იერიში ამაოდ სცადეს დაღამების ხანს. ალიოშა ფულუროში იწვა, სისხლისაგან დაცლილი, სრულიად ძალაგა-

მოცილი, ტკივილებისაგან დაბრმავებული და გაბრუებული. ტკივილი ფოლადის რკალივით შემოეჭდო და სულ უფრო და უფრო უხუთავდა სულს. ალიოშას ძალა არ შესწევდა გაეგლიჯა ეს რკალი. ხელები დაუსუსტდა. გაუგებარია, თუ როგორ გაიგონა მან, რომ გერმანელებმა მდინარის გადმოლახვა დაიწყეს... რაღაც ამოუცნობი ჯარისკაცური გრძნობა გაძვრა ფოლადის რკალში და განგაში ატეხა. მოცურავენ!

ალიოშამ ტყვიამფრქვევისაკენ გაიწია, მაგრამ მიჩვეული იარაღი უზომოდ მძიმე აღმოჩნდა და ადგილიდან ვერ დაძრა. საჩვენებელი თითით სასხლეტის კაკვი მოსინჯა და უკანასკნელი ძალით მოსწია. ტყვია არ მოხვედრია გერმანელებს, ვინაიდან ტყვიამფრქვევი გვერდზე იყო, ადგილზე ხტოდა და ალაღბედზე ისროდა, მაგრამ ბრმა რიგმა თავისი გააკეთა: დააფრთხო მტერი, ისინი უკან გაბრუნდნენ...

ალიოშას არ ესმოდა გასროლის ხმა, მხოლოდ ხელებში ბიძგებით გრძნობდა, რომ ტყვიამფრქვევი ისროდა. ალიოშა ისროდა და გრძნობას კარგავდა. იგი უკვე ჩაიძირა ბნელ, სულისშემხუთავ უსასრულობაში. ხოლო მისი გაქვავებული თითი სულ უფრო მაგრად ეწეოდა სასხლეტის კაკვს და ვიდრე ტყვიამფრქვევში იყო ვაზნები, ტყვიამფრქვევი ისროდა.

ახლა მონასტრის ეზოში ალიოშა ისევ გრძნობდა ბიძგს ხელში. საიდან მოდიოდა ეს ბიძგი? ტყვიამფრქვევიდან, რომელიც უკანასკნელად ურტყამდა, თუ გულიდან? ვერაფერს ვეღარ არჩევდა, ყველაფერი აირია მის გონებაში. საჩვენებელი თითი მოხრილი იყო, თითქოს თავისკენ ეწეოდა უხილავი სასხლეტის კაკვს... მიწაზე მიკრული ლოყა... ჟანგი მუქ-ალისფერი ლაქის ირგვლივ... მწვანე ნიშანი მესაზღვრისა...

რა ხდება აქ, სახლში? როგორ ურტყამენ სადარაჯოზე? მოვიდა თუ არა მამკელი ჯარი? ალიოშამ უკანასკნელი ნებაცყოფა დაძაბა, თავი მოსწყვიტა მიწას და ცას შეხედა. ცის გუმბათზე ეკიდა მზე. იგი მოვიდა მშობლიური ნაპირებიდან. მაშასადამე, ნაპირი არ არის დამწვარი და არ არის დატეხილი, ცოცხლობს, ურტყამს. და მზეც ვერ ჩამოაგდეს ყუმბარებით, ვერ გათელეს ჩექმებით. იგი სრული ძალით ანათებს მთელ ცის კაბადონს, როგორც სამშობლოს დაუმორჩილებელი დროშა.

ალიოშას თავი ჩამოუვარდა. მიხვდა, რომ ყველაფერი თავდებოდა. მაგრამ ხომ არ უნდა ვათავდეს უკვალოდ? მან ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა:

— მე... დუბაცელი მესაზღვრე ვარ... იქნებ, ვინმე ნახოთ... ვადაც ცით... მე შევასრულე ჩემი მოვალეობა...

წვეტიანი ბალახი ჩხვლეტდა დახუჭულ ქუთუთოებში. მოეჩვენა, რომ თავის სახლთან, ბოსტანში იწვა და კამის სასიამოვნო სუნს გრძნობდა. კიტრის ჩახრამუნება მოუნდა, რომელზედაც მიკრული იყო კამის მწვანე ვარსკვლავი... სიცოცხლე თავდებოდა, მიდიოდა მიწაში. მაგრამ



რჩებოდა მისი რაღაც პაწაწკინტელა ნაწილი... შესაძლოა, ერთი ყლუბი... მან დაინახა დიდი ცისფერი თვალები და კულულები... „მამ ვისლა ვგაგარ მე?“ თვალები არ იცინოდნენ. „მეწისკვილეს?“ რატომ არ უღიმის თვალები. „თუ დაგჭრიან, მე შემოდლია შევიხვიო“.. შეხვევა უკვე აღარ არის საჭირო... მეხსიერება დაძაბა, მაგრამ ცისფერი თვალების ნაცვლად შავთავშლიანი საოცრად ნაცნობი ქალის სახე დაინახა და ხრინწიანი სმა გაიგონა... თბილი ღუმელიდან მომავალი სუნი იგრძნო, ღუმელიდან რომელშიც პური ცხვებოდა... ვერ მიმხედარიყო, ვინ იყო ეს ქალი, მაგრამ იგრძნო, რომ სახლი, ბაღახი, პური, სკოლა, გზები, საზღვარი, პირველი დამოუკიდებელი გაკვეთილი, პირველი სიყვარული — ცხოვრების მთლიანი წრე იწყებოდა მასთან და მთავრდებოდა მასთანვე... მან დაინახა მასი ნაღვლიანი თვალები. ქარდაკრული ბაგეები, იგრძნო მასი დაღლილი ხელების შეხება და მთელი თავისი არსებით გაიწია მისკენ; უნდოდა დაეჩურჩულებია: „დედა“, მაგრამ სიტყვამ არ გაიზმინა, ის მხოლოდ ნაღვლიან ამოსუნთქვაში გამოვლინდა.

დიდთავა ბერი დაიხარა და პაღახი მოგლიჯა, რომელიც ქუთუთობაში ჩხვლეტდა მომაკვდავს. მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

სამრეკლოში ისევ შემოჰკრეს ზარებს. ბუგს იქით კი გრიალებდნენ ქვემეხები და უკანასკნელ გამოსათხოვარ სალუტს აძლევდნენ ალიოშას.

თარგმნა ტიტა სინთიპიკა.

ბორის მიტრეველი

ფიჭრები მთიბაჰთა ქოხუი

კოეზის ნაწყვეტები

ირიჟრაჟა. ხეებს დავცქერ მაღალ მთიდან, ტყე იღვიძებს, ფოთლებს გააქვს ცახცახი, მძიმე-მძიმედ ამოცურდნენ ბურუსიდან გლოლის მთები და ხეობა ჭანჭახის. ტყიან ხევში მიღგაფუნობს ღელისწყალი,

ფოთლებს შორის ჩანს კამკამი ჭავლები.
აქ, ტყისპირას, მთიბაჟთა ქოხს მოკვარ
თვალი

და ცრემლებით მენისლება თვალები.
ჩამოვჯექი ცისფერ ლოდზე წყაროს გვერდით,
უცებ გული დამიმძიმა ნაღველმა;
ეხლა ვფიქრობ — მთაში რატომ ამოვედი,
ცელი როგორ მოვიქნით ცალხელამ.
მზე მალღდება და ამოკლებს ხეთა ჩრდილებს,
მძიმე დარდით რეტდასხმული გაკშტერდი:
გადავხედე ცელმოქნეულ ჰიძაშვილებს,
ნამდვილ მთიბავს არა ჰგავდა არც ერთი.



შევდივარ ქოხში, შხუილი მესმის
ლელის და ვწეები საწოლზე თივის
და მოგონება ფიქრების ტყეში
ანათებს, როგორც წყვდიადში სხივი.
ომის დაწყება ღამით გავიგეთ
და მოწოდება გვესმა თუ არა,
ჩემი ბიძები ომში წავიდნენ,
სათიბებს შამბმა გადაუარა.

ომის გზებს გავყე ბიჭი სოფლელი
და გავირუჯე ბრძოლის ქარცეცხლით;
სიკვდილს თესავდნენ ირგვლივ თოფები
და შიში, როგორც პურის ნამცეცი
უცებ დავკარგე ვიწრო სანგარში.

მიწას ფლეთავდა ნაღმების ღავა,
მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი,
ან მიწის ზემოთ როგორღა დავალ.

ომი ტყვიისებრ გულზე დაგანლის
განწირულ ბავშვთა კივილს საშინელს,
და წლობით ნაშენ ღამაზ ქალაქებს
ერთ წამში დაწვავს, დაანახშირებს.

მაგრამ მე მახსოვს ის გაზაფხული,
მაისის დილა, ჟრუანტლის მგვრელი,
გამარჯვებული კაცის ღაშქრული
და სიხარულად მომსკლარი ცრემლი.

მას შემდეგ ბევრჯერ დასკდა კვირტები,
ბევრჯერ ეცვალა ფერი თელიანს,
მაგრამ არ ჩანან ჩემი ბიძები,
თუმც ბიცოლები ისევ ელიან.

* * *

მიჩენს შეგრძნებას გულ-ღვიძლის დამწვევლს
ეს გაზაფხული ლაღად მცინარე,
მხრებზე გადამდის დროის მდინარე
და წლოვანებას სახეზე მაწერს.
დღენი მიქრიან ჩუმად და ლაღად,
ოცნება ჰკურნავს სულის იარებს;
ტალღა ვყოფილვარ, რიონის ტალღა,
ამ ხეობაზე ჩამოვიარე.
ამბავს ვუყვები ადგილის დედას,
ისევ მართო ვარ მწარე ფიქრებთან...
ხუთი წლის წინათ ჩემსავით, ნეტავ,
ამ მდელოებზე ცელს ვინ იქნევდა?
გიო ბიძია, ნეტავ სადა ხარ,
აგერ უშენოდ მოლი ბიბინებს,
შენ დამეკარგე ამ მთებს გადაღმა,
წყაროზე ვეღარ ჩამოირბინე.
ვეღარ გატეხავ მჭადს გაფიცებულს,
ვეღარ შეჭხარი ფოთლებს ცვრიანებს,
სათიბის თავში კლდეს დაყუდებულს
შენი მთიბლური არ ახმიანებს.
ფიქრებით მძიმე დარდებს ვიქარვებ
და მოგონების ცეცხლით ვიწვები,
თავს რად დაგვატყდა ომის გრივალი,
სად გადიკარგენ ჩემი ბიძები?
ბარბაცით ვდგები, თავს ვატან ძალას,
დავაგდე ქოხი — ფიქრთა დილეგი.
მალღა ფერდობზე ცელავენ ბალახს
ძმისშვილები და ბიძაშვილები.
სიამით ვუცქერ ძველ ნაცნობ ბილიკს,
მღელვარე გული მაინც ვერ დაცხრავ;
რად ამოვედი ამ მთაში, მიკვირს,
რა უნდა ვთიბო ცალხელა კაცმა?

მაგრამ მითხარით, ის რა კაცია,
 შრომის დოვლათზე არ იოცნებოს,
 ცერიან სათიბში არ გაიაროს,
 ლორთქო ბალახი რომ არ მოცელოს!
 წყაროსთან ბუჩქებს შევავლე ხელი,
 კვლავ მომერია ფიქრები ტკბილი.
 მყის გავიდევი მე მხარზე ცელი
 და სათიბისკენ გავყევი ბილიკს.
 წავიბუტბუტე — რას მარგებს ცრემლი,
 ალბათ, მქონია ასეთი ბედი!
 შუა გავჭერი მე ტარი ცელის,
 მერე ქამარზე შევიბი ღვედით.
 სხეულს მიცხელებს შეგრძნება მწველი
 და ღამაყარა ხორკლები ტანზე;
 ცელს ესალტება ეს ცალი ხელი,
 ორივე მკლავის ჯან-ღონით სავსე.
 როს გავიარე ხევი ტყიანი
 და უხერხულად სათიბს აყევი,
 ბიჭები ჩემსკენ შემოტრიალდნენ,
 აფორიაქდნენ, როგორც ბარტყები:
 — ვიქტორ ბიძია!
 — ბიძია ვიქტორ!
 — მოდი, მოგვხედე, გაგვიწყდა ქანცი,
 ამდენ ღლაპებს და გამოუცდელებს
 კი გვინდა ერთი ჭკვიანი კაცი!
 რამ მოგიყვანა აქ, კარგად ვიცი,
 ნუ თიბავ, ჩვენთან იყავი ისე;
 ტკბილი ხუმრობით და მუსაიფით
 შეგვემატე ძალა და სიხალისე.
 მოსვლისთანავე ცელს რატომ ეცი,
 გამხიარულდი, გახსენ წარბები,
 ამაღამ ქოხში დავანთოთ ცეცხლი
 და მოგვიყევი ომის ამბები.
 ბიჭებს ვაწყნარებ და სერზე შევადექ,
 ბალახში ცელმა იწყო სრიალი.
 ცოტა ხნის შემდეგ ოფლიან მკერდზე
 მომელამუნა გრილი ნიავი.

ბინდდება მთებში, სურნელი თივის
ღია კარიდან შემოაქვს სიოს.
ქობის კუთხეში ხმელ ჯირკვზე ვზივარ,
სადაც ჯდებოდა ბიძია გიო.
ღამდება, მწვერვალს წყვილიადი ყლაპავს,
ისევ მოისმის შხუილი ლელის.
ბიძია გიოს მონაყოლ ზღაპარს
გყვები, ღაწვებზე მოგორავს ცრემლი.
ნანატრი ღამე ღგება ისევე,
ისევ ისვენებს მკლავი ქებული,
მთიბავეები კი სხედან, მისმენენ,
კოცონით სახეგაშუქებული.
უცებ ეღუძვები, ეს რამ შემბორკა?
ხმის ამოდება არ შემიძლია;
...ქობის კარებში ფეხი შემოდგა
ღა ილიმება გიო ბიძია.

იმ ღლეთა მოსაგონარი

იაკობ მელიას პირველი ლექსი 1941 წელს დაიბეჭდა. იგი დიდ სამამულო ომში დაღუპული მეგობრის ხსოვნას მიეძღვნა. ომის თემა, საერთოდ, გამოირჩევა პოეტის შემოქმედებაში და ამას თავისი მიზეზი აქვს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე თანატოლებთან ერთად იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მალე დიდი სამამულო ომიც დაიწყო. მონაწილეობა მიიღო დასავლეთ ბუგთან გააფთრებულ ბრძოლებში. იმ პრისხანე ღღებში ბევრი მისი თანატოლი დაეცა, თავად კი მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა ოშიდან.

ძეომაჩხა პოეტმა კარგად აღიქვა დიდი სამამულო ომი, ამ ომისაგან გამოწვეული განსაცდელი, რუსი ხალხის ვაუტეხელი ნება და გმირული შემართება. მართლაც რუსი კაცოვით გულღია და სტუმართმოყვარეა რუსული ბუნარიც, რუსული ოჯახის სითბო და უბრალოებაა გაღმოცემული ლექსში „რუსული ბუნარები“. ვერა, ვერა შესძლეს მტრებმა ამ ბუნარების ძღვევა. იფერფლებოდნენ სახლები, მაგრამ ბუნარები მაინც რჩებოდნენ სიცოცხლის უძღვევლობისა და სიყვარულის სიმბოლოდ.

გზა-გზა გადარუჭული
ბევრი შეგვხვდა სახლ-კარი,
მასხინძლისებერ თქვენ მაინც
ჩანდით ფეხზე ამღგარი.

ბუხრები ბარიალებივით იდგნენ, ისინი რაში დაცემულ გმირთა ობელისკებზე
ჰგავდნენ. უთუოდ ნიშნულია ბუხრების შედარება ობელისკებთან. ასევე პოეტურ
სურათად იქცა დაპირილი მეომრის მოგონება, როდესაც იგი ალუბლის ძირას იწვა.

ალუბალი ღვივდებოდა,
მწიფდებოდა ალუბალი,
ვაგლახ, როგორ იელვა და
რტოს მოედო ნაღმის ალი.

ლექსის ლირიკული გმირი მიმართავს დაუიწყარ ალუბლებს:

მიწა სისხლით დანაღობში
იმ ბრძოლებში, იმ დღეებში,
მინდა ვნახო ალუბალი,
ალუბლების სიწითლეში.

ნ. შელის ფრონტული ლირიკა საყურადღებოა იმით, რომ მასში ვერ შეხვდებით
გამოგონილ თემას, მწერალს თუ არ უტყვობია თავისი გმირის ცხოვრებით, მისი სახე-
ები, განცდები ვერ განასახიერებენ პიროვნების ხასიათს. ლექსში „იქ აკაცია რომ
დგას“ სინამდვილე თავისებური კუთხითაა დანახული. სოფელში ჩასულ პოეტს მისი
თანაფრონტელი მეგობრის მამა მუდამ ეკითხება შევლის ამბავს, მაგრამ მეგობრის საფ-
ლაეზე მდგარი აკაცია აფრთხილებს, მამას შევლის დაღუპვა არ გაუმხილო.

იქ აკაცია რომ დგას
და თეთრ ყვავილებს ბარდნის,
მამცნობს ცოდვა, ცოდვა,
არ გაუმხილო დარდი.
მაგრამ იმგვარად მიმწერს
და ისე მსაყვედურობს,
თათქოს ხვდებოდეს მიწეზს
თვალების საიდუმლოს.

პოსპიტალში პოეტის თანამებრძოლი მოიყვანეს, მას მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა.
ტრავმირებულ მებრძოლს წერილის გაგზავნა უძნელდება და მეგობარს ავალებს, ჩემი
ამბავი ქუთაისში ჩაიტანე და ცოლ-შვილი მინუგეშეო. ძნელი კია, მაგრამ მეგობრის
დავლება უნდა შესრულდეს. ლექსში მშრალად როდია აღწერილი ომისაგან გამოწვეუ-
ლი ტკივილი და განსაცდელი. ავტორი ამას საკუთარ შეფასებას აძლევს და სამშობლო-
სადმი სიყვარულის გმირულ მაგალითად მიიჩნევს.

თუმცა აუფი თან დააქვს ტყვიას,
მსხვერპლს რომ დაეძებს გზადაკრუგული,
უმარჯვენობა მაინც რას ჰქვია, —
როდესაც მხარში გიდგას მამული.

ფრონტულ ლექსებს შორის გამოირჩევა „ნეტავ თუ იგონებს“. ჯარისკაცი იძულებ-
ულია საყვარელი არყის ხე დასეროს და წყურვილი მოიკლას.

წავიდა... და დარჩა არყის ხე დაპირილი,
ვინ იცის ო, მერე სად და სად იარა,
ნეტავ თუ იგონებს ახლა ამ არყის ხეს
და იმის გულმკერდზე დარჩენილ იარაბს.

ლექსში „ჩემო მერცხალო“ გამოყენებულია ხალხური სიმღერა „გაფრინდი შევო
მერცხალო“, მაგრამ თემა ტრივიალურად როდია გადმოტანილი. აბა, წარმოიდგინეთ
სანგართან გაზაფხულივით მოკლული მერცხალი.

**შენი მტერი და ორგული,
ათასგზის დამიწყევლია
ჩემს სანგრის პირას გიპოვნე
ვით გაზაფხული მოკლული.
...ყოველ გაზაფხულს სიმწვანით
რომ იმოსება ქედები,
მერცხალო, ჩემო მერცხალო,
უშალ შენ გამახსენდები!**

სწორედ ამ მერცხლის გახსენება იწვევს ომის პროტესტს, ომმა ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა, მისი ქარ-ცეცხლიდან აღარ დაბრუნდნენ. ი. მელიას უფროსი თაობის წარმომადგენელი პოეტები. მათ შორის სევერიან ისიანი. ...ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, — იგონებს პოეტი, — გაებრიყვდი და ჩემი უმწიფარი ლექსები საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში მივიტანე. ზამთრის დღე იყო, რამდენიმე მწერალი ღუმელთან იჯდა და საუბრობდა მწერლობაზე. ერთიც ფართო კამარიან სარკმელთან იდგა და ჯაჭვის ხიდს გაყურებდა. ლამაზად, ხეავრივად თოვდა და აი, სარკმელთან მდგომმა ბავშვური აღტაცებით წამოიძახა: „როგორ მიყვარს ასეთ თოვლში ლექსები წერაო“. ეს უცნობი სევერიან ისიანი იყო. მახსოვს, როცა მას ჩემი ლექსები წავუკითხე, როგორ თავაზიანად და ყურადღებით მომეპყრა. ხალასი გული და სიკეთით ანთებული სული ჰქონდა. ჩემს ლექსებში მან გამოარჩია შედარებით უკეთესი ლექსი და ისეთი რიხით წაიკითხა, მისი გულწყელობა და სიყვარული სამარადჟამოდ აღიბეჭდა ჩემში. მას შემდეგ, როდესაც უფროს-გაზეთებს ვკითხულობდი, სულ მის სახელს და ნაწარმოებებს დავეძებდი. გამოსდა ხანი და ერთხელ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ წავაწყდი ს. ისიანის პატარა ლექსს „ჩემი ფიქრები კი შენთან არის“. ეს იყო და ეს, მერე ვერ ვევაუებოდი იმას, რომ ხშირად არ იბეჭდებოდა მისი ლექსები... ი. მელიამ სიყვარულით უძღვნა ს. ისიანს ლექსი, რომელსაც „ზამთრის საღამო“ უწოდა. ლაპარაკია იმ საღამოზე, რომელმაც პოეტური სიხარული მოუტანა, მაგრამ ვაი, რომ ეს სიხარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდა.

**ეს იყო მაშინ, მრავალწლის წინათ,
სიმღერისათვის დრო გვქონდა ოდეს,
დღეს კი ბრიანსკის მახლობლად გძინავს
სიმღერის კაცს და მეომარ პოეტს.
დაე, მტრის გული აუგად ძრწოდეს,
იქაც თოვს, ახლა თოვას თუ უმზერ,
შენ სიყვარული რასაც უწოდე,
უსპეტაკესად გეფრქვევა გულზე.**

სხვა ფრონტული ლექსებიდან აღსანიშნავია „ბედნიერება“, „ოცდაათი“, „როგორც მწუხრის იდილია“, „სად ხარო ნეტავი“. ამ ლექსში განზოგადებით ვაღმოცემულია დიდი ტკივილი:

**ო, ჩემი ყრმობის კეთილი ძმებო
გულის ცეცხლი მაქვს ჩაუკეტავი,
მე ახლა ვიცი, რა არის ძმობა,
მაგრამ თქვენ სად ხართ, სად ხართ ნეტავი?**

პოეტი პატივს სცემს და აფასებს თანამოსანგრე პოეტების შემოქმედებას, რადგან მათ ნაწარმოებებში იგი ხედავს მძიმე საბრძოლო ცხოვრების შეუღამაზებელ სინამდვილეს. ი. მელიას ლექსი „მძინარე პოლკი“ აშკარა გამოხმაურებაა მ. ლებანიძის ამავე



სახელწოდების ლექსისა. იგი შეიძლება მივიჩნიოთ თანაფრონტულ პოეტთან, გუგუშვილს საუბრებად.

**წყალმაც ჩათვლიმოს იქნებ, თვლემენ ვეება მთებიც,
დაღლილი პოლკი თვლემდეს უნებლიეთ თუ ნებით,
ეს არ მაკვირვებს, მაგრამ სხვა რამეს ვაკვირდები,
ო, ღმერთმა დამიფაროს, აქ რა ხელი აქვს ღალატს,
მამულის სიყვარულს თუ ძილშიაც ვუსდით ღალას.**

საინტერესოდა გააზრებული ლექსი „მხოლოდ ღამით, ისიც ერთხელ“. მედიცინის და, ახალგაზრდა ქალიშვილი, განთიადისას ბრძოლის ველზე კვდება. ქალიშვილი პოეტმა იმ ყვავილს შეადარა, რომელიც სიცოცხლეში მხოლოდ ღამით, ისიც ერთხელ იფურჩქნება და განთიადისას სიცოცხლეს ჰკარგავს. პოეტი ნაღმით დათხრილ ვუბნებზე დაეძებს თავის სიყვარულს, მაგრამ ამაოდ:

**ძნელი არის სიარული ნაღმით დათხრილ გზაზე,
რას დავეძებ იმ ჩემს ყვავილს, საღხს მივმართავ ასე.
მხოლოდ ღამით, ისიც ერთხელ იფურჩქნება წამით,
და ამ ყვავილს ქვეყნად ჰქვია „ღედოფალი ღამის“.
მას ცვარნამი გულის გულში უკიაფებს შივიად,
ღიმილს ისხამს ყვავილებად, განთიადზე ცვივა.**

სამამულო ომის თემას ეძღვნება აგრეთვე ავტობიოგრაფიული პოემა „მზე და სანგარი“, „სიმღერა სიყვარულზე“, ბალადები „კოლხური მწუნარი“ და „ხელმანდილი“.

41 წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. ათქვამს საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ ის მრისხანე დღეები დავიწყებით არასოდეს დაბინდდება, საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა მუდამ იქნება პოეზიის შთაგონების წყარო.

შოთა ნიჟარაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვ უ ლ ო ც ა ვ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა ნიჟარაძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

ეურნალ „ჭოროხის“ რედაქციისა და მისი მკითხველების სახელით ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ ღირსსახსოვარ თარიღს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ღავით ნაცვალაჲმ

დიმიტრი ერისთავი

თვალწარმტაცია აღმოსავლეთი გურია. ვინც ნიგოთის ქედიდან სუფსის ველი-საკენ გადაიხედავს, მას თვალწინ გადაეშლება სიმშენიერის გასაოცარი პანორამა. ირგვლივ აღმართულ მთებსა და ქედებს შორის მოედინება ფოლადისფრად მოკაფე სუფსა, რომელსაც ორივე მხრიდან ერთიან მთიდან დაშვებული მდინარეები — გუბაზოული, ნატანები, ბანვისწყალი, აცაურა და სხვა მრავალი.

ჩოხატაურის ქვემოთ, სუფსის მარცხნივ, ვიწრო სანაპირო ზოლზე, დგას წაძენარით დაფარული გორაკი, რომელზედაც აღმართულია სოფელ გორა-ბეროყოელის ერისთავების ძველი ციხის ნანგრევები. მის ახლოს, ქარაფებზე, ხმაურით მოედინება თავანკარა გუბაზოული, რომლის სახელწოდება კოლხთა მეფის გუბაზის სახელთანაა დაკავშირებული და სულ ადვილი შესაძლებელია, მის ნაპირებთან ამ სახელგანთქმულ ქართველ მეფეს რეზიდენცია ჰქონდა.

ბუნების ამ შესანიშნავ წიაღში 1862 წელს დაიბადა საქმაოდ, ცნობილი ბელეტრისტი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე (ტიტიკო) კონსტანტინეს ძე ერისთავი.

გურიის ერისთავები, რომელთა გენეალოგიას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, წარმოშობით შერვაშიძეები ყოფილან და, ვახუშტის თქმით, აფხაზეთიდან გადასულან გურიაში, სადაც თავიანთი ტიტული გვარად უშტეციათ. გიორგი (მეოთხე) გურიელს ერისთავისათვის უჩუქებია საჯავახო და სურგები, მალე ისინი გამხდარან მთავრის მოურავები.

გურიის უკანასკნელი მთავრის მამა (მეხუთე) გურიელის ბოქაულთუხუცესი, ჩინთ მთიორი — ვახტანგ ერისთავი მწერლის ბაბუა იყო და იგი იმერეთის სამეფო კარზე ხშირად ასრულებდა სოლომონ მეორის დიპლომატიურ დავალებებს.

თავის დროზე დ. ერისთავის მშობლები განათლებული ადამიანები ყოფილან. მწერლის მამა — კონსტანტინე მომრიგებელი შუამავალი იყო, დედა — ევლიტა, ნაკაშიძის ასული, კარგად იცნობდა ძველ ქართულ ლიტერატურას. მათ ოჯახში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული სჯა-ბაასი.

დ. ერისთავმა ქართულ-რუსული წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა. იგი ბავშვობიდანვე გულმოდგინებას იჩენდა სწავლისადმი. დიმიტრის გარდა, კონსტანტინეს და ევლიტას კიდევ ჰყავდათ ორი შვილი — პეტრე (კასკა) და მარიამი (მამიკო), რომლებიც დასაფლავებულნი არიან თბილისში.

1872 წელს დ. ერისთავი მიიბარეს ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც გამეფებული იყო სწავლების მკაცრი რეჟიმი, მაგრამ დიმიტრი კარგად სწავლობდა და კლასიდან კლასში ქების სიგელით გადადიოდა. ქუთაისის გიმნაზიაში გამეფებული რეჟიმი და



სწავლებაზე უფარგასა მეთოდი რ. ერისთავმა მშენებრად დაგვიხატა მოთხრობაზე
რომელსაც „უბრალო ამბავი“ ეწოდება.

1382 წელს დ. ერისთავმა წარმატებით დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს შევი-
და კიევის, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც გაეცნო რუს და
უკრაინულ ახალგაზრდებს, რომლებიც თავისუფლად მსჯელობდნენ პოლიტიკასა და
ხელოვნებაზე, იცოდნენ თავისი ქვეყნის წარსული და ოცნებობდნენ მის მომავალზე.

1886 წელს დ. ერისთავმა წარმატებით დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამე-
დიცინო ფაკულტეტი და დირექციამ მას წინადადება მისცა ასპირანტად დარჩენილი-
ყო, მაგრამ დიმიტრი უარი განაცხადა და სამშობლოში გამოემშურა.

1886 წელს დ. ერისთავი დაინიშნა სოფლის ექიმად ოზურგეთის მაზრის ნაგო-
მრის საექიმო პუნქტში, სადაც მან, როგორც შესანიშნავმა მკურნალმა, მაშინვე მიიბ-
ყრო საზოგადოების ყურადღება. იმ პერიოდში სოფლად ექიმის გამოჩენა იშვიათო
რიგენა იყო და დ. ერისთავი, რომელიც „თავისუფლად ფლობდა დასტაქრის: დანა-
სა და სამეანო დახმარების ტექნიკასაც, ხალხისათვის სათაყვანებელ აღამიანად იქცა.

1895 წლის დეკემბერში დ. ერისთავი თბილისში დაინიშნა შტატგარეშე ექიმად
სამედიცინო დეპარტამენტში, სადაც მან ოთხი წელი იმუშავა, მაგრამ მალე მაინც
მშობლიურ გურიას დაუბრუნდა.

ამ პერიოდში დ. ერისთავმა ცოლად შეირთო ოტია დადიანის ასული, რომელ-
მაც მას შესძინა სამი შვილი — ვახტანგი, თამარი და დარიკო.

1900 წლის ივლისში დ. ერისთავი მუშაობას იწყებს ოზურგეთის მაზრის ექი-
მად. იმ პერიოდში იგი მთელ მაზრაში იყო ერთადერთი ექიმი, რომელიც თერაპიულ
და ქირურგიულ დახმარებას უწევდა მაზრის მთელ მოსახლეობას. ეს კი ადვილი სა-
ქმე როდი იყო. სამაზრო ცენტრში არ იყო არავითარი სამკურნალო დაწესებულება
— ამბულატორია, საავადმყოფო, აფთიაქი, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ნორმა-
ლური მუშაობისათვის.

დ. ერისთავი იძულებული გახდა თავისი საცხოვრებელი სახლისათვის ოთახი მი-
ეგნებინა და იქ მოეთავსებინა მძიმე ავადმყოფები.

ცარიზმის საძულელი დ. ერისთავმა ბავშვობიდანვე ჩაინერგა გულში. იგი გან-
საკუთრებით შეურთგებელი იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი მო-
ხელეების მიმართ. ამ მხრივ საინტერესოა დ. ერისთავის ცოლისდის, თამარ ოტიას
ასული დადიანი-ყიფიანის მოგონება:

„ჩემი და ეკატერინე (კაკა) ოტიას ასული დადიანი ცოლად ჰყავდა ალექსანდრე
მაქსიმეს ძე ქოჩაკიძეს (პოეტ გიორგი ჰალაღიდეღის ძმას), რომელიც ითვლებოდა
მენგრელსკის საქმეების ადვოკატად და მმართველად. ერთხელ მაქსიმემ მეჭლისი გა-
ზართა. მეჭლისზე, სხვათა შორის, მიპატიეებელი იყო ქუთაისის ვუბერნატორი სლა-
ვოჩინსკი. ჩემმა დამ ვუბერნატორს წარუდგინა თავის სიძე დიმიტრი ერისთავი.
სლავოჩინსკიმ ხელი გაუწოდა. დიმიტრი ერისთავმა მას პირში მიახალა, „შავრაზმელს
ნელს ვერ ჩამოვართმევო“, და ოთახიდან გავიდა. ჩვენ დავიბენით. ვიცოდით, რომ
სლავოჩინსკი ჩვენს სიძეს სასტიკად დასჯიდა.“

როგორც მოგონებიდან ირკვევა, საქმეში ჩარეულან გავლენიანი პირები და
ვუბერნატორი იმით დაკმაყოფილდა, რომ დიმიტრი მაზრის ექიმად გადაუყვანია რა-
ქანი. აქ დ. ერისთავს ცხრა თვე უმუშავენია და გადაუყვანიათ შორაპნის მაზრაში.

როგორც უკვე ვთქვით, დ. ერისთავს სასტიკად სძულდა შავრაზმელები, მაგრამ
დიდი პატივისცემით ეპყრობოდა რუს მშრომელებსა და ინტელიგენციის წარმომად-
გენლებს, რომლებთანაც მას განუყრელი მეგობრობა აკავშირებდა.

„ოზურგეთში ჩემს ბავშვობაში,—იგონებდა დ. ერისთავის შვილი — ვახტანგ ერი-
სთავი,—ჩვენს სახლს ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე მეტყევე ჩერვისი გამოძიებე-



ლი რაქდენოვსკი, ოფიცერი რედნი, რომელიც გატაცებით ხატავდა გურიის პე-
ზაჲს. გამომძიებელი რაქდენოვსკი მამაჩემმა სიკვდილს გადაარჩინა. 1903 წელს, რო-
მთა, გაძარცვის მიზნით „ფირალები“ თავს დაგვესხნენ. იმ დროს გამომძიებელი ჩვე-
ნიან სტუდრად იყო. ერთ-ერთმა მძარცველმა წამოიყვირა: „ბიკებო, ეს გამომძიებე-
ლია, მოვკლათო!...“ მამაჩემი არ დაბნეულა და ფირალებს უთხრა: „არ გაბედოთ! თა-
ვი არ შეირცხენოთ, ეს მასწავლებელიაო“. ფირალებმა მამაჩემს დაუჯერეს და რა-
ქდენოვსკის ხელი არ ახლეს“.

ერთი წლის შემდეგ დ. ერისთავი შორაპნის მასრიდან მშობლიურ კუთხეში დაბ-
რუნებას ახერხებს და მუშაობას აგრძელებს ოზურგეთში. თუ არ მივიღებთ მხედვე-
ლობაში იმას, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს იგი მობილიზებული იყო მეფის ან-
ნის რიგებში და ციმბირში ქ. ვერხნულნისკში, სამხედრო ლაზარეთში ქირურგად
მსახურობდა, დ. ერისთავმა მთელი თავისი ცხოვრების შინაარსიანი წლები გურიამი
გატარა.

რუსეთ-იაპონიის ომიდან დაბრუნებულ დ. ერისთავს გული მოუკლა მეფის დამ-
სჯელი რაზმების მიერ დარბეული და დამწვარი გურიის სოფლების ნახვამ, რომელ-
მაც მას დააწერინა მოთხრობა „შავბნელი ძალები“. ეს იყო პერიოდი, როცა ცარნიზი,
რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ხალხზე გამარჯვებას ზეიმობდა.

თავისი საზოგადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობით დ. ერისთავი თავიდანვე ხა-
ლხის სამსახურში ჩადგა, რადგან მტკიცედ სჯეროდა თავისი ქვეყნის ნათელი მომავა-
ლი. დ. ერისთავის აქტიური მონაწილეობით ოზურგეთში გაიხსნა საშუალო სასწავლე-
ბელი, აფთიაქი და სტაციონარი.

მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები ხედავდნენ, რომ დ. ერისთავს, როგორც
მკურნალს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხალხში კარგი ავტორიტეტი ჰქონდა
და ამიტომ, ზოგ შემთხვევაში, მის მიმართ დათმობაზეც მიდიოდნენ. იყო შემთხვევა,
როცა დ. ერისთავი საექიმოდ დახმარებას უწყევდა პოლიტიკურ დევნილებს და თავს
საფრთხეში იგდებდა, მაგრამ მის უმიზარ და შეუპოვარ ხასიათს თავისი გაჭკონდა.

შუალამა. კოკისპირულად წვიმს, ქექა-ქუხილისაგან ყუროთსმენა დაჩშულია. კა-
რზე კაქუნი გაისმის. მსახური ქალი, რომელსაც დერეფანში სძინავს, ლოგინში შეი-
მეუღლა. კაკუნი განმეორდა.

— დავიღებო, კვლავ ყაჩაღები დაგვესხენ! — გაიფიქრა ქალმა და შიშისაგან
კედელს მიეკრა.

— გამოდეთ კარი, ექიმი მინდა, მძიმე ავადმყოფი მოვიყვანეთ! — მოისმა გარე-
დან მამაკაცის ბოხი ხმა.

— ექიმს სძინავს, ვერ გავაღვიძებ! — უპასუხა ქალმა.

— ნუ გეშინიათ, მძარცველები არა ვართ, დიმიტრი ექიმი გვინდა! — განმეო-
რდა თხოვნა.

მალე კარი იღება და ხალათგადაცმული ექიმი კარებში დგას.

— ბატონო დიმიტრი, მძიმე ავადმყოფი გვეყავს, ცხენები მზადაა, უნდა წამოხ-
ვიდეთ! — ეუბნება ექიმს მალალი, შავგვრემანი, წვერმოშეებული, ჩაბალახმოხვეული
კაცი, რომელსაც ნაბდის შიგნიდან მოუჩანს ირიბად გადავიდული ვაზნებიანი „ფა-
ლისკები“.

— რა ჯირს ავადმყოფს? — იკითხა ექიმმა, რომელმაც იმ წამს მოისაზრა, ვისთან
ჰქონდა საქმე.

— დაჭრილია!

— ცოცა დამიკადეთ, ხელსაწყოს გამოვხარშავ, ტანზე გადავიცეამ და წამოვალ!

— დინკად მიუგო ექიმმა, რომელსაც ჰალარაშერეული ომის კულულები განიერ შუბ-
ლზე ჩამოღვროდა.

თენდებოდა, როცა სოფელ ასკანაში, ტყის პირას, ფიცრულ სახლში დ. ერისთა-



გნა მძიმედ დატრილი ავადმყოფის ოპერაცია დაამთავრა. ოთანიდან გამოვედით და თოფ-იარაღში ასხმულ ვაეკაცება გადახედა. ისინი წამოდგნენ და მოწყალე ტვალებით დაუწყეს ცქერა ექიმს. ხმას კი არავინ იღებდა.

- ეითომ, გადაჩნება, ბატონო ტიტციო?!
- ძლიერი ორგანიზმი აქვს. ვფიქრობ, გაუძლებს!

— შენს მარჯვენას ვენაცვალე, ექიმო, ტყვილად არ გვეხვეწებიდა, ჩვენი ტიტციო რომიყვანეთო! — ვახარებული წამოიძახა ერთმა მათგანმა, რომელსაც წითური უღვა-
შები და არწივივით მოშვილდული წარბები ჰქონდა... დატრილი გახლდათ დათავ-
შეგარდახმე.

როგორც მკურნალის, დ. ერისთავის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა საქარ-
თველოს ერთი კუთხით. იგი თავის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უზიარებდა
საქართველოს იმდროინდელ მოწინავე ექიმთა საზოგადოებას.

„1918 წელს მამაჩემმა საქართველოს მწერალთა საზოგადოების კრებაზე გააკეთა
მოხსენება, რომელშიც გააშუქა ის უაღრესად მანვე მოვლენა, როცა ნარკოტიკების
ხმარება უარყოფით გავლენას ახდენდა ხელოვნებასა და, საერთოდ, გონებრივი მუშა-
კების საქმიანობაზე. ეს საკითხი მწვავედ იმიტომ იდგა, რომ ზოგიერთი იმდროინ-
დელი პოეტი ევროპიდან შემოტანილი ნარკოტიკებით იბანავდა თავს“ — იგონებს
დ. ერისთავის შვილი ვ. ერისთავი.

დ. ერისთავი იყო მეტად კეთილი და გულშემატყვიარი ექიმი, რომელმაც არ
იტარდა ავადმყოფების გარჩევა გვარისწილობითა და მდგომარეობით. განსაკუთრებით
გზარალებოდა ღარიბი გლეხობა.

აღნიშნულს ადასტურებს აწ გარდაცვლილი ანეტა გლახუნის ასული ნაცვალაძე-
ვადაქტორიას მოკონება: — „ჟარგად მასსოც 1911 წელი, მამაჩემი ახალგაზრდაცვლი-
ლი იყო. ჩემი ძმა ალექსი მძიმე ავად გახდა. ჰიათურაში* გაციეებულყო და სახლში
ავადმყოფი ჩამოვიდა. გურიაში მამის ერთი ექიმი — ტიტციო ერისთავი იყო. წავიდა
ჩემი ძმა სიმონა და ცხენით ჩამოიყვანა ექიმი აკეთში. ტიტციომ ავადმყოფი გასინ-
ჯა, წამალიც მოგვცა და ერთი კაბივი ფული არ აიღო. ამის პატივი დავკვდო, რომ
ჩვენს ოჯახში ისაღილა“.

დ. ერისთავის შესახებ უფრო საგულისხმო ცნობა დატოვა ჩოხატაურის რაიონის
სოფელ ქვენობნის მკვიდრმა სარდიონ ლუკას ძე ბოლქვაძემ, რომელიც ძალზე ახ-
ლოს იცნობდა თავის მეზობელ ექიმს.

„დიმიტრი (ტიტციო) ერისთავი გურიაში იყო ყველაზე გამოჩენილი ექიმი, რო-
მელიც ითვლებოდა „ოზურგეთის მზრის უფროს ექიმად. მას ეხებოდა ახალგაზრდე-
ბის განმრთვლობის შემოწმება და სამხედრო სამსახურში გაწვევის საქმე. ამ დროს
იგი ზედმიწევნით თბიქტური იყო, მისი მოსყიდვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძ-
ლებოდა. ყველას ერთი საზომით უდგებოდა. კვირა დღეს იგი ამოდიოდა თავის სო-
ფელში — გორაბეროყოულში, სადაც მას ჰქონდა ოჯახი და მამული. იქაც აუარ-
ზელი ავადმყოფი ხედებოდა. ბავშვებს პირველ რიგში გასინჯავდა... დ. ერისთავს
ჰქონდა წისქვილი, რომელშიაც ამუშავებდა ხაშურელ კაცს, რომელსაც ნაბრძანებო
ჰქონდა, მინდი და ფული არავისგან აეღო, ყველას უფასოდ მომსახურებოდა“.

როგორც ექიმს დ. ერისთავს ახლო მეგობრობა ჰქონდა ივ. გომართელთან. გუ-
რიიდან თბილისში ჩასულ ავადმყოფს ივ. გომართელი ეტყოდა: „ჩემთან რატომ
ჩამოდი, იქ ტიტციო ახლოს არ გყავდათ? მე იმაზე მეტს ვერაფერს გეტყვიო“.

1895 წელს 33 ნომრად დაბეჭდილ გაზეთ „ივერიაში“ დ. ერისთავმა სააწკარაოზე
გამოიტანა სოფლის ექიმბაშების მკენებლური საქმიანობა, რომელსაც „საზღვარი არ
ჰქონდა გურიაში“. იგი სასტიკად ებრძოდა „ექიმებს“, რომლებიც თავიანთი ყალბი
საქმიანობით ტყავს აძრობდნენ ისედაც ვალატაკებულ ხალხს.



ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არაერთხელ აღუნიშნავთ ის ფაქტი, რომ მცხრამეტე საუკუნის მოღვაწეებს ჩვენი ქვეყნის მაშინდელი აწმყო მრავალ საზრუნავს უჩენდა, რომელთაგან მთავარი იყო ფიქრი ღარიბი გლეხობის მომავალსა და კულტურული დონის ამაღლებაზე. ის მდგომარეობა, რომ გლეხობას სჩაგრავდა ყოფილი მებატონე, მღვდელი, მეფის მოხელეები და ჩარჩ-ვაჭრები, ძალიან აღშფოთებდა დ. ერისთავს.

აღნიშნულის დასადასტურებლად საჭიროა დავასახელოთ 1895 წლის ყურნალ „ჯვალის“ 21-ე ნომერში დაბეჭდილი დარაჯის წერილი „ვისი ბრალია“, რომლის საპასუხოდ დ. ერისთავმა 1895 წელს № 113 გვზეთ „ივერიაში“ მოათავსა წერილი სათაურით: „პასუხის მაგიერ დარაჯს“. მასში აშკარად ჩანს დ. ერისთავის პოლიტიკური შეხედულება, რომ იგი სასტიკად ებრძვის ქორ-ვაჭრებს, რომლებიც წურბელსავე სწოვდნენ ღარიბი გლეხობის სისხლს.

„ივერიაში“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები აშკარად მოწმობს, რომ დ. ერისთავს საზოგადოების წინსვლისა და კეთილდღეობის უმთავრეს საშუალებად მიაჩნდა ხალხში სწავლა-განათლების შეტანა, კულტურული დონის ამაღლება, გლეხებსა და ვაჭრებს შორის ეგრეთწოდებული „შუამავალი“ ორგანიზაციების დაარსება, რაც დღე-ღამე გლეხს იხსნიდა ჰყველფელთა კლანჭებისაგან.

აქვე უნდა შევეხეთ დ. ერისთავის პიროვნულ თვისებებს, რომელთა შესახებაც მისმა შვილმა ვ. ერისთავმა საინტერესო მოგონება დატოვა: „ერთი შეხედვით მამაჩემი გორიზი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავს ადვილად არავის გაუყადრებდა. ავებულეებით გამხდარი იყო, მისი მოთხრობის გმირის დათოკა გორდელანის მსგავსად იცოდა „აბილილება“, თოფის წამალივით ფიცს კაცს უყვარდა ნადირობა, იყო შესანიშნავი მსროლელი... ჰყავდა ნაცნობ-მეგობრების ფართო წრე. ასეთება იყვნენ: პოეტი სიმონ გუგუნიავა, დრამატურგი ტრიფონ რამიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ლავრენტი წულაძე (დ. ვერმიცანაშვილი), მისი ძმა აპოლონ წულაძე, ფოთის ქალაქის თავი და სახალხო მასწავლებელი ნესტორ თავდგირიძე, პუბლიცისტი ნიკო თავდგირიძე, სახალხო მასწავლებელი არსენ წითლიძე, მ. თაყაიშვილი, პოლკოვნიკი ბერიძე, პარმენ თოთბაძე, აგრონომი ნაკაშიძე და პოეტი გიორგი ჭალადიძელი. ეს უკანასკნელი მისი მოყვარეც ვახლდათ“.

დ. ერისთავი ღრმა ტყვიელებს განიცდიდა ხალხისა და ქვეყნის სასარგებლო შვილის დაკარგვაზე. 1893 წლის 15 მაისს სოფ. აკეთში გარდაიცვალა დ. ერისთავის ძელო მეგობარი ნესტორ ალექსანდრეს ძე თავდგირიძე, რომლის სიკვდილი ვახეთმა „ივერიაში“ დიდი მწუხარებით აღუყა მოწინავე ქართველ საზოგადოებას. მიცვალებულს გამოსათხოვარი სიტყვები უთხრეს სიმონ გუგუნიავამ, დიმიტრი ერისთავმა, არსენ წითლიძემ და ლავრენტი წულაძემ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა წლებში დ. ერისთავი არმული იჭნა ოზურგეთის ქალაქის თავად, რაც დემოკრატიული ძალების ერთგვარ განარჯევბას მოასწავებდა. ხალხი რომ დ. ერისთავის მოღვაწეობას დიდად აფასებდა, ამას მოწმობს ოზურგეთში არჩევა საიუბილეო კომიტეტისა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა დ. ერისთავის 40 წლის საზოგადო მოღვაწეობის აღნიშვნა, მაგრამ იგი რამდენიმე დღით ადრე გორა-ბეროეთულში 1924 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი დასაფლავეს თავის დაარსებულ საავადმყოფოს ეზოში, ხოლო ქუჩის ვაფართოვებასთან დაკავშირებით მისი ნეშტი გადასვენეს მოიდანახეს სასაფლაოზე.

დ. ერისთავს დაკრძალვას დიდადი ხალხი დაესწრო. მიღებული იყო სამგლოვიარო ღებეშები საქართველოს მწერალთა კავშირიდან, რედაქციებიდან, მოწინავე ქართველი მოღვაწეებიდან.

ლადო შარაშიძე

„აჭარა ყოველთვის მხიბლავდა“

ჩვენმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ბათუმის საბატიო მოქალაქის ლადო გუდიაშვილის დაბადების 90 წლისთავი.

ლადო გუდიაშვილი ქართული საბჭოთა ხელოვნების განსაკუთრებული წარმომადგენელია. იგი განეკუთვნება კულტურის მოღვაწეთა იმ მცირე ჯგუფს, რომლებმაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ერს მსოფლიო აღიარება მოუპოვეს.

ჩვეულებრივად ხელოვანი ახალი კუთხის გაცნობისას განუზომლად იხიბლება მისი სილამაჯითა და თავისი შემოქმედების ახალი შემართების წყაროდ მიიჩნევს. ასეთი განწყობილებებით აღიქურვა ლადო გუდიაშვილი, როდესაც მან პირველად იხილა აჭარა და მისი დედაქალაქი ბათუმი. ეს იყო 1917 წელს. იგი მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს კულტურის ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციაში. შემდეგ იგი ბათუმს ეწვია 1919 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, როდესაც დავით კაკაბაძესთან ერთად საფრანგეთში მიემგზავრებოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ლადო გუდიაშვილი მეგობარ მხატვარს დაატარებდა ქალაქის ქუჩებში და მეგუთრობას უწევდა.

ლადო გუდიაშვილის საფრანგეთში ყოფნის პერიოდი ფრიალ ნაყოფიერი გამოდგა. ამის შესახებ ბევრი დაიწერა. საკმარისია ითქვას, რომ პარიზში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ექვსი წლის განმავლობაში მოეწყო ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენები, მათ შორის სამი პერსონალური. მისი ნახატები გამოფენილი იყო მარსელში, ბორდოსა და ლიონში, აგრეთვე ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ბერლინში, ამსტერდამში და ნიუ-იორკში. მხატვრის ნამუშევრები შეიძინეს ამერიკის, საფრანგეთის, ესპანეთის, პოლანდის, იტალიის მუზეუმებმა და სამხატვრო გალერეებმა.

1924 წელს ლადო გუდიაშვილს სახელოსნოში ეწვია პარიზის ყველაზე ცნობილი გალერეის პატრონი როზენბერგი და მხატვარს მიმართა: შევიტყვე, რომ თქვენ სამშობლოში ბრუნდებით... პარიზი უცნაური სიურპრიზების ქალაქია. მე რომ თქვენთან მოვედი, რაღაცას ნიშნავს. ისეთი დიდი გალერეის პატრონი, როგორც მე ვარ, მხატვართან სახლში არ მიდის. მე მინდა გამოვით.

თქვენ მიღიხართ სწორედ იმ დროს, როცა იწყება თქვენი აღიარება. თუ არ გადაიფიქრეთ, იცოდეთ, ეს იქნება დიდი შეცდომა.

ლადო გუდიაშვილმა ასე უპასუხა: ძალიან მიყვარს პარიზი. მან ბევრი რამ მომცა და მასწავლა, მაგრამ მაინც უნდა წავიდე, ჩემი ქვეყნის მზე და მიწა მენატრება.

მართლაც, არ ასებობდა ძალა, რომელიც თავისი ქვეყნის მზისა და მიწის სიყვარულს წინ აღუდგებოდა. გამოჩენილი მხატვრის შემოქმედება მისი ხალხის სიყვარულის ისტორიის სიყვარულის ჰიმნია. დიდი ხელოვანის ჯადოსნურმა ფუნქცია საქართველოს ყველა კუთხის სიღამაზე წარმოაჩინა ტილოებზე, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ აქააღამი მხატვრის სიყვარული განსაკუთრებული იყო. ეს თუნდაც იმით გამოიხატება, რომ თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წლის განმავლობაში, ყოველ-ზღვას, ბათუმსა და ქობულეთში ისვენებდა, ეცნობოდა აქარის შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულ სოფლებს, ბათუმს ყველა უბანს.

აქარისადმი სიყვარული ლაღი გუდიანუღობა საჯაროდაც არაერთხელ გამოხატა. მკითხველს ვთავაზობ მხოლოდ რამდენიმე გამონათქვამს:

„აქარა — საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე — ყოველთვის მზიბლავდა და ჩემში ახალ შემოქმედებით განწყობილებას ბადებდა.

მე მიყვარს აქარა, რომელმაც ისტორიისათვის რაღაც უმნიშვნელო დროის მანძილზე ჩამორჩენილიდან ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში უმაღლეს წარმატებებს მიაღწია ეს წარმატებები განაპირობა ამ კუთხის ადამიანთა დაუცხრო-მელმა შრომამ.

აქარის მუშა თუ კლები, მეცნიერი თუ ხელოვანი დღეს იმისათვის იღვწის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ხეთწლედის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში, რის შედეგად ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი გახდება, ამადღდება საქართველოს ეკონომიკა და კულტურა და აქარაც უფრო დამშვენდება, გაღამაზდება. ყველაფერს ამას შრომით მივადრეობ.

ჩემი სიყვარული ამ დიდებული კუთხისადმი ბევრ ნაწარმოებში გამომვადგენებია“...

„მწყურრა მოვაჟირო აქარას. საქართველოს იმ კუთხეს, სადაც მხატვრულ ოცნებას განუზომელი თესუფლება ენიჭება. აქარის წალკოტში ყოფნისას მხატვარი ხელსკავიანი ხდება, და ვანა მართო მხატვარი? ასეა პოეტიც, ყველა შემოქმედი...“

„ბათუმი ჰუტრუა ჩემს გულს, სულს მიმზნევეს, მახალისებს, ხელს მიწყობს ასაკთან ბრძოლაში, ხნიკებს დიდ შემოქმედებითს ძალას, ასხივოსნებს ჩემს პალიტრას ახალ ფერთა ევარებით. ამიტომ მიყვარს ბათუმი და შავი ზღვა, იგი უნებლიეთ გაგონებს შარლ ბოლერის ლექსს „ალბატროსს“.

„აქარის ლანდშაფტმა, პეიზაჟებმა, მცენარეებმა და ვარდ-ყვავილებმა, ასევე ნატურმორტებმა, შექმნებელია, არ წარმოშვას მხატვარი. ბედნიერია ასეთ ბუნებაში შობილი მხატვარი ა მოქანდაკე. ისინი მუდამ აღჭურვილი იქნებიან ნატიფი ჩაზის, ფერის უმდიდრესი შერჩენებითა და მაღალმხატვრული გემოვნებით.

ბათუმელ მხატვრებს ბუნება აჯილდოებს ნიჭით, იშვიათი ტალანტით, მხატვრული ოსტატობით, ფაქიზ გემოვნებით. ისინი სინამდვილეს ინდივიდუალური აღქმისა და ეაგების საშუალებით ასახეობენ.

ბათუმელ მხატვართა შემოქმედებას ახლოს ვიცნობ. მათი ნამუშევრები გამოირჩევა საკუთარი ხელწერითა და პროფესიული ოსტატობით. განსაკუთრებული ინტერესით დავათვალიერებ ბათუმში ახალგაზრდა მხატვრების გამოფენას, ხოლო შემდეგ ბედნიერება მხვდა ქობულეთში დაესწარბოდი აქარის მხატვართა მოძრავე გამოფენის გახსნას. იქ ვიხილე ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები“...

„აქარის, კერძოდ კი ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობა ფრიად მომზიბლავლია. ერთი მხრივ, მას ეკვრის უღამაზესი შთის ქედი, დაბურული ტყით, შერბრე შროვ, მას ამშვენებს ზღაბრული სიღამაზის, ცისარტყელას ფერებით მოლივლივე შავი ზღვა წარმტაცი სანაპიროთა. შეუღარებელია ბათუმის ბუნარი. მიდამოებია, აქ შეტვდებით დიდებულ სუბტროპიკულ მცენარეებს, უცხო ვარდებს, საოცარ ყვავილებს, რომლებაც საფირონის ცისაგან მოვლენილი გეგონებთ. ზღვაური არწყვს



ტანკენარ პალმათა ცისფერ ტოტებს. ეს ჯაღოსნური მარაოები ზურმუხტოვან დიღებად ეფინებიან ბათუმის თვალწარმტაც ირემარეს. თუ ეძებ ედემსა და სხეულს ხეს, შეჩერდი აქ. — სადაც დედამიწა საკმეველს აკმევს...

ბათუმისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულება იქნება ჩემი პერსონალური გამოთენის მოწყობა აქ, თქვენს მშვენიერ ქალაქში“.

„1922 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკი ჩამოვიდა პარიზში, მესტუმრა სახელოსნო-წი. მან ბევრი რამ მიაძმო თავის ცხოვრებაზე, მომავალი მოგზაურობის გეგმებზე. განსაკუთრებული ინტერესით, საყვარულით ასენა ბათუმი. ლადო, შენ რას იტყვი. განა საქართველო და მისი უმშვენიერესი კუთხე აქვარა ედემი არ არის? ეს ის ქვეყანაა, ის არემარეა, სადაც ყმაწვილური აღტაცებით ხარობს გული, ხარობს თვალი, სადაც პოეტის სული ოცნების სამყაროშია. იქაურობა ფიქრთა ღელვას და გრძობათა ნაღვარს ანიჭებს განუზომელ თავისუფლებას. ლურჯი ზღვის ყოველდღიური ხილვა ავსებდა ჩემს პოეზიას რომანტიკით, ალერსით, სიხარულით. ცხოვრებაც ხომ გრივალთან მუდმივი ზრძობა... თუმცა მე კმაყოფილი ვარ ჩემი საიცარი ხვედრით, თავს ვრატხ ნებარად. მე ვალში ვარ ქართული ბუნების მშვენიერების წინაშე და დავბრუნდები თუ არა ტრფიალის ცეცხლით აღგზნებული, აჭარას მივუძღვნე ლექსების მთელ ციკლს“.

ლადო გუდიაშვილმა თავის შემოქმედებაში აჭარის თემას მიუძღვნა 40-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ამ თემაზე პირველი ნაწარმოები მხატვარმა შექმნა 1950 წელს. ეს არის საშუალო ზომის ფერწერული ტილო „ჩაის კრეფა“. შემდეგ წლებშია დახატული „ბრივად ჩაის პლანტაციამი“, „კოლმეურნე გოგონები“, „უხვი მოსავალი“, „გრაფიკული ნამუშევრებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია: „კოლმეურნე ქალი მანდარინით“, „ზღვის სანაპიროზე“, „ბათუმელი ქალიშვილი“, „კოლმეურნე ქალები“, „მახინჯაურელი მეჩაიე მზია“, „ხელვაჩაურელი მეჩაიეება“, „სტუმრები ქობულეთის პლაჟზე“ და სხვ. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ გვეფთხური პორტრეტის სტილით გადაწყვეტილი „კოლმეურნე გოგონები“, რომელიც აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს. სურათში საკოლმეურნეო პლანტაციის ფონზე წარმოსახულია სამი არაჩვეულებრივი სილამაზის გოგონა, რომელთა მიშვიდველი აღნაგობა, სახის გამოქეტყველება და გარეგნული მორთულობა საზეიმო განწყობილებას უფრო გადმოსცემს, ვიდრე შრომით შემართებას. მაგრამ მხატვრის ასეთი ჩანაფიქრი თავისებურ ახსნას პოულობს. ლ. გუდიაშვილის ღრმა რწმენით, სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, იგი ნერვავს სილამაზესა და სიკონსტაბეს. ყველაფერი, რაც ადამიანს ამშვენებს, შრომის ნაყოფია. დიახ, ნამდვილ შრომას დაწაფებული ადამიანები სულიერად და გარეგნულადაც ლამაზნი არიან.

ლადო გუდიაშვილი 1974 წლის აპრილში ბათუმში ყოფნისას ძალზე დაღლილი იყო, ნაღვლიანი განწყობილება დაუფლებოდა. შევთავაზეთ ქალაქგარეთ გასეირნება, დაგვთანხმა. მხატვარ გ. ტულუშის ავტომანქანით გეზი ჭოროხის ნაპირისაკენ ავიღეთ. მალე ბატონი ლადო სულ გამოიცვალა, აჭარის წარმტაცმა ბუნებამ დიდად მოხიბლა იგი და აღტაცებაში მოიყვანა. გონისაკენ გავემზავრეთ. აქაურობამ მოწყენილი ლადო გუდიაშვილი საესებით გამოაჯანმრთელა და გუნება-განწყობილება საოცრად შეუცვალა.

ერთ საღამოს ლადო გუდიაშვილის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ, მთხოვა კინოსურათი „მზე შემოდგომისა“ მანახეთ. გაგონილი მქონდა, რომ ამ კინოფილმში ქართველი მხატვრებიც ვაღვლით, მაგრამ ვინ იყვნენ, ლადომ არ გავკვიძლა. ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეკრანზე სწორედ იგი ვიხილეთ. ქალაქურ ცნა-გას ლადო ქეშმარიტად ქართული, უჩვეულოდ კეთილშობილური იერით ასრულებდა, ლადომ მას ქართული ეროვნული ფრესკის ხატოვანება და პლასტიკურობა შესძინა. ფილმის ჩვენების შემდეგ ყველას გასაგონად ვთქვი, რომ ჩვენს შორის ლადო გუდიაშვილი იმყოფებოდა. უნდა გენახათ, როგორ შემოხებვიყვნენ მაყურებლები მხატვარს და რა კმაყოფილებით უზიარებდნენ მას თავიანთ აღტაცებას.



1973 წელს ბათუმში გაიმართა ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ეს იყო ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა. შეუძლებელია სიტყვებით გადმოვიცეს ის აღფრთოვანება, ხელოვნების ის დღესასწაული, იმ დღეებში რომ სუფევდა. ერთი თვის განმავლობაში გამოფენას 56 ათასი დამთვალიერებელი ეწვია. დაიწერა 100-ზე მეტი მადლიერებისა და აღტაცების გამომხატველი შთაბეჭდილება.

ლადო გუდიაშვილმა ჩვენი კუთხის დიდი სიყვარული იმიტაც გამოხატა, რომ თავისი დაბადების 75 წლისთავი ბათუმში იხეიმა.

სიამაყის გრძნობით ვივსები, როდესაც ჩემს ოჯახურ გალერეაში ლადო გუდიაშვილის პორტრეტსა და მის ათ ნამუშევარს შევყურებ. მხატვარმა სხვადასხვა დროს ეს ნაწარმოებები თბილი სიტყვებით გამოხატული ავტოგრაფებით მომიძღვნა. ეს სურათებია: „თამარ მეფე“, „ჭალიშვილი“, „იორგი და შველი“, „ფიქრია“, „თინიკოს სიმღერა“, „ლამაზმანი ჩიტუნათი“, „კოლხის ოჯახი“, „ქალიშვილი დოქით“.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის შესანიშნავი მოგონებები, რომლებიც დიდმა მხატვარმა ჟურნალ „კორიანში“ დაბეჭდა 1980 წელს. ესენია: „შენ ჯვარს იწერდი იმ დამეს, მერი“ და „პარიზი, პარიზი...“ განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება ხელაწილად მოგონებებს გალაციონ ტაბიძის პოეტური მუზის — მერი შერვაშიძის შესახებ. პირველად სწორედ ამ მოგონებაში აუწყა ლადო გუდიაშვილმა ფართო მკითხველს, რომ გალაციონის მერა რეალური პიროვნება იყო და არა პოეტური წარმოსახვა. მოგონებასთან ერთად ასევე პირველად დაიბეჭდა მერი შერვაშიძის პორტრეტი.

ფასდაუღებელია ლადო გუდიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებით მიღწევაში მისი მუდმილი, ქალბატონ ნინოს წვლილი. მხატვარი თავის „მოგონებების წიგნში“ წერს: „ბევრ რამეს, რაც მე შემეძინია, რაც გავაკეთე, რაც იყო და როგორც იყო, უპირველეს ყოვლისა, მე ვუმაღლი ჩემს მეგობარს — მეუღლე ნინოს. იგი მუდამ თავდადებით, ფანტიკური რწმენით, ჩემდამი, ჩემი მომავლისადმი, აკეთებდა ყოველივეს და თუ მე ბევრი რამ, ასე თუ ისე, გადავიტანე, ბევრ რამეს ვაუქმელი და მცირეოდენი რამ შეეკმენი, იმიტომ, რომ ჩემს გვერდით მუდამ ნამდვილი მეგობარი იღვა. მე მისგან თვით სიცოცხლით ვარ დავალებული“.

ხელოვნებათმცოდნე ნინო გუდიაშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ზელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1978 წელს ლადო გუდიაშვილს რამდენჯერმე ეწვია ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის გენერალურა მდივნის ასისტენტი, სწავლული ასტრონომი რიპარდ ვესტი, იგი ისე მოიხიბლა მხატვრის პიროვნულ თვისებებით, მისი ნამუშევრების მაღალმხატვრული ღირსებით, რომ სამშობლოში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა ახლად აღმოჩენილი პლანეტისათვის. მიეკუთვნებია ლადო გუდიაშვილის სახელი. 1979 წლის 24 მაისს რიპარდ ვესტმა მიმართა საერთაშორისო ასტრონომთა კავშირის პრეზიდენტს, რომ ერთ-ერთი პლანეტისათვის მიეკუთვნებინათ ლადო გუდიაშვილის სახელი. პრეზიდენტმა შეისწავლა ლადო გუდიაშვილის ბიოგრაფია. ის მიღწევები, რაც მას მოპოვებული აქვს სახვითი ხელოვნების სფეროში და რადგან მხატვრის შემოქმედება მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას განეკუთვნება, მიიღო დადგენილება რიპარდ ვესტის მიერ აღმოჩენილი პლანეტისათვის ეწოდებინათ ლადო გუდიაშვილის სახელი. საერთოდ საერთაშორისო ასტრონომიის სამყაროში მნიშვნელოვანი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველო, ქართველი მოღვაწეები. ლადო გუდიაშვილთან ერთად პლანეტებს მიეკუთვნებული აქვთ თამარ მეფისა და ვეგინი-ხარაპის სახელები, აგრეთვე თბილისის, მცხეთის და ქუთაისის სახელები.

რიპარდ ვესტმა 1982 წლის 14 აპრილს ლადო გუდიაშვილის მეუღლეს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „ბედნიერი ვარ, რომ ამ გზით მოვახერხე



ლადო გუდიაშვილის სახელის უკვდავყოფა. მისი შემოქმედების გაცნობით ვეცდებით გავაცნოთ მისი მემკვიდრეობა და მოწადიებულიყავით. მასთან შეხვედრებმა გაამდიდრა ჩემი შინაგანი სამყარო. მისი მხატვრული აზროვნებითა და ღრმა სიბრძნით მოხიბლული, შევიცანი და ჩაეწვიდი ხელოვნების საიდუმლოებას.

ლადო გუდიაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ქართული და არა მარტო ქართული ხელოვნებისათვის.

1980 წლის 24 ივლისს — ჩვენი სათაყვანებელი მხატვრის დაკრძალვის დღეს — ლადო გუდიაშვილის ცხედარი სახლიდან (ყეცხოველის ქუჩა) მთაწმინდის პანთეონამდე წელით მისვენეს.

დიდებულმა მხატვარმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მხოლოდ ხელოვნების უმწიველო სამსახურს ანაცვალა. სილამაზისა და მშვენიერების უბადლო მეტოტბე. საქვეყნოდ აღიარებული სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი სამუდამოდ დამკვიდრდა ხელოვნების ისტორიაში.

ენრიკო ბოზაძე

მადლი ნიჭისა

ღირსსახსოვარი იყო ის დღე: ბათუმის მხატვართა საგამოფენო დარბაზში პირველად ეწყობოდა ჩვენი კუთხის მკვიდრი მხატვარა ქალის ნინო ნიჟარაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილოები, გრაფიკული დურკლები, თოჯინები.

ხელოვნების სიყვარული ნინოს მშობლებმა ჩაუნერგეს. ოჯახში ახლაც ინახება მისი მამის — პროფესორ ნადიმ ნიჟარაძის მიერ 1924 წელს შექმნილი ფერწერული ტილო. აქაა უნდა ვთქვათ, რომ მხატვრება არიან ნინოს ძმა ანზორი და მუუღლვე ვახტანგი.

ნანო ნიჟარაძის ფერწერული ტილოები მცირე ზომისაა, თითქოს მხატვარი გაურბის დიდ ფორმებს და ქალური სინაზის, ინტიმურობის ჩარჩოში სურს მოაქციოს ჩვენი სამყარო. ექსპონირებულ პეიზაჟებს შორის მხოლოდ ორი — „ზღვა“ და „ნავი-ზნა“ ზეთის საღებავებით შესრულებული. მაგრამ ეს ორიც საკმარისია რომ დავინახოთ, თუ რაოდენ ფაქიზია მხატვრის მონაგმი, ნაზია ფერი, მაშინაც კი, როდესაც ბუნება ექსპრესიულია.

ფერწერულ ნამუშევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნატურმორტებს. მათში მხატვარი გვიხატავს ჩვეულებრივ, ჩვენთვის კარგად ცნობილ საგნებს და მათი განუმეორებელი სილამაზით ტკბება მაშინ, როდესაც მრავალ მათგანში ჩვენ მხოლოდ უტილიტარულ მხარეს ვხედავთ. ნატურმორტში „საათები“ მხატვარს მამა-პაპათა ნაქონი ჯიბის საათები ჩაუხატავს და მათ გვერდით ძველებური ბოქლომები, გასაღებები მოუთავსებია. უცქერი ნატურმორტებს და ჩვენი ბავშვობის საგნები ცოცხლდებიან, ჟიუტად გვახსენებენ თავს. ნატურმორტი „თუნგი“, ნატურმორტი „კოთხითი“, ნატურმორტი ძველებური სკამებით, ლარნაკებით, მაქმანებით... ზოგიერთ ნატურმორტში არა მარტო საგნებია, არამედ, ოთახის ინტერიერი და ისევ ძველმოდური ავეჯით გაწყობილი, მხატვარი ფაქიზად, სიყვარულით ეპყრობა ჩვენ წინაპართა

გემოვნებას, მათ ჩვევებს და წარსულის ეს სურათები ჩვენში გარდასულისადმი პატივსაცემად ვისცემას აღვიკებს.

მხოლოდ მხატვარ ქალს შეუძლია ყვაილები ასეთი მრავალფეროვნება ასახოს სურათებში. იგი ამ შემთხვევაშიც არ დალატობს თავის პრინციპებს. ის ნატურმორტი-ში გვიხატავს არა ეგზოტიკური, ჩვენი ბუნებისათვის უცხო, არამედ ისეთ ყვაილებს, ჩვენს ჰიებსა და ველებს რომ ამშვენებს, ასეთია „მინდვრის ყვაილები“, „ფანჯარა“, „ყვაილები“ და მრავალი სხე.

— მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება მხოლოდ ოჯახში არ ხდება, — გვიხარა ნინო, — სკოლაში ბოტანიკას მანაწვლიდა შესანიშნავი პედაგოგი, რომელმაც შეგვა-ყვარა საბუნებისმეტყველო საგნები. გვავალბდა, ალბომებში ჩაგვეხატა ფორმები, ყვა-ვილები, ხეები და ჩვენც დიდი მონდომებით ვიხატავდით წიგნებიდან, სურათებიდან, ვეცნობოდით ბუნებას, ვირწმუნეთ მისი სილამაზე. ასე გადაიქცა ჩემთვის ბუნება უზარმაზარ, ბოლომდე ამოუკითხავ წიგნად.

— ნინო, რატომ აირჩიე თბილისის სამხატვრო აკადემიაში კინო-ტელეგანყო-ვილები?

— მაშინ ეს განყოფილება ახალი გახსნილი იყო და სიახლემ გამიტაცა, რა ვიცი, მგონა, არ შევცდარვარ.

გამოფენაზე მხატვარს რამოდენიმე ფერწერული თუ გრაფიკული პორტრეტი გა-მოუტანია. უმთავრესად ისინი სანტიმენტალური პორტრეტებია, ზოგ მათგანში მხოლოდ სახის მოდელირება აინტერესებს („ლუკა“, „ნია“, „ავტობორტრეტი“), ზოგჯერ კი ალა-მიანის სულიერა საქაროს გადმოკემა („ქალი ფანჯარასთან“, „დოდო“, ისევე „ავტო-პორტრეტები“ და რა თქმა უნდა, „ბები“ — თავისი დიდრონი, კეთილი და ყოვლის-შემძლე დაყოყნოილი ხელებით, მარტობაში დარჩენილი, სევდიანი, რაოდენ ნაცნობი და საყვარელია მისი ფიგურა).

— გამოფენაზე დამთვლიერებელთა შორის საუბრისას ასეთ ფრაზას მოვკარი ყური, ფერწერაში მეუღლის გავლენა იგრძნობაო.

— გავლენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მეუღლის აზრი ჩემთვის ყოველთვის საინ-ტერესოა და პირველი რეცენზენტიც იგია. ვალში არც მე ვრჩები და მისი ნამუშევრე-ბის პირველი შემფასებელი გახლავართ. ჩვენთვის უფროსი ვაჟიშვილის ლუკას აზრიც საინტერესოა.

— უკვე ემზადება ხელოვნებისათვის?

— არ ვიცი, მისგან რა გამოვა მომავალში, მაგრამ ერთი ცხადია, შესაშური გემო-ვნება და ინტელიცია აქვს. ერთხელ მთელი ოჯახით ნოქალაქევის ნანგრევებს ვათვალიე-რებდით. მეუღლემ გადაწყვიტა ეკლესიის ეტიულის დაწერა. ბევრი ეცადა, მაგრამ გან-წყობილება ვერა და ვერ გადმოსცა ფერში. ლუკას სალდაც მოუხანავს მუჟაო, გვერდით მიუჭდა მამამისს და ბავშვური უშუალობით გადაწყვიტა ვახტანგის თავსატეხი პრობ-ლემა... ორივე გაგვიცა.

ექსპოზიციის უმეტესი ნაწილი გრაფიკას უჭირავს. აქ არის პორტრეტები, პეიზა-ჟები, თემატური ფურცლები, თეატრალური აფიშები, თოჯინების თეატრის დეკორა-ციების ესკიზები, ჩანახატები... მხატვარს გამოუყენებია სხვა და სხვა ტექნიკა, ხერხე-ბი, მანერა.

მხატვარ ქალს გრაფიკაში გაუცოცხლებია წარსულის ფურცლები, იგი ეტრფის ქალაქის ძველ უბნებს, რომლებსაც ჯერ არ დაუკარგავს მხოლოდ მათთვის დაქანასია-თებელი კოლორიტი, რომლებიც გვიხიდავენ თავიანთი განუმეორებლობით და არა-სტანდარტულობით. ასეთი ფურცლებია „ძველი ბათუმი“, „მეთევზეთა უბანი“, „ძველი თბილისი“ და ნათ გვერდით — დასავლეთ საქართველოს სოფლები ეზო-ბალებითა და ოლა-სახლებით, რომლებიც გვიხიდავენ თავიანთი არქაულობით, მშობლიური სიბოთი

და სილამაზით. მხატვრისათვის დამახასიათებელი კამერულობა იგრძნობა. ნინო არ გეხიბტავს თვალუწვდენელ, მრავალბლანთან სივრცეს. ის ყოველთვის შეზღუდულად, თქოს ტანკით შეუკუმშავს, რათა ამ მცირედში დიდი სიყვარული ჩაატოს. შესრულების განსაკუთრებული ბეჭის გრაფიკული ფურცელი ლითოგრაფიას მოგვაგონებს და რღაც თავისებურ ეფექტს ქმნის, უცქერი და იხიბლები ფურცლებით „გაზაფხული“, „წვიმა“, „ზამთარი“, „იალები“, „სოფელი“.

საინტერესოა თეატრალური აფიშები, შესრულებული გემოვნებითა და ოსტატობით, ისინი გამოირჩევიან ფერთა სიძუნწით და კომპოზიციური დახვეწილობით, ასეთია „ბუტია“, „ყველა თავუნიას უყვარს ყველი“..

— სახატვარზე გაღერაში ტრადიციულად წელიწადში ორჯერ ეწყობა აპარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ხშირად ვხვდებით პერსონალური გამოფენების მოწმემათ დათვლილებისას ერთ კანონზომიერებას ვამჩნევდი, არ დარჩენილა მხატვარი, რომელსაც დიდი ზომის ტილო არ გამოეტანოს გამოფენაზე, ხარკი არ გაეღოს მონუმენტური ზომისათვის...

— მიმაჩნია, რომ მხატვრის ავტორიტეტი მისი ტილოს ზომაზეა დამოკიდებული.. ხშირად პირიქით ხდება.

სურათის მონუმენტურობას მე მასში დაყენებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის უნარში ვხედავ. გამოგიტყდებით, მეცა მაქვს სურვილი გადავკვიმო დიდი ტილო, ავიღო ფართო ფუჭი და..

მხატვრის ნათქვამს თითქოს არ ეთანხმება დარბაზის დასაწყისში პროექტორით განათებული მისი უდიდებულესობა თოჯინა.

50-იან წლებში აპარის ფელარმონისთან ჩამოყალიბებული იყო თოჯინების თეატრის მცირე დასი. უფრო მოყვარულები იყვნენ, ვიდრე პროფესიონალები და წარმოდგენები მსახიობთა კეთუზიანობით იღვებოდა.. 1981 წლიდან ბათუმში გაიხსნა პროფესიული თოჯინების თეატრი და პირველი დღიდანვე თეატრის მთავარი მხატვარი ნინო ნიგარაძეა. მისი თოჯინები და მარიონეტები გამოფენის მშვენიერებაა. დარბაზის ეს კუთხე განსაკუთრებით იზიდავდა მაყურებელს. აქ ყველა ასაკის ადამიანს შეხედებოდა, ბავშვებთან ერთად თანშევერცხლილი ბებიები და ბაბუები ვერ ფარავდნენ აღტაცებას, მათ მესხიერებაში ხომ მიძინებული ბავშვობის სურათები ცოცხლდებოდნენ.

აი, „წითელქუდა“, „წიქარი“, ზურგზე რომ ბავშვების ერთგული მეგობარი „ჯადოქარი“ შეუსვამს. იქვე ახლოს „ბურძღა“ გაბდენძილა, გვერდზე გამდგარი „ბატონი მეგობარი“ და საბილოს მოლოდინში გარინდულა. იქვე ახლოს „გლეხი“ მოკალათებულია და ეშმაკური დიმილით შემოგვეცქერის. აი, „პრინცი“ და „პრინცესა“ ორივე ნახი, კეთილშობილი, სურათის ჩარჩოებზე შემოსკუპულა „თაგუნა“, და ყურებდაცქეპილი უსმენს „კლოუნის“ ვილინოზე დაკრას, და კიდევ ბევრი ზღაპრის გმირი გაცოცხლებულა და თავს გვახსენებდნენ. ყველანი საინტერესო და კოლორიტულია, შესრულებულია დიდი გემოვნებით.

— ნინო, თოჯინების თეატრში მისი გახსნის დღიდანვე მუშაობთ, მანამდე კი სახატვრო სასწავლებელში პედაგოგი იყავით. კმაყოფილი ხართ ახლი არჩევანით?

— რატომ არჩევანი? მე ხომ ჩემმა პროფესიამ მომიყვანა თეატრში. პედაგოგობის წლები დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. სასწავლებლის აღზრდილები ჭიუტად გახსენებენ თავს, ორი მათგანი ჩემთან მუშაობს მხატვარ-შემსრულებლად. ასე რომ, ჩემი პედაგოგობა გრძელდება.

უცებ გაჩუმდა, სურათებისაკენ გადაიტანა მზერა. მე კი ვუცქერდი ოდესღაც ჩემს მოწაფეს, დღეს კი ორი შვილის დედას, მხატვარ ქალს, მოქალაქეს და ველოდი მისგან „აღსარების“ გაგრძელებას.

— დღევანდელმა ჩემმა სამუშაომ დიდი ფიზიკური და სულიერი ენერგია მომთხოვა.

გაცილებით მეტი, ვიდრე ვფიქრობდი. საბავშვო თეატრს ხომ ყველაფერი უნდა მისცეს, რისი მიცემაც შეგიძლია, — ჩაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ გააგრძელა. — ბევრი სიძნელეც გვაქვს თეატრში, მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება შეუძლებელია ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო, ბავშვები კი ჩვენგან ბევრს მოელიან...

— ჩემი დრმა რწმენით, მათი მოლოდინი გამართლდება ნინო, ეხლაჩან არ ჩადგა მწყობრში ტექნიკის უკანასკნელი სიტუციით აღჭურვილი ბათუმის სახელმწიფო ცირკი? მალე განახლდება ჩვენი სიამაყე — ი. ქავჭავაძის დრამატული თეატრი, ასე რომ „თქვენ ქუჩაზეც იქნება დღესასწაული...“

ზღაპრებმა გვაზიარა სიკეთეს თუ ბოროტებას, სიმართლესა თუ ტყუილს, სიყვარულსა თუ სიძულვილს და ა. შ. სწორედ ზღაპრებმა ჩამოგვიყალიბა მათი შეფასების უნარი და მათდამი ჩვენი დამოკიდებულება. სწორედ ზღაპრები, ხალხის ეს დაუშრეტელი სიბრძნე, მოზარდისათვის არის ტაძრის ის საძირკველი, რომელზედაც ცხოვრება ადამიანის სულიერ სამყაროს აგებს.

ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ნინო ნიყარაძის თოჯინებიც.

...ბოლოს შთაბეჭდილებათა წიგნს მიუუჭექი. მრავალ ჩანაწერთა შორის დამთვალიერებელს მხოლოდ ერთი ფრაზა ჩაუწყვრია: „მადლობა ზღაპრისათვის და ბავშვობისათვის“.



განმავითარებელი სწავლების არსი

სწავლება ეს პიროვნების მულმივი განახლებაა. მოსწავლის პიროვნება სწავლის პროცესში უფრო სრულყოფილი და უკეთესი ხდება, თუ, რა თქმა უნდა, სწავლება თავისუფალი რუტინისა და სქოლასტიციზმის რეციდივებისაგან და ცოდნის შექმნასთან ერთად პიროვნების განათლებას, აღზრდას და განვითარებასაც ხელს უწყობს, ე. ი. თუ სწავლება განმავითარებელი ფუნქციის მატარებელია.

მაგრამ სწავლება ყოველთვის არ იყო და არ არის განმავითარებელი. კლასიკური პედაგოგია, როგორც მეცნიერება, ფაქტიურად სწორედ სქოლასტიკური დიდაქტიკისა და რუტინის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა. ეს იყო ბრძოლა ხანგრძლივი და უკომპრომისო. ვერ კიდევ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან სწავლებას, რომელიც არ იწვევს მოსწავლის პიროვნების განვითარებას, და სწავლებას, რომელიც ადამიანს მეორე ბუნებას უქმნის, ე. ი. ისეთ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეზე, რომ თვისობრივად ცვლის მთელ მის პიროვნებას.

ცოდნის შეთვისების აქტიური პროცესი, სწავლებისა და დასწავლის პროცესში საგნის გაგების ამოცანა, რაც მოგვიანებით კლასიკურ დიდაქტიკაში მისაწვდომობასა და შეგნებულობის პრინციპების სახით ჩამოყალიბდა, ანტიკური ეპოქის გამოჩენილი ფილოსოფოს-პედაგოგების სოკრატეს (469-399 ძვ. წ.), პლატონის (427-347 ძვ. წ.) და არისტოტელეს (384-322 ძვ. წ.) პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძვლად პრობლემას წარმოადგენდა. მათი პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა ყალიბდებოდა ზეპირობისა და სოფისტური ვერბალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოკრატეს შეხედულებებში ჩვენ ვპოულობთ მითითებას დიდაქტიკის ისეთ დიდი მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორცაა სწავლებაში სიძნელეთა დაძლევის ამოცანა.¹ სოკრატე ყურადღებას აქცევს სწავლებაში საგნის გაგების აუცილებლობას. ასახსნელი მასალის არსში წვდომა და მისი გაგება მოსწავლეს სწავლების პროცესის აქტიურ-მონაწილედ ხდის და პირიქით. როცა ეს სიძნელე შეუმჩნეველი და დაუძლეველი რჩება მასწავლებელს, მოსწავლე მექანიკურ ზეპირობას შიშობავს. ბუნებრივია, რამ ამის გამო დასწავლის მთელი პროცესიც მოსწავლისათვის აუტანელ ტანჯვა-წვალებად იქცევა. ამიტომ კარგად სწავლება, პირველ რიგში, თემის გაგების სიძნელეს დაძლევის გულისხმობს. ეს თავის დროზე შენიშნა სოკრატემ და თავისი „დილოგები“ ფაქტიურად სიძნელეთა დაძლევის პრინციპზე ააგო. ძველი ბერძენი მწერალი ქსენოფონტე თავის მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სოკრატე თავის აზრს სრულიად ადვილად აგებინებდა თანამოსაუბრეთო“ და მხედველობაში სწორედ „სოკრატული მეთოდის“ ღირსებები ჰქონდა.²

მაგრამ მოგვიანებით სოფისტურმა დიდაქტიკამ იმძლავრა და ჩაკლა ანტიკური ეპოქის უდიდესი მიღწევები. რელიგიის მონოპოლიამ ადამიანების სულიერ სამყაროზე და მის სამსახურში სოფიზმის ჩაყენებამ სწავლების პროცესი შეგნებულობიდან მექანიკურ საქმიანობის პროცესად აქცია. გვიანი ეპოქის სოფისტური დიდაქტიკა სწავლებაში წინა პლანზე მკვერმეტყველებას, ნაწარმოების ფორმისეულ მოვლენებზე ყუ-

რადღებში გამახვილებას წამოსწევდა და ყურადღების მიღმა დატოვა სწორედ შესასწავ-
ლი მოვლენის შინაარსი. თუ ადრე დემოკრიტე ამბობდა „ჭეშმარიტება სიღრმეშია“ —
მაღულიო,³ და, აქედან გამომდინარე, თავის მოწაფეებს ურჩევდა: „კ ა ც ი ღ რ მ ა ა ზ-
რ ო ვ ე ნ ე ბ ა ს უ ნ დ ა ე ს წ რ ა ფ ვ ო დ ე ს და ა რ ა ღ რ მ ა ც ო ღ ნ ა ს ო“,
სოფისტებმა ყურადღება გამახვილეს შესასწავლი მოვლენის გარეგან ფორმებზე, ნა-
წარმოების სტილზე, არქიტექტონიკაზე, გამოთქმის საღამაზესა და სიტყვების შერჩევა-
ზე და ამით დაკარგეს სწორედ საგანი, მასში „დაფარული ჭეშმარიტება“. ამის გამო
სწავლებამ დაკარგა განმავითარებელი ფუნქცია და იქცა მექანიკური ზეპირობის პრო-
ცესად. სოფიზში ადამიანის ინტელექტუალური ძალების, მთელი მისი პიროვნების
განვითარების შემფერხებელ მეთოდს წარმოადგენდა. სოფისტური სწავლება არ იყო
განმავითარებელი. ამის თვალსაჩინო სურათს, ანუ რას ნიშნავს, როცა სწავლება არ
არის პიროვნების განვითარება, — წარმოადგენს XVI საუკუნის გამოჩენილი ფრანგი
მწერლისა და პედაგოგის ფრანსუა რაბლეს სატირული რომანი „გარგანტუა და პან-
ტაგრიუელი“. რომანის XIV თავში ლაპარაკია, თუ როგორ ასწავლიდა გარგანტუს
ლათინურ ენას ერთი სოფისტი ტუბალ ოლოფრენი. ამ პროცესს მწერალი სარკას-
ტულად აღწერს, რადგან ვერავითარ რაციონალურ მარცვალს მასში ვერ პოულობს.

სოფიზმა შუა საუკუნეების სქოლასტიკა წარმოშვა, როგორც რეაქცია აზროვნების
დრომოტეზულ მეთოდზე. „სქოლასტიკამ თავის დროზე დრდა შეუწყო ხელი ფორმა-
ლურ-ფილოსოფიურ აზროვნების განვითარებას, გამოაოცხლა ჩანსობილი რელიგიურ-
ფილოსოფიური აზრი, მაგრამ შემდგომ მან მოჰამა დრო და აზროვნების შემდგომი
განვითარების დაბრკოლებად იქცა.⁴ სკოლებისა და განათლების სფეროში საეროდ
სქოლასტიკამ გამოიწვია მოსწავლეთა მიერ განსაზღვრებათა დაზეპირება, დამოუკიდებ-
ელი აზროვნების უარყოფა, სწავლებამ კიდევ უფრო მეტად დაკარგა განმავითარებელი
ხასიათი. გლასიკური პედაგოგიის გენიალური ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი ამის
გამო აღმფიქვთებებ წერდა: „ღმერთო ჩემო, რა არეული, რა გაძნელებული, რა ვაკია-
ნურებული იყო... სწავლა. მზარეულები, მეჭინბეები, ხელოსნები, როცა თავის საქმეს
აქეთებენ, ან ჯარს ემსახურებიან, ან კიდევ სხვა ამგვარი წელობის ადამიანები. უფრო
ადრე სწავლობენ რომელიც გინდათ უცხო ენას, თითქმის ორსაც და სამსაც, ვიდრე
სკოლის მოსწავლეები მხოლოდ ლათინურ ენას, მიუხედავად მათი დიდი მოცილობისა
და დაძაბული ენერჯიისა და რამდენად უთანასწორო წარმატებით. ისინი რამდენიმე
თვის შემდეგ თავისი საქმეების შესახებ თავისუფლად ლაყბობენ ახალ ენაზე, ამით
კი თხუთმეტი და ოცი წლის შემდეგაც, ისიც თავის ყავარჯნებზე — გრამატიკაზე და
ლექსიკონებზე დაყრდნობით მეტ წილად ძლივს შეუძლიათ ლათინურ ენაზე რაიმე
სიტყვან, და ისიც მერყეობით და ენის ბორძიკით.“⁵

ი. ა. კომენსკიმ თავისი მეცნიერული თეორიით განანადგურებელი დარტყმა მი-
ყენა სქოლასტიკურ დიდაქტიკას და წამოაყენა განმავითარებელი სწავლების მწყობრი
სისტემა: „ახლაზზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ თავში ჩაუტე-
ნოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნა-
რევი, არამედ ნიშნავს იმას, რომ განუვუვითაროთ მას საგანთა გაგების
უნარი, რომ სწორედ ეს უნარი გახდეს იმ ცხოველ წყაროდ, საიდანაც ცოდნის ნა-
ძაღულები გადმოდინდება“.⁶

მომდევნო ეპოქის მოწინავე პედაგოგთა და სწავლულთა შრომებში კიდევ უფრო
გაძლიერდა ყურადღება სწავლების განმავითარებელი ფუნქციის მიმართ და მკვეთრად
გაიმიჯნა ერთმანეთისაგან სწავლება, რომელიც იწვევს მოსწავლის პიროვნების გან-
ვითარებას, და სწავლება, რომელიც არ იწვევს განვითარებას. ამ პრობლემის გარკვევას
დიდი მეცნიერული ენერჯია და პედაგოგიური პრაქტიკა შესწორეს მომდევნო თაობის

ისეთმა კლასიკოსებმა, როგორც იყვნენ ე. შ. რუსო, პესტალოცი, ჰერბარტი, დისტურ-
ვეგი, უშინსკი, ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, საბჭოთა ეპოქის მოღვაწეები ნ. კ. კვეციანი,
ასკია, ე. ს. მაკარენკო, ს. თ. შაცვი, ვ. ა. სუხომლისკი და სხვ.

საბჭოთა სკოლა და პედაგოგიკა მთლიანად ყველაზე მოწინავე, აქვალზე რევო-
ლუციურ და ჰუმანიტარ მეცნიერულ მეთოდოლოგიას ემყარება. მიღებული მეთოდოლოგია
შრომებში ცხადად არის გამოკვეთილი თანამედროვე სწავლების ძირითადი საფუძვე-
ლები. რად ღირს მარტო ვ. ი. ლენინის უკვდავი სიტყვა კომკავშირის მე-3 ყრილობა-
ზე, ბელადის გამოსვლაში, რომელსაც „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“ ჰქვია,
ჩამოყალიბებულია არა მარტო სოციალისტური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპები,
არამედ დახასიათებულია სოციალისტურ სკოლაში სწავლების დიდაქტიკური მიმართუ-
ლებანიც და რომელშიც ხაზგასმით იკითხება განმავითარებელი სწავლების მთავარი
მოთხოვნებიც. აკრიტიკებდა რა ძველ სკოლას, როგორც ზეპირობის სკოლას, რომე-
ლიც ახალგაზრდა ადამიანის მესხიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის
ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეორედი — დამახინჯებული, ბელადი
ამბობდა: „ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყო-
ველი მოსწავლის მესხიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი ვახდეს ძირითად
ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნისში უშინაარსოდ გადაიქცევა, ცარიელ ფრაზად
გადაიქცევა, კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვებარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ
გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არა-
მედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუღებოთ, კი არ დატვირთოთ თქვენი
გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ
ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განათლებული
ადამიანი“.⁷

ახალგაზრდობის აღზრდის, სწავლების, განათლებისა და განვითარების ლენინური
მოდერნების საფუძველზე საბჭოთა პედაგოგიკაში დაგროვდა მდიდარი თეორიული და
მეთოდოლოგიური მემკვიდრეობა და მოსალოდნელი იყო, რომ, შესაბამისად, ჩამოყალიბ-
დებოდა განმავითარებელი სწავლების პედაგოგიკური კონცეფცია. მაგრამ ეს ასე არ
მოხდა. XX საუკუნის ფსიქოლოგიური მეცნიერება როგორც ჩვენზე, ისე საზღვარგა-
რეთ, ფართო პლანით შეუღდა სწავლების განმავითარებელი ფუნქციის გამოკვლევას
და მისი შედეგები ისე შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რომ განმავითარებელი სწავლების
პედაგოგიური კონცეფცია არც მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც პედაგოგიკის სახელ-
მძღვანელოებში ცალკე პარაგრაფებად გამოიყო სწავლების ფუნქციები და, კერძოდ,
სწავლების განმავითარებელი ფუნქცია.

თანამედროვე პედაგოგიკის სახელმძღვანელოებსა და ცალკეულ დიდაქტიკურ გა-
მოკვლევებში, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს, გაბატონდა
განმავითარებელი სწავლების ფსიქოლოგიური თეორია. ბევრი ავტორი გულწრფელად
ცდილობს ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვარი ორგანულად მთავროს პედაგოგი-
ურ პრაქტიკას, მაგრამ ასეთი ცდები უშედეგოა, რადგან ბუნებაში არ არსებობს გან-
მავითარებელი სწავლების პედაგოგიური კონცეფცია და, რაც უფრო სამწუხაროა,
თვით სწავლული პედაგოგები ფიქრობენ, რომ ასეთი თეორია არ არის საჭირო. ამის
ნიმუშს წარმოადგენს ვ. პ. სტრეზიკოვიჩის მონოგრაფია „დაწყებითი განათლების
აქტუალური პრობლემები“. (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1976 წ.), რომელშიც „მეორე-
თავი ასეა დასათურებული: „განმავითარებელი სწავლების საკითხები და სასკოლო
პრაქტიკა“. ავტორის ძირითადი კონცეფცია არ შორდება ლოგიკური ოპერაციების
ფსიქოლოგიურ ბუნებას. „კარგად განვითარებული მოსწავლის მნიშვნელოვანი მაჩვე-
ნებელია აქტიურობა და დამოუკიდებლობა სასწავლო მუშაობის ყველა სახეში.“ სტრ-



ლიად ცხადია, რომ უმცროსკლასელთა ეს მუშაობა შეუძლებელია მათ მიერ მნიშვნელოვანი ლოკატორი ოპერაციების დაუფლების გარეშე“ (გვ. 54).

სწავლების განმავითარებელ ფუნქციას ცალკე ქვეპარაგრაფი ეძღვნება პროფ. გ. ი. შუტინას რედაქციით 1977 წელს გამოქვეყნებულ „სკოლის პედაგოგიის“ სახელმძღვანელოში. ავტორი ერთგვარად აფართოებს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ცნების მოცულობას და მიუთითებს, რომ „სწავლების განმავითარებელი ხასიათი არ დაიყვანება აზროვნების განვითარებაზე, თუმცა ევრბალური პროცესები ყველაზე მეტად გვიჩვენებენ მოსწავლის საერთო განვითარებას, მაგრამ პიროვნების სრულყოფილი განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მისი სენსორული, ემოციური, სამყაროს და მოძრაობის შესაძლებლობათა განვითარება“ (გვ. 263), როგორც ვხედავთ, განმავითარებელი სწავლების შინაარსის გაფორმების ამ ცდაშიც არ ჩანს ორიენტაცია განმავითარებელი სწავლების პედაგოგიური თეორიის ჩამოყალიბებაზე.

წმინდა ფსიქოლოგიკური კონცეფციის საფუძველზეა განხილული სწავლებისა და განვითარების ურთიერთკავშირის პრობლემა 1978 წელს გამოქვეყნებულ ნ. ვ. სავინის „პედაგოგიკაში“, „მოსწავლის გონებრივი განვითარების ნიშანს, — წერს პროფ. ნ. ვ. სავინი — წარმოადგენს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ცოდნის შეთვისების პროცესი, შედეგებით მოქმედებების ხერხები“ (გვ. 101). ამის შემდეგ ავტორი გვთავაზობს შემოკლებულ განვითარების რეკომენდაციებს, მაგრამ იგი არ შორდება პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროს: „ბავშვებს უნდა ვასწავლოთ აზროვნება, სააზროვნო ოპერაციების შესრულება“ (იქვე), 1981 წელს გამოქვეყნდა აკად. ლ. ო. ლორთქიფანიძის „დიდაქტიკა“, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს საერთოდ ჩვენს წარმოდგენებს სწავლების ფუნქციებზე. მხედველობაში გვაქვს სწავლების ტრადიციული სამი ფუნქციის გვერდით ახალი, მეოთხე ფუნქციაზე — სწავლების შრომითი, მომზადების ფუნქციის დასაბუთება. რაც შეეხება თვით განმავითარებელ ფუნქციას, ავტორი აქაც მნიშვნელოვან შეხედულებებს გვთავაზობს. ის აფართოებს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის შინაარსს და მიუთითებს: „სწავლების განმავითარებელმა მიმართულებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი, სასწავლო-ძიებითი, შრომითი და ორგანიზაციული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შემუშავებას“ (გვ. 42). მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, სწავლების განმავითარებელი ფუნქცია ამ სინტერესო ნაშრომშიც საბჭოთა დიდაქტიკაში დღემდე დამკვიდრებული ტრადიციული თვალსაზრისით არის გაშუქებული.

სწავლების განმავითარებელი ფუნქციის დამუშავებას დიდი ადგილი უჭირავს აკად. ი. კ. ბაბანსკის ბევრ ნაშრომში. მან პირველმა მიუთითა სწავლების მეთოდების დახასიათების დროს მათ საგანმანათლებლო და აღზრდელობით ფუნქციებთან ერთად განმავითარებელ ფუნქციაზეც. მაგრამ თვით განმავითარებელი ფუნქციის შინაარსში ძირითადად ფსიქოლოგიკური ბატონობს. თუმცა მისივე რედაქციით 1983 წელს გამოქვეყნებულ პედაგოგიის სახელმძღვანელოში ნაზვასმით მიუთითებს, რომ „განვითარება არ დაიყვანება მხოლოდ აზროვნების ჩამოყალიბებამდე... იგი უნდა მოიცავდეს პიროვნების ყველა სფეროს, და ამიტომ თანამედროვე დიდაქტიკა ეძებს სწავლების განმავითარებელი გავლენის გაფართოების გზებს“ (გვ. 130), მაგრამ ეს მაინც არ არის რიგზე, მიმართული განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკური თეორიის ჩამოყალიბებისაკენ. საკითხი დღესდღეობით, კვლავ ღია რჩება.

აკად. მ. ი. მახმუტოვის მიერ ჯერ კიდევ 1975 წელს გამოითქვა: საჯლისხმოდ შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „აზროვნების განვითარების პრობლემის კვლევას უმთავრესად ფსიქოლოგები ეწევიან, რომელთა მიღწევებს დიდაქტიკაში არასაკმარისად იყენებენ. ამის გამო, მასობრივი სკოლის მასწავლებელი ჯერ კიდევ არ არის შეიარაღე-

ამრიგად, საბჭოთა დიდაქტიკოსების მიერ სწავლების განმავითარებელი ფუნქციის კვლევა-ძიებაში, მისი არსის გარკვევაში შეინიშნება ფსიქოლოგიური კონცეფციების წამყვანი ტენდენცია. პედაგოგიის სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული განმავითარებელი სწავლების პედაგოგიური თეორია. მაგრამ ეს თეორია არსებობს მასობრივი სკოლის მასწავლებელთა ყოველდღიურ პრაქტიკაში, რომელიც სათავეს კლასიკური პედაგოგიის წიაღიდან იღებს. ამ სათავეს ინტენსიურად იკვლევენ გერმანელი მეცნიერები ლოტარ კლინბერგი, გ. პველიცი და სხვები. ლოტარ კლინბერგის აზრით, „სწავლების, როგორც განვითარების პროცესის გაგება თავის თავში მოიცავს განვითარების დიდაქტიკური პროცესის ყველა დამახასიათებელ ნიშანთვისებას: განვითარება როგორც თავისებურა პროცესი, განვითარება როგორც თვითმოძრაობა, დაპირისპირებულ ძალთა წინააღმდეგობა, ერთიანობა და ბრძოლა, როგორც განვითარების წყარო და მამოძრავებელი ძალა, განვითარება როგორც უარყოფის უარყოფა, განვითარების შეუქცევადობა“⁹. სწავლების განმავითარებელი ხასიათის ამ ფართო წრის საკითხებს ლ. კლინბერგი სამ ძირითად ურთიერთობად აჯგუფებს: „სწავლება წარმოადგენს სამგვარ ურთიერთობის განვითარებას: 1. ეს არის განვითარების საზოგადოებრივ პროცესს; 2. ეს არის სოციალისტური პიროვნების ფორმირების პედაგოგიური პროცესი განვითარებისა. 3. ეს არის განვითარების დიდაქტიკური პროცესი, ე. ი. დიდაქტიკური პროცესის განვითარების მსვლელობა“¹⁰.

ჩვენი აზრით, სწავლების ყველა ფუნქცია პედაგოგიის კვლევის საგანია. პედაგოგია, როგორც მეცნიერება, თავისი საგნის კვლევის დროს იყენებს მომიჯნავე მეცნიერებათა კვლევის შედეგებს, მათ შორის საკუთრივ სწავლების განმავითარებელი ფუნქციის კვლევის დროს ყველა სხვა მეცნიერებათა შორის პირველი ადგილი ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას უჭირავს. განმავითარებელი სწავლების შინაარსში საყრდენი ცნება განვითარებაა და დიდაქტიკური ასპექტების დამუშავების დროს პედაგოგიამ არა სხვას, არამედ პირველ რიგში სწორედ ფილოსოფიას უნდა მიმართოს. მაგრამ რადგან პედაგოგიაში განვითარების პრობლემატიკა სწავლებასთანაა დაკავშირებული, ბუნებრივია, ასეთივე ინტერესით პედაგოგია უნდა მოეკიდოს ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებს. მათზე დაყრდნობით უნდა ჩამოვყალიბოთ განმავითარებელი სწავლების პედაგოგიური კონცეფცია.

ზოგადი აზრით, განვითარება წინააღმდეგობათა დაძლევის გზით გამოწვეული ცვალებადობაა, რომელშიც ისეთი ახალი თვისებრივი თავისებურება ჩნდება, რაც მოცემულ ინდივიდს (მოვლენას) უფრო სრულყოფილს ხდის. აქედან გამომდინარე, განვითარება პედაგოგიაში იმ სიძნელეთა და წინააღმდეგობათა დაძლევის გულისხმობს, რომელთაც ადგილი აქვთ აღზრდასა და სწავლებაში და რომელთა დაძლევის შედეგად მოსწავლის პიროვნება უფრო სრულყოფილი ხდება.

სწავლების პროცესში შემდეგ წინააღმდეგობებზე (სიძნელეებზე) მიუთითებენ: წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს სასკოლო განათლებისადმი საზოგადოების მოთხოვნებსა და მოცემულ პირობებში სწავლების პროცესის შესაძლებლობებს შორის. წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს სწავლების პროცესში წამოჭრილ შემეცნებით პრაქტიკულ ამოცანებსა და მოსწავლეთა ცოდნის, ჩვევებისა და გონებრივი განვითარების დონეს შორის.

წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს სწავლებასა და სწავლას შორის.¹¹

წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს გარკვეული მოცულობის ცოდნის, უნარისა და ჩვევების ათვისებისათვის მასწავლებლის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებსა და ამ



მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობებს შორის
 ამასთან ერთად მიუთითებენ უფრო კონკრეტული და კერძო ხასიათის წინააღმდეგობებზეც: — წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს სასწავლო მასალის დალაგების
 ლოგიკასა და მოსწავლეთა მიერ მისი ათვისების პროცესებს შორის, სასწავლო მასა-
 ლის მასწავლებლისა და მოსწავლის გაგებას შორის. თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკა-
 კში მისი გამოყენების უნარს შორის. მოსწავლის უნარსა და ჩვევებს შორის.

სასკოლო პრაქტიკაზე ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე სწავლების პროცეს-
 ში წამოჭრილი ყველა წინააღმდეგობა პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად დავაჯ-
 გუფოთ. პირველ ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ წინააღმდეგობანი, რომელიც არსე-
 ბობს სასწავლო მასალის სიძნელესა და მოსწავლეთა მიერ ამ მასალის შეგნებული
 ათვისების შესაძლებლობათა დონეს შორის. მეორე — წინააღმდეგობანი, რომელიც
 არსებობს შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკაში მისი შეგნებულად გამოყენების
 შესაძლებლობას შორის. მესამე — წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს ახალი ცოდ-
 ნის დამოუკიდებელი გზის შეძენის პროცესში.¹³

აქედან გამომდინარე, უნდა დავსვათ საკითხი განმავითარებელი სწავლების შედე-
 გების შესახებაც. ვინ არის განვითარებული მოსწავლე? ის, 1) ვისაც შესწევს ინტელექ-
 ტუალურ-შემეცნებითი უნარი სასწავლო მასალის სიძნელეთა შეგნებული დაძლევისა-
 თვის. 2) ვისაც შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. 3) ვინც შეიარა-
 ღებულია მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის სწრაფ ნაკადში ორიენტარებისა და
 საჭარო ახალი ცოდნის დამოუკიდებელი გზით შეძენის უნარით.

განმავითარებელი სწავლების ამ ძირითადი ასპექტების ფსიქოლოგიური საფუძე-
 ლებისა და პედაგოგიური რეკომენდაციების დახასიათება ცალკე წერილის შინაარსს
 შეადგენს.

იური გიგილიაშვილი.

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

დამოწმებული ლიტერატურა

1 დ. ლორთქიფანიძე. გაკვეთილის აგების ძირითადი საფუძველები. თბ., 1944 წ.
 33-34
 2 ქსენოფონტე. მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია. თბ., 1973, გვ. 143.
 3 დემოკრატე, ეპიკურე. ფრაგმენტები, წერილები. თბ., 1959, გვ. 147.
 4 ნ. კონსტანტინოვი, ე. მედინსკი, ბ. შაშაევა, პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1964.
 33-33.
 5-6. ი. კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებები. ტ. I, თბ., 1949. გვ. 91., 173.
 7 ვ. ი. ლენინი აღზრდისა და განათლების შესახებ. თბ., 1972, გვ. 367.
 8 მ. მანმუტოვი. პრობლემური სწავლება, მოს. 1975, გვ. 10.
 9-10 ლოტარ კლინბერგი, სწავლების თეორიის პრობლემები. მოს. 1984, გვ. 74-75.
 11 ნ. სავინი, პედაგოგია, მოს. 1978, გვ. 103.
 12 პედაგოგია, აკად ი. ბაბინსკის რედაქციით. მოს. 1983. გვ. 127.
 13 ტ. ილინა, პედაგოგია, მოს. 1984, გვ. 255.

ბავშვების საყვარელი პოეტი

ქართული საბავშვო ლიტერატურის საგანძური შესანიშნავი ქმნილებებით გამდიდრა ცნობილმა პოეტმა შიო მღვიმელმა, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობით სამართლიანად დაიმკვიდრა კლასიკოსი მწერლის სახელი. ზემო ქართლის სოფელ ბრეთში, ღარიბი მღვდლის ოჯახში, შიო მღვიმელმა ღრმად შეითვისა საუკეთესო ადამიანური თვისებები. გორის საოსტატო სემინარიაში შიო მღვიმელი მხოლოდ ორ წელიწადს სწავლობდა, ხელმოკლეობის გამო ვერ შესძლო სწავლის გაგრძელება და მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

შიო მღვიმელის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან სიახლოვემ. თბილისში შიო მღვიმელის შემოქმედებითი ნიჭი ყველაზე მეტად გამოჩნდა საბავშვო პოეზიაში. ის სისტემატურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში, ღარიბი ოჯახის ბედუქმდართობა და მშრომელი ხალხის სევდა-ვარამი — აი, რა წარმოადგენდა მწერლის შემოქმედების სათავეს.

შიო მღვიმელის ხალასი ნიჭი ყველაზე ადრე სასიქადლო მამულიშვილმა ილია ჭავჭავაძემ შენიშნა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. პოეტის პირველ ნაწარმოებში ცხადად ჩანს უზომო მწუხარება, რაც გამოწვეულია მეფისდროინდელი წყობილების უსამართლობით. მიუხედავად ამისა, პოეტის ლექსებში მაინც გამოსჭვივოდა უკეთესი მომავლის რწმენა, შიო მღვიმელს ღრმად სწამდა, რომ მუხთალი წუთისოფელი შეიცვლებოდა ბედნიერი მომავლით. რევოლუციური მისწრაფებით შთაგონებული მუშები საიდუმლო შეკრებებზე ხშირად იმეორებდნენ პოეტის ლექსის „ნეტავ რას ნაღვლობ, ვაჟაკო“ სტრიქონებს. 1902 წელს არაღვარულ გაზეთ „ბრძოლაში“ (№ 4) გამოქვეყნდა ბათუმიდან გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიც ეწერა, რომ რევოლუციურმა ტალღამ ააბობოქრა როტშილდის ქარხანა. მუშებმა როტშილდის ქარხნის ხელმძღვანელობას წარუდგინეს მოთხოვნები. მათ გზაში ერთმანეთის გასამხნეებლად შემოსძახეს სიმღერა „ნეტავ რას ნაღვლობ, ვაჟაკო“.

შიო მღვიმელი ღრმად ჩაწვდა ბავშვთა სამყაროს, თავიდანვე დაიმკვიდრა მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატის სახელი. ბავშვობისდროინდელმა გარემომ განსაკუთრებული როლი შეასრულა პოეტის ინდივიდუალური თვისებების ჩამოყალიბებაში. შიო მღვიმელს უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები, მათზე ფიქრობდა, ოცნებით ელოდა ბედნიერ მომავალს.

XIX საუკუნის მიწურულში მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია საბავშვო ლიტერატურის განვითარებას. პირველი საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ გამოვიდა 1883 წელს, 1890 წელს გამოვიდა ჟურნალი „ჯივლი“, ხოლო 1904 წელს — „ნაკადული“, რომლებშიც აქტიურად თანამშრომლობდა შიო მღვიმელი. თითქმის ყველა ნომერში აქვეყნებდა საინტერესო ნაწარმოებებს.

ბავშვთა მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბება წარმოადგენდა საბავშვო მწერლის მთავარ საზრუნავს. პოეტი ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ნორჩების სწორად აღზრდაზე, ლექსში „გაზაფხული“ შთამბეჭდავდა დახატული გაცოცხლებული ბუნების სურათი:

ენაუღურტულა მერცხალო,
მალე მოფრინდი შენაცა,
რომ შენს ჭიკჭიკთან პაწიამ
ფეხიც აიდგას, ინაცა.



ბუნება შიო მღვიმელის შემოქმედების მასაზრობეელი წყაროა. პოეტმა მინჩევს მოზარდზე ზემოქმედების მთავარ საშუალებად. ბავშვებს ჩვერალი მიწიღვე-
ლად აცნობს ცხოველებსა და მცენარეებს.

პოეტი ნორჩების შეგებაში ჰუმანიზმის და პატრიოტიზმის გრძნობებს ავითარებს, ერთი შეხედვით, უბრალო ამბავი აკაკის ნამდვილ პოეტურ სიმალემდე, გაზაფხულის მახარობელმა მერცხალმა მთები გადმოიფრინა, დასძლია სიძნელე, მაგრამ საყვარელ ფრინველს ცელქმა ბიჭუნამ საფრთხე შეუქმნა. მერცხლის საყვედური ბავშვობაში და-
ხეპირებული შესანიშნავი ლექსის სტრიქონებს კიდევ ერთხელ გვახსენებს:

**მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჰიკვიკვიე, მოალერსე,
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვას რომ მესვრი ბიჭო ხსე!**

ღრმა პოეტური გააზრებით შიო მღვიმელი აღსაზრდელს აძლევს სწორ დარიგებას, უვითარებს ფრინველებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზიაში პოეტური გამოსახვის თვალსაზრისით ერთ-
ერთი შესანიშნავი ქმნილებაა „ობოლი“. ნორჩების გულის მესაიდუმლეს აწუხებს და-
ობლებულ ბავშვის მწარე ხედვრი: სიზმარში კერასთან მძინარე ბავშვს უკვირდა,
რუ რატომ ეცევა მის მამას შავი ტანსაცმელი, სად წავიდა დედა. სიზმარში
ბავშვს გამოეცხადა ბირმლიმარე დედა. შეიღმა მშობელს დაუწყო კოცნა, „ნულარსად
წახვალ, დედილო, შენს ძუძუს ვენაცავალო“, პოეტი სევდამორეული ამშვიდებს
ობოლ პატარას. ის შეწუხებულია, რომ გაღვიძებული ბავშვი მშობელ დედას ვერ
დინახავს, ვერ დატკბება მისი მხურვალე ალერსით.

შიო მღვიმელის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს გონივრულ თა-
მამს, ფიზიკურ წრთობასა და შრომის ჩვევების გამომუშავებას. პოეტი ნორჩებს მა-
ტებს სიხსნევეს, წინააღმდეგობის გადალახვის რწმენას:

პოეტი თავის საბავშვო ქმნილებებში ერთმანეთს უბირისპირებს სიკეთეს და ბო-
როტებას, ჰეგობრობისა და ერთგულების მეზობტეა, სამშობლოსადმი უსაზღვრო
სიყვარული და მისთვის უანგარო ზრუნვა მომავალი მოქალაქის უბირველეს მოვალეო-
ბად თვლის, მრავალი თაობა აღიზარდა შიო მღვიმელის პატრიოტულ ლექსებზე. პოე-
ტი ოცნებით ელოდა თვითმპყრობელური წყობილების დაშობას. საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებამ მის იმედს ფრთები შეასხა, გულითადად მიესალმა ახალ საქარ-
თველოს:

**ჩემო ტკბილო საქართველო,
მოგრლოცავ დღეის დღესა,
მონობიდან თავდახსნილო,
აღარ ისვის შენი კვნესა.**

მდიდარია შიო მღვიმელის ლექსიკა. ი. გოგებაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა,
რომ „საბავშვო პოეზიაში შიომ ნამდვილი აკაკისებური ენა გააძევა“.

დიდია შიო მღვიმელის ლექსი ქართული საბავშვო პოეზიის განვითარებაში. მისი
ლექსების ღიღ დაფასებად უნდა ჩათვალოს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მიერ
დაწესებული პოემია, რომლითაც აჯილდოებენ საბავშვო მწერლებს განსაკუთრებულ
წარმატებისათვის.

ზოთა ქუჩიამ

საქმის კაცი,

ანუ ლევან ხიდაშელი რომორც ხასიათი

წერილი I

სრულიად ახალგაზრდა იყო გურამ ფანჯიკიძე, როცა თავისი პირველი რომანი „მეშვიდე კა“ (1967 წ.) გამოაქვეყნა. ნაწარმოებს არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა, ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. უფროსი „ცისკრის“ ნომრები, სადაც რომანი იბეჭდებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა, პრესაში კი მწვავე პოლემიკა გაჩაღდა. კრიტიკოსები, უფროსისტები, მეცნიერები ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ, დაპირისპირებულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ.

ღვის უპირველესი საგანი გახდა თხზულების მთავარი გმირის ლევან ხიდაშელის მხატვრული სახე. იგი სრულებით არ ჰგავდა იმ დროს სოკოვებით მომრავლებულ ვითომდა რთულ ექსონანსებს, ე. წ. „ჩვეულებრივ“, ფაქტობრივად კი უინტერესო, უსისხლნორცო ადამიანებს, თავს რომ გვაბეზრებენ თავიანთ ღატაკ სულელებსა და სიყაროში ქექვით, „ასოციაციებით“ და წვრილმანი პირადული ინტერესებით. კიდევ ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი — ეს პერსონაჟები ხშირად დროისა და სივრცის გარეშე ცხოვრობენ, ქართულად კი მეტყველებენ, მაგრამ თითქმის არაფერი ეროვნული არ სცხიათ. მათ რომ ვეცნობით, უნებლიეთ გვაგონდება ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი, რომელიც, დიდი აკაკის გადმოცემით, უცხო მკვლარს რომ მისაყენებდნენ, იურზე ასე ვალობდა: „არ ვიცი ჩვენიაო, არ ვიცი სხვისიაო, ღმერთმა იცის, ვისიაო“.

აი, ასეთ ფონზე გაიბრწყინა ლევან ხიდაშელმა — ენერჯიულმა, აქტიურმა, მოზანძღვარულმა ადამიანმა, რომელსაც ხელეწიფება ოცნება რეალობად აქციოს. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ამის გამო თავდაპირველად ხიდაშელის მხოლოდ დადებით თვისებებზე გაამახვილა ყურადღება და მწერალს ისიც კი უსაყვედურა, რომ მანაც ბოლოს სულ სხვა ასპექტით, რად წარმოგვიდგინაო თავისი გმირი და შესაჩვენებლად რად გააწიროს.

ამ საყვედურში, ვფიქრობ, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა სურვილი — ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ლიტერატურას შემატებოდა დიდი საქმეებითა და კეთილშობილური მიზნებით შთაგონებული ადამიანის მხატვრული სახე. ამ სურვილს ჩვენ ვიზიარებთ, მაგრამ რა გქნათ, თუ მწერალს სულ სხვა მოტივი ამოძრავებდა — მას უნდოდა ეჩვენებინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზოგიერთი უარყოფითი მომენტი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ტექნოკრატია გარკვეულ პირობებში გარდუვალად



წარმოშობს ადამიანურობის დეფიციტს, ე. ი. თრგუნავს მოყვასის სიყვარულს, აუფასურებს სულიერ ღირებულებებს და გზას უხსნის ზნეობრივ მანკიერებებს. აკი თვის ბელეტრისტი წიგნის ანოტაციაში პირდაპირ წერს:

„კაცი ვერასოდეს ბედნიერად ვერ იგრძნობს თავს, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანების სიყვარულით არ არის გაყვანილი.“

ესაა რომანის ძირითადი ლიტერატურული „მასალა“. მაშასადამე, ჩვენც ამ ლიტერატურულ უნდა მივყვეთ, იგი გავიხადოთ ორიენტირად და ამის მიხედვით შევხედოთ ლევან ხიდაშელს, ამის მიხედვით შევადგინოთ მისი ხასიათი, დავდგინოთ თუ უარყოფითი თვისებები. სხვათადაც ვერც მწერლის კონცეფციას ვაღიარებთ და ვერც ცალმხრივობასა და უქედრესობას დაკადწვეთ თავს. ე. ი. სწორად ვერ აქვონ-დავწინით რომანის გმირის ღირსება-ნაკლოვანებებს, ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ მის ადგილს ჩვენს ლიტერატურაში.

უდავოა, რომ ლევან ხიდაშელი ახალი ხასიათის ქართული და, შეიძლება ითქვას, მთელ სამკოთა მწერლობაშიც. სწორედ ამიტომ მიიპყრო მან არა მარტო ქართული, არამედ რუსული ლიტერატურული კრიტიკის დიდი ყურადღება. მას არ მოეძებნება პროტოტიპი და, თუ ვინმეს ჰგავს, ისევე გ. ფანჯიკიძის ერთ-ერთი მოთხრობის („ბებეშა“) პერსონაჟს ინჟინერ ანზორ ლაშხს, როგორც სწორად შენიშნა თავის დროზე გურამ გვერდწითელმა.

შეიძლება შემოგვედავონ — როგორ, განა ჩვენი მწერლობისათვის უცხოა შრომისმოყვარე, ენერგიული, აქტიური და მიზანსწრაფი, ან კიდევ გულცივი კარიერისტის, ინდივიდუალისტი ადამიანის მხატვრული სახეები? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ არა ხასიათის თვისებათა ამგვარი ვარიაციით, ასეთი შეზავება-შერწყმით. და არც შეიძლება ყოფილიყო, რამეთუ ლევან ხიდაშელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირში, მისი ნაქმური, ე. წ. საქმის კაცია.

მაგრამ ვინ არის საქმის კაცი საერთოდ?

ცხადია, ის ადამიანი, რომელმაც ჩინებულად იცის თავისი საქმე, ფლობს პროფესიის ყველა საიდუმლოს. ასეთ კაცს ხალხი მუდამ საფანჯებო ზატისს მიაგებდა, ქებით იხსენიებდა. ჩვენს დროში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, საქმის ცოდნა, კომპეტენტობა კიდევ უფრო მეტად ფასობს. მაღალი კვალიფიკაცია მოეთხოვება არა მარტო სპეციალისტს, არამედ რიგით მუშასაც. არა გვევლინა, მაგალითად, სადავო იყოს, რომ პროგრამულ არხზე მუშაობა მეტ ინტელექტს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივ ჩარხზე. ამიტომაც იყო, რომ ლევან ხიდაშელმა ინტელექტს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივ ჩარხზე. ამიტომაც იყო, რომ ლევან ხიდაშელმა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გადაწყვიტა ღრმად და ყოველმხრივ შეესწავლა არჩეული პროფესია: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი თავისი ნებით რუსეთს გაემგზავრა, რათა სხვადასხვა ქალაქის მეტალურგიულ ქარხნებში დაეგროვებინა პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნაც გაემდიდრებინა. მან შეგნებულად დათმო „სიამენი ამა სოფლისა“ და ყველაფერი ამ მიზანს დაუმორჩილა. „მოთხრობის წლის განმავლობაში ათი წიგნიც არ მექნება წაკითხული, — ეუბნება ლევანი თავის მეგობარს ვეა დვალაშვილს, — ერთი ოპერა არ მომისმენია, კინოშიც კი იშვიათად დავდიოდი. ჩემთვის არ არსებობდა კონცერტები და პოეზიის საღამოები... მუსიკა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო. მეცხრე კლასში რომ გადავედი, სწავლას თავი დავანებე. მე ჩემი მიზანი მქონდა. სიამოვნებისათვის აღარ ჰეცალა. მუსიკის დრო მეორე ენის შესწავლას მოვახმარე. თან ჩემს გამოკვლევებზე მუშაობდი: ლამებს ვტვნიდი.“

ასე არ დახოვავ თავი ლევან ხიდაშელმა და მიზანს მიაღწია — ჩინებული ინჟინერი დაღვა. და როცა რუსთავეში საამქროს უფროსი მას ისევე შესვდა, როგორც

ყველა ახალბედს — ერთგვარი უნდობლობით, ლევანმა მაშინვე აგრძნობინა, სხვა კაცი იყო და ჰაიპარად ვერაინ მოეკიდებოდა — საქმე იცოდა და გაღიან არ საჭიროებდა.

ამით დამთავრდა ლევან ხიდაშელის ცხოვრებისეული გეგმის პირველი ეტაპი და დაიწყო მეორე — პრაქტიკული მოღვაწეობის ხანა, როდესაც სრულად უნდა გამოეცლინებინა თავისი შესაძლებლობანი და ნამდვილ საქმის კაცად ჩამოყალიბებულიყო.

კპაროლა კი ამისათვის საქმის ცოდნა?

არა, არ კმაროდა. საქმის დროა ცოდნასთან ერთად ნამდვილ საქმის კაცს აღამიანებთან კონტაქტის, მათი დარაზნვისა და გაყოლების უნარიც უნდა ჰქონდეს. როგორც უნდა განვითარდეს ტექნიკა, ადამიანს მაინც ვერაფერი შეეცლის. თვით უახლესი რობოტები და კომპიუტერებიც კი უაღამიანოდ მხოლოდ ლითონის გროვას და მეტი არაფერი. ტექნიკა ადამიანმა უნდა მართოს და, რაკი ასეა, მისი როლი მატერიალურ წარმოებაში კი არ მცირდება, არამედ სულ უფრო იზრდება. ამიტომაც ენიჭება დღეს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ადამიანის ფაქტორს, მის გააქტიურებას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ხელმძღვანელს, სპეციალისტს არა მარტო ტექნიკის, არამედ ადამიანების, კოლექტივის მართვაც უნდა შეეძლოს, რუსი საბჭოთა დრამატურგების დგორეცკისა და შატრიოვის პიესების ფართოდ ცნობილი გმირები ჩემოკოვი და ლავიოვი ზოგიერთმა სწორედ იმის გამო არ სცნო საქმის კაცებად, რომ მათ კონტაქტი ვერ დაამყარეს ადამიანებთან, კოლექტივთან.

აი, ეს უნარი აყლდა მარტენის საამქროს ცვლის უფროსს ოთარ რამიშვილსაც. იგი ლევან ხიდაშელს უნდა შეეცვალა და, ბუნებრივია, გამოიყოხა, რა კაცი იყო, რას წარმოადგენდა მისი წინამორბედი, რათა ამის შესაბამისად გაძლიოდა კოლექტივის. იგი კარგი ინჟინერია, მაგრამ „მუშებთან ვერ არის კარგად. ნამეტანი წვრილმანი კაცია, უბრალო რამეზე ჯაღლანებს. მეტალურგებს, ხომ იცი, არ უყვართ წვრილმანი კაცი“ — ასე დაუხასიათა ოთარ რამიშვილი მას სტუდენტობის მეგობარმა რეზო ჭაკთარაძემ. ხიდაშელმა ისიც შეიტყო, რომ რამიშვილი ვერ იჩენდა ხასიათის სიმტკიცეს, ხალხს ვერ იმორჩილებდა, ყველაზე ცუდ ჯართს მას უგზავნიდნენ, სხვა ცვლის მუშები თითქმის ყოველთვის ცივ ან ცუდად გაწყობილ დუმელებს უტოვებდნენ. ბალებს შეფასებაშიც ტყუოდნენ. ცვლის უფროსმა ლავამი რომ ვერ ამოადო თავგასულებს, მისმა ხელქვეითებმაც აიკრუეს მუშაობაზე გული — უნდილი, უგერგილო და უდღეური კაციაო, დაასკვნეს. ყველა ეს ცნობა მეტად დროული აღმოჩნდა. ხიდაშელი მიხვდა, რომ მარტო საქმის ცოდნით ვერას გახდებოდა, მიზანს ვერ მიადწევდა და ვადაწყვეტა, როგორმე მოეხევეს მუშების ნდობა და სიყვარული, რაც შესაძლებლობას მისცემდა გაეყოლებინა ისინი და ქრონიკულად ჩამორჩენილი ცვლა მოწინავე გაეხადა.

ხიდაშელმა ისიც გაითვალისწინა, რომ მუშები ახალი ცვლის უფროსს უთუოდ იცნოს შეადარებდნენ, კოქს გაუსინჯავდნენ, ვნახოთ ერთი, ეს რა კაციაო. ამიტომ პირველი დღიდანვე შეეცადა ხელში აეყვანა ხალხი და ყველაფერს რამიშვილის სწავინააღმდეგოდ აკეთებდა, რათა ყველას ეგრძნო, რომ მას ვერაინ დაიბრიყვებდა — ვერც შინაური და ვერც გარეშე, არც უფროსებს დაუქანტურებდა თავს ყველაფერზე. გასაკეთებელს მათაც გააკეთებინებდა. იგი არ მოერიდა და გვიან ღამით შინ დაუბრუნდა ორდღიანი ავარიის ლიკვიდაციის შედეგად დაღლილ-დაქანტულ ქარხნის მთავარ ინჟინერს, კანკარგულება გაეცი თუჯი მარაგიდან მოგვაწოდონ, თორემ სამი დღე მგლი ორ-ორი საათით მოცდებო. მთავარმა ინჟინერმა იწყინა ეს გვიანი ზარი, როგორ მიბედავო“, განრისხდა კიდევ, მაგრამ ხიდაშელი მართალი იყო და საჭირო გან-

კარგულება გასცა. განა ამას გაბედავდა ოთარ რამიშვილი? ვერასოდეს! იგი უფროსების წინაშე შიშით კანკალებდა!

მუშებს განსაკუთრებით ის მოეწონათ, რომ ხიდაშელი მტკიცე ხასიათისა იყო, თავს არავის დაჩაგვრინებდა, საქმე ზომ იცოდა და იცოდა — პირველსავე დღეს ცვლამ, რომელსაც ვეგმის შესრულებაც კი უჭირდა, ექვსი ჩქაროსნული დნობა შეძლო! მან ერთბაშად მოთოკა (და მოთოკა ისე, რომ ხმა არ აუმაღლებია) ცუდლუბტი და თავგასული მეფოლადის თანაშემწე გოგია ნემსაძე, რომელსაც ოთარ რამიშვილი ვერაფერს უბედავდა. „აბა გეგონა ყველასთან გაგივიდოდა? ვერ მოგართვეს“, გულში რამდენჯერმე იმეორებდა მეფოლადე ვასო ხარაიძე.

ერთი სიტყვით, ლევან ხიდაშელმა მუშაობის პირველსავე დღეებში თავი გამოიჩინა როგორც ნამდვილმა საქმის კაცმა — იგი ჩინებული ინჟინერიც იყო და კარგი ორგანიზატორიც, მტკიცე ნების ადმინისტრატორი, ასე რომ გვეპირდება დღეს დიად გარდაქმნათა ეტაპზე. მან მუშების გული იმითაც მოიგო, რომ ყველას, ვისაც კი სჭირდებოდა, ხელს უმართავდა, ეხმარებოდა, არც მათთან პურის გატეხას თაყოლობდა, თუმცა გარკვეულ დისტანციას ყოველთვის იცავდა, საქმე ფამილარობამდე არ მიჰყავდა. და რა გასაკვირია, თუ იგი ყველას გულწრფელად შეუყვარდა და მალე არა მარტო ცვლა, არამედ მთელი საამქრო და ქარხანაც კი ალაპარაკა — ყველა აქებდა როგორც სიტყვის და საქმის კაცს. არც ისაა საკვირველი, რომ ასეთი ღირსეული მუშაკი სოციალისტური შრომის გმირობაზე წარადგინეს.

თუ იმასაც გავეითავალისწინებთ, რომ ლევან ხიდაშელში მომხვეჭელობის ერთი ბაცილაც კი არ იყო, ფულისათვის სინდის-ნამუსზე ხელს არ აიღებდა, ჭირივით ეზიზღებოდა ნივთებზე მონადირენი და ნივთებით თავმომწონენი (გაიხსენეთ ეპიზოდი თვითმფრინვაში, შეხვედრა გივი მიქაძესთან, ან კიდევ მანქანაში სამკაულები რომ მოახსენებინა მარინეს, ზომ იცი, „მე მასკარადები არ მიყვარსო“), ჩვენს თვალში იგი კიდევ უფრო ამაღლდება. კაცმა რომ თქვას, სხვა რაღა მოეთხოვება დღეს ადამიანს და როგორ შეიძლება გულში არ ჩაიკრათ ლევან ხიდაშელი, არ შეგვტფოდეთ მას, არ ენატრობდეთ, ღმერთო, გვიმრავლე ასეთი ახალგაზრდები!

მაშ, რა მოხდა, რატომ ისე წაიყვანა საქმე მწერალმა, რომ ლევან ხიდაშელი, ბოლოს და ბოლოს, გურამ გვერდწითელისა არ იყოს, გასწირა „უარსაყოფელად და შესაჩვენებლად“?

მწერალმა ეს თავსატეხი კი გაგვიჩინა, მაგრამ სწორედ ამის გამო მიიპყრო მისმა რომანმა ესოდენ დიდი ყურადღება, ამის გამო გახდა ლევან ხიდაშელი მწვავე დავის საგანი.

ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ შრომა დიდი სიყვითა და აკეთილშობილებს ადაშნავს, აჩვენებს პატიოსნებას, სიმართლეს, კაცთმოყვარეობას, ხოლო „თუ სამართლიანი ზარ და კაცთმოყვარე, — გვასწავლიდა დიდი ილია, — მაშინ ყველაფერი ზარ, იმიტომ რომ იღვანებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ“ — მეტს კი არას მითხოვს კაცსაგან ქვეყანა.

შრომა რომ მართლაც დიდი სიყვითა, სადავო არ შეიძლება იყოს. ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ცოლვა გამბედილი სჯობს — მეტისმეტი ზომ არ მოკვდის, როცა აღნიანს ზოგჯერ მარტო შრომის მიხედვით ვაფასებთ? თუ მავანი გეგმას გადაჭარბებით ასრულებს ან დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით ართმევს თავს, როგორც, მაგალითად, ხიდაშელი, ეს სასწებთ საქმარისად მიგვაჩინა, რომ ხელაღებით ვაქოთ და ვადიდოთ, იმას კი აღარ დავეძებთ, რა კაცია იგი, რისთვის, რის გულისათვის დვრის ოფლს, რას ესწრაფვის, რა იდეალი აქვს. ზოგჯერ კიდევ გეგონია, რომ კაცმა რაი მუშის ხალათი გადაიცვა, უკვე განიშკვალა მუშის მსოფლმხედველობითა და ფსიქოლოგიით. სამუხუბროდ, ზომ ხდება ხოლმე, წარმოების მოწინავე შინ დესპოტია,

სცემს ორსულ მეუღლეს, შეურაცხყოფს მეზობლებს, თერება და ა. შ. მაშასადამე, აღმაინი მარტო შრომის მიხედვით კი არ უნდა შევადგასოთ, არამედ სულშიც უნდა დავხედოთ, ზნეობაც ვაუქსინჯოთ, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს ხელმძღვანელთან, რომელიც უთუთად ზნეკეთილია უნდა იყოს.

ამას ცხადყოფს ლევან ზიდაშელი და ამით არის იგი უპირველეს ყოვლისა საანტერესო, თავისი ხასიათით გამოჩენული.

აქ ზედნეტა არ იქნება ერთი ამბავი გავიხსენოთ.

ამ რაჟდენიმე წლის წინათ გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდა“ გამოაქვეყნა ახალგაზრდა ცოლ-ქმარის წერილი. თვრამეტი წლისანი შევეუღლით, წერდნენ ისინი. თითქმის არაფერი გამაჩნდა, ბაბუის ერთი დაფეხვილი ქონის გარდა. დროებით უარი ეთქვით ყველაფერზე, შვილზეც კი, დღე და დამეს ვასწორებდით მშენებლობაზე და მის გართავს. და აი, ხუთ წელიწადში დიდებული ორსართულიანი სახლი წაოგვიმეო, მოვრთეთ და მოვკაზმეთ, მშენიერი გარაჟიც ავიშენეთ, დაუსწრებლად ინსტიტუტსაც ვამთავრებთ, მალე შვილიც გვეყოლება და მანქანაც... სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ცოლ-ქმარს თავი მოსწონდა მიღწეულით, ამდენ ქონებას ბევრი მოჭუტულ-ლობამდევ ვერ აგროვებს და, შეხედეთ, ჩვენ რა მარჯენის ვართ, რა შევექელით.

წერილმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციისათვის გაგზავნილ წერილებში თუ სხვადასხვა ქალაქში გამართული დისკუტების დროს ბევრმა მხარი დაუჭირა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს და საქციელი მოუწონა, მათ შორის ხანდაზმულებიც. ამა ისა სჯობსო, წერდნენ და ამბობდნენ ისინი, ზოგიერთი ქალიშვილი თუ კაბუჯი თითსაც კი არ ანძრევს, თავს არ იწუხებს შრომით და კისერზე ახის: შრომლებს, რომლებიც ბუღალთერებზე თუ წმენდენ ცხოვრების გზას — აწყობენ პრესტიჟულ უმადლეს სასწავლებლებში, თბილ ადგილებს ურჩევენ დიდ ქალაქებში, აცხვენიებენ დისერტაციებს და ა. შ. არა, ვასაკიცი და დასაძრახი ახალგაზრდა ცოლ-ქმარს არაფერი არ გაუკეთებია, რასაც მიაღწიეს, პირადი შრომა-გარჯით, ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით და, რაც მეტი გვეყოლება ასეთი ახალგაზრდები, მით უკეთესიაო, დასაკენიანდნენ ისინი. რა თქმა უნდა, გამოითქვა სრულიად საპირისპირო აზრებიც, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ბევრი რამ უსაყვედურებს, მაგრამ ახლა ეს ამბავი ჩვენ სხვა მხრივ გვინტერესებს:

ხომ არ მოვკაგონებს, მკითხველო, ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ცხოვრების ნირი ლევან ზიდაშელისას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზიდაშელი ნივთიერ სიმდიდრეს კი არ ესწრაფოდა (პროფესორსა და შეძლებული ოჯახის შვილს ეს არც ესაქიროებოდა!), არამედ სახელის მოხვეჭა სურდა?

მერედა, რა არის ამაში ცული? აკი თვით რუსთაველმა ბრძანა, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. დიდი ილიაც ხომ იმ აზრისა იყო, რომ სახელის მოხვეჭა, „სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხოვრება სულისა“.

ისიც სათქმელია, რომ ლევან ზიდაშელმა სახელის მოხვეჭის ყველაზე რთული გზა აირჩია — მეცნიერის კარიერა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებით დიდად ფასობს მეცნიერის პროფესია, იგი ძალზე პრესტიჟულია და, თუ კაცს ნიჭიც აქვს და თავდაუზოგავი შრომაც შეუძლია, ბევრს მიაღწევს, შორს გაითქვამს სახელს. ლევან ზიდაშელს არც ნიჭი აკლდა და არც შრომის უნარი. ასე რომ, თამამად უსწორებდა თვალს მომავალს. მართალია, მან უარი თქვა ასპირანტურაში დარჩენაზე (თუმცა, ერთადერთი კანდიდატი იყო) და რუსეთიდან დაბრუნების შემდეგაც მეტალურგიულ ინსტიტუტს კი არა, ქარხანას მიაშურა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ არ აკმაყოფილებდა მეცნიერებას მიტმასნებულთა ბედი, სხვათა ნააზრევს რომ ცოხნიან წლების მანძილზე და თავად სახეიროს ვერაფერს ქმნიან. მას სურდა თავისი საკუთარი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში, საკუთარი ბილიკი გაეჭრა.

ბევრს ეტომა ლევან ხიდაშელის საქციელი — რაკი ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ეკონათ მეცნიერულ მოღვაწეობაზე საბოლოოდ ხელი აიღო, მაშინ როცა საეკონომიკური მონაცემებიც ჰქონდა და ოჯახური ტრადიციებიც ხელს უწყობდა. რა იცოდნენ მათ, უახლოესმა მეგობრებმაც კი, თუ რა ანდამატივით იზიდავდა ლევან ხიდაშელს მეცნიერის კარიერა! — ქარხანა მისთვის მხოლოდ ერთგვარი ტრამპლინი იყო და იქ ნანამ დაოჩებოდა, საანამ სადოქტორო დისერტაციას დაიცავდა, მერე მოლიანად მიეცემოდა მეცნიერულ მოღვაწეობას.

მხელად შეხვდებით ცხოვრებაში ლევან ხიდაშელისთანა მიზანდასახულ, აქტიურ და ენერგიულ კაცს. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუბოვრად მიიწევდა წინ და ფრთებს ასხამდა თავის ოცნებას. საკანდიდატო დისერტაცია უკვე მზად ჰქონდა და მხოლოდ შესაფერ მომენტს უძლიდა, ხარისხი რომ დაეცვა. „როგორც კი გმირობას მომანიჭებენ, — გასოფლდება იგი ვაჟა დვალისშვილს მეგობრებთან ინცინდენტის შემდეგ, — დისერტაციას წარვადგენ. შენ წარმოიდგინე, როგორი სანახაობა იქნება, როცა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე ხარისხს იცავ და მკერდს გმირის ვარსკვლავი გიმშვენებს“. შემდეგ ისევ ქარხანა, სადოქტორო დისერტაცია და, იქნებ, გმირის ვარსკვლავს ლაურეტის მედალიც მიემატოს — ვინ იცის! აი, მაშინ გამოჩნდება, ვინ არის ლევან ხიდაშელი, რა მძიმე ტვირთი ახიდა მხოლოდ თავისი ნიჭისა და გარჯის წყალობით, აი, მაშინ დაუდგენენ წინ ინსტიტუტის „თეთრხელემა“ მეცნიერები, ქარხნის სურიც კი რომ არ უგრძენიათ, არასოდეს მდგარან ღუმელთან და ფოლადი ერთხელაც არ გამოუღნიათ.

ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. სწორედ იმ დროს, როცა თითქოს საწაღელს მიაღწია, სულ ახლოს მივიდა მიზანთან, ლევან ხიდაშელს ცხოვრებამ მკაცრი გამოცდილება მოუწყო, ზნეობა შეუმოწმა და...

მართალი ყოფილა ცხოვრებით დაბრძენებული საამქროს უფროსი ელიზბარ ზუნდაძე, რომელმაც უტყუარი მუშური გუმანიით იგრძნო, რომ ხიდაშელი რაღაც სხვანაირი იყო და ეჭვი შეეპარა მის კაცი კაცობაში, ეს ეჭვი კარგა ხანს ვაჟყვა, თუქცა ბოლოს ისიც შეაციდინა ახალი ცვლის უფროსის შრომიტმა წარმატებებმა.

თურქე ადამიანი მარტო შრომის მიხედვით არ უნდა შევაფასოთ!

საყურადღებო ნაშრომი უძველეს წარსულზე

სულ უქანასკნელ დრომდე ფიჭვნარის ამ ბორცვზე სიმინდს თესდნენ ქობულეთის მკვიდრნი და ალბათ არავის მოსვლია აზრად, რომ იგი თავის წიაღში ინახავდა შორეული წარსულის დიდ საიდუმლოებას. მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრეს, ამ რეგიონის ტოპონიმისა რომ იცნობდა, აინტერესებდა მისი სახელწოდება „ნამკედღური“. ამის მიუხედავად, ეს ადგილზე დიდხანს შეუსწაველი რჩებოდა. მხოლოდ 70-იან წლებში დაიწყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მისი სისტემატური არქეოლოგიური გათხრა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა უძველესი ნამოსახლარი, რომელიც ისტორიის მიქედნა პრაფ. თ. მიქელაძისა და გათხრების ხელმძღვანელის, ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ-

ტის, პროფ. დ. ჯანუთიშვილის ახლან გამოქვეყნებული ერთობლივი ნაშრომი „ძველკოხტური ნამოსახლარი — ნამქედური“ (რედაქტორი პროფ. ო. ლორთქიფანიძე).

აღნიშნული ბორცვი უაღრესად საყურადღებო ძეგლი გამოდგა. მართალია, ამ ტიპის უძველესი ნამოსახლარება გვხვდება შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მაგრამ ნამქედური მანქნ მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. გათხრებისას აქ გამოვლენილი მასალით, როგორც ავტორები შენიშნავენ, კარგად ჩანს კოლხეთის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპის კულტურის მემკვიდრეობითობა და გენეტიკური კავშირი. ამავე დროს იგი მრავალფენიანია, ე. ი. შეიცავს სხვადასხვა პერიოდის დასახლების კვალს, გარემოცულია შესაბამისი სინქრონული, აგრეთვე გაცოლებით ადრეული და შედარებით გვიანდელი ძეგლებით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია არა მარტო კოლხეთის საზოგადოების ისტორიის შესწავლა, არამედ თვით რეგიონის გეომორფოლოგიური ცვლილებების დადგენაც. დაბოლოს, ნამქედურის მასალით, ბევრ შემთხვევაში, კორექტირდება კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიაც (გვ. 4).

სარეცენზიო ნაშრომი იწყება ნამქედურის საცხოვრებელი ბორცვის ტოპოგრაფიისა და სტრატოგრაფიის გარკვევით, რამდენადაც ძეგლის მეცნიერული შესწავლისა და განსაკუთრებით დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გათხრისას გამოვლენილი მასალის სწორ კლასიფიკაცია-ანალიზს. ავტორებმა დაადგინეს ნამქედურზე სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ადამიანის ცხოვრება-საქმიანობის ექვსი ფენა. აქედან ყველაზე უძველესია ქვედა, ე. წ. მეექვსე ფენა, რომელიც შესაძარბეველი ანალოგიური მასალისა და რადიონახშირბადის მეთოდით გამოკვლევის საფუძველზე თარიღდება ძვ. წ. XV საუკუნით, ხოლო ყველაზე გვიანდელია ზედა (ე. წ. პირველი) ფენა, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეს აღარ სცილდება. 13 საუკუნის განმავლობაში ადამიანთა მიერ საცხოვრებელი ადგილის ასეთი მონაცვლეობა — ეტაპობრიობა გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით, ძირითადი პაინც გეომორფოლოგიური პირობები ჩანს. მსოფლიო ოკეანეების დონის რყევასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა შავი ზღვის დონის აწევ-დაწევა. წყლის მოწოლა კი აქაურ მკვიდრთა აიძულებდა, უსაფრთხოების მიზნით, საცხოვრებელი ადგილის მოზივნას (დღესაც „იკითხება“ მსხვილ მორბეზე ბელტების სქელი ფენა, რომლითაც ნამქედურის ძველი მოსახლეობა ცდილობდა წყლის „შეჩერებას“). ცნადა, გამორიცხული არ იყო ამ რეგიონის თემებს შორის საომარი მოქმედებაც. ბორცვს მესამე ფენაზე ცხოვრების დროებით შეფერხებას ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ავტორები სამართლიანად უკავშირებენ ხანძარს, რომელიც გამოიწვია მეზობელი თემის თავდასხმამ.

არქეოლოგიური გათხრებით ვაირკვა, რომ ანტიკურ ეპოქაში ძალზე გაიზარდა ნამქედურის ბორცვის როლი რეგიონის ცხოვრებაში. ძვ. წ. VI-II საუკუნეებში აქ არსებობდა ქალაქური უსახლება თავისი ციხე-სიმაგრით, აგრეთვე სამაროვნით. ავტორთა სიტყვით, ეს იყო ქალაქი, რომელიც, ექვს გარეშეა, აერთიანებდა მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული სხვა მცირერიცხოვანი გეოგრაფიული თემების დასახლებებსაც. ნამქედურის როლის ზრდა მარტო მარჯვე გეოგრაფიულ მდებარეობას კი არ გამოუწვევია; არამედ უკავშირდებოდა აგრეთვე რეგიონის ცხოვრებაში მისი სამეურნეო მნიშვნელობის ამაღლებასაც.

ნამქედურის რობისა და ქრონოლოგიის გარკვევასთან ერთად სარეცენზიო ნაშრომში მეცნიერულად გადაწყვეტილია ძეგლთან დაკავშირებულ კულტურულ-ისტორიული ზასიათის მრავალი პრობლემა. ავტორები ადადგენენ ამ ბორცვის უძველესი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ამ მხრივ საინტერესოა საცხოვრებელი (ერთ ახალში დადასტურებულია ცხრა ოთახის არსებობა) და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე ციხე-სიმაგრის მშენებლობის, სამშენებლო მასალისა და ტექნიკის აღწერალობა.



რაც ამ სფეროში ძველ ნამშენებელთა მაღალი ხელოვნების მაჩვენებელია.

ნაშრომში მოცემულია მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის რეალური სურათი. ავტორებმა დაადგინეს, რომ მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება ყოფილა. თუ ადრე მემინდვრობის საფუძველი იყო თონხით მიწათმოქმედება, უკვე ძვ. წ. VII საუკუნიდან დოკუმენტურად დასტურდება გუთნის გამოყენება, რამაც გარდატეხა შეიტანა მთელ სასოფლოებრივ ცხოვრებაში. გაირკვა ისიც, რომ მოსახლეობა იმ შორეულ წარსულში თესდა ფეტვს, ხორბალს და ა. შ. ეს აიხსნება დღევანდელთან შედარებით მაშინდელი კოლხეთის მშრალი კლიმატით, რაც კარგად დასტურდება ანტიკური წყაროების მოწველებითაც.

მიწათმოქმედებასთან ერთად ძველი ნამშენებლები მისდევდნენ მესაქონლეობას, აგრეთვე მეთევზეობას და ნადირობასაც. ნაპოვნია დიდი ძალი კერამიკული ტარა, რომელშიც ინახავდნენ მარცვლეულს, თევზს, ქონს და ა. შ.

სხვათა შორის, ავტორები დაინტერესდნენ მაშინდელი სამხარეულოთი და, რაც მეტად საგულისხმოა, აღწერეს კერძების დამზადების ტექნოლოგიაც. მათვე შენიშნეს განათხარ მსალაში სამხარეულო ინვენტარის სიმცირე. ეს თითქოს არ შეეფერება განთქმული კოლხი კულნარების სახელს, მაგრამ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ მარტივი რაციონალური საშუალებებით მაღალი მიღწევები ძატერიალური წარმოების ყველა სფეროში ჩვენი წინაპრების მდიდარი ჩვევა-გამოცდილების შედეგი იყო.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნამშენებელთა მელითონეობას. ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობდა რეგიონში არსებული მდიდარი ტრადიციები. ავტორთა საფუძვლიანი დასკვნით, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ძვ. წ. II საუკუნემდე ნედლეულის მოპოვება, ლითონის ჩამოსხმა, მისგან ინვენტარისა თუ საბრძოლო იარაღების დამზადება იყო ნამშენებლის ბორცვზე და მის არეალში მცხოვრებ ხელოსანთა ჩვეულებრივი საქმიანობა (გვ. 28). კოლხური რკინა, განსაკუთრებით ფოლადი, იხმარებოდა არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, არამედ ვაჭრობდათ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მახლობელ აღმოსავლეთში და ეგეოსურ სანაყაროში.

ნაშრომში აღწერილია მოსახლეობის სავაჭრო საქმიანობაც. გაირკვა, რომ ნამშენებლები, როგორც ჩოლოქ-ოჩხამურის შუამდინარეთის სათაო დასახლება, ასრულებდა მორგანიზებულ როლს არა მარტო ნედლეულით რკინის სადნობი წარმოების უზრუნველყოფაში, არამედ თვით მეტალურგიის პროდუქციით ვაჭრობა-ექსპორტში. სწორედ ამან განსაზღვრა ნამშენებლებზე ადგილობრივი მსხვილი ფასახლების წარმოშობა, აგრეთვე მოგვიანებით მის მიდამოებში ბერძნული თემის გაჩენაც, რამაც გაააქტიურა ანტიკური სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა.

ლითონის გარდა, ნამშენებლებმა მოსახლეობა საფეიქრო ნაწარმითაც ვაჭრობდა. მართალია, ავტორთა განკარგულებაში ძალზე მწირი ცნობებია ფეიქრობის, როგორც ხელოსანობის დამოუკიდებელი დარგის, არსებობის შესახებ, მაგრამ გათხრებით მოპოვებული მასალა ადასტურებს საფეიქრო ნაწარმის გამოყენებას აფრების, ტანსაცმლის, ბადეების, თოკების დასამზადებლად და, შესაძლოა, სავაჭროდაც.

ცხადია, საშინაო და სავაჭრო ვაჭრობა მოითხოვდა შესაბამის გზებსა და კომოსკლის საშუალებებს. ნაშრომში ამ საკითხებზეცაა საუბარი. ძველი ნამშენებლები საბმელეთო გზასთან ერთად სამიმოსკლოდ მდინარითაც სარგებლობდნენ. მთლიანი მორიგან ამოჭრილი სწრაფი ნაგებობით ისინი ზღვაზეც გადიოდნენ. ავტორთა ვარაუდით, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდევნიდან საქარავნო ვაჭრობაში, განსაკუთრებით ლითონის ნაწარმის ექსპორტისას საქაპანო ტრანსპორტსაც იყენებდნენ.

მაშასადამე, სარეცენზიო ნაშრომით ჩანს ნამშენებლის ძველი მოსახლეობის ცხოვრების დიდად წინსვლა. ეს კი მოითხოვს მისი სოციალ-პოლიტიკური წყობის ფორმირების

სა და ხასიათის დადგენასაც. ავტორებმა ამ საკითხზეც გაამახვილეს ყურადღება და მოპოვებული მასალის ანალიზით დაასაბუთეს, რომ აქაურ მოსახლეობაში ჩასახულია ქონებრივი დიფერენციაცია, იგრძნობა სოციალური უთანასწორობაც. (გვ. 31).

ასეთია სურენციო ნაშრომში განხილულ საკითხთა წრე. ჩანს, ავტორებმა არა მარტო გარკვეეს ნამკედურის ბორცვის ძველი დასახლების ხასიათი და მისი ქრონოლოგიური ჩარჩო, არამედ, რაც მთავარია, არქეოლოგიური მასალით სრულად ადადგინეს აქაური მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-ცხოვრების შთამბეჭდავი სურათი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ არა გვაქვს წერილობითი წყაროები, რომლითაც მოხერხდებოდა ძვ. წ. II-I ათასწლეულში ჩვენი წინაპრების ცხოვრების რომელიმე სფეროს საფუძვლიანი შესწავლა. ამიტომ სრულიადაც არ იქნება ვადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ თ. მიქელაძისა და დ. ჭახუტაიშვილის წიგნი „ძველყოლბური ნაშთსახლარი — ნამკედური“ ნათელს ჰფენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბურჟუას მოცულ უძველესი ისტორიის მრავალ კარდინალურ საკითხს და მით ავსებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებულ დიდ ნარევს.

საკვლავი

წიგნი მოგვითხრობს აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მეცნიერული შესწავლისათვის. მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე არც აჭარაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები დარჩენილან. კერძოდ, აჭარის აფხაზებზე მოგვითხრობს აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გალინა კოპეშვიძის ნაშრომი „აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა კულტურა და ყოფა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“, რომელიც გამოცემლობა „მეცნიერება“ დასტამბა 1985 წელს რუსულ ენაზე.

ნაშრომის შესავალში წერილობითი წყაროების საფუძველზე შესწავლილია აფხაზთა აჭარაში დასახლების ისტორია, მოსახლეობის შემადგენლობა. ავტორი წერს, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზები არიან შთამომავალნი იმ მუჰაჯირებისა, რომლებიც ძალად იქნენ გასახლებულნი აფხაზეთიდან თურქეთში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, წიგნში საინტერესო მასალებია მოტანილი აფხაზთა აქტიური მონაწილეობის შესახებ რევოლუციურ მოძრაობაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

წიგნის პირველ თავში დახასიათებულია აჭარის აფხაზთა სამეურნეო ყოფა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნეფეტურება, მეაბრეშუმეობა, ნადირობა და მეთევზეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა). დეტალურად არის აღწერილი მიწის დამუშავების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტყავის ნაწარმის დამზადების, ხის, ქვის, ლითონის, რქის დამუშავების ხალხური წესები. სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შრომის ორგანიზაციის ფორმები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გარკვეულია, რომ აჭარის აფხაზთა სამეურნეო ყოფის ძირითად საფუძველს მიწათმოქმედება წარმოად-



გენდა, მეურნეობის სხვა დარგები კი დამხმარე მნიშვნელობისა იყო. ყურადღებას იქცევს ნაშრომში მოტანილი მასალები შემინდვრობასა და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ხალხური კალენდრის შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა სამუშაოთა დაწყება-დამთავრების რეგლამენტს.

შრომის მეორე თავში შესწავლილია აჭარის აფხაზი მოსახლეობის ტრადიციული მატერიალური კულტურა. ავტორი განსაზღვრავს და აღწერს საცხოვრებელი სახლის ტიპებს, კერისა და ცეცხლის კულტს, დამხმარე სამეურნეო ნაგებობებს, მშენებლობის ხალხურ წესებს და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. აქვე ვეცნობით მასალებს ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობაზე. დახასიათებულია ყოველდღიური, გამოსასვლელი და საქორწინო ტანსაცმელი, რაც გამოირჩევა რიგი ორიგინალური თავისებურებებით. ვრცლად არის აღწერილი აფხაზური კერძები და მთლიანად ხალხური სამზარეულო. ნაჩვენებია მცენარეული, ხორცეული. და რძის კერძების დამზადების ხალხური ტექნოლოგიური ცოდნა-ჩვევები, რაც დღესაც ინარჩუნებს პრაქტიკულ ღირებულებას. საკუთრივ აფხაზური კერძების გვერდით დახასიათებულია ნასესხები აღმოსავლური კერძები.

მესამე თავში განხილულია აჭარის აფხაზთა ტრადიციული საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის საკითხები, როგორცაა სოფლის თემი და მისი სტრუქტურა, მიწათმფლობელობის ფორმები, ადმინისტრაციული მმართველობა, სასამართლო წარმოება. საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დადგენილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პატარა ოჯახების გვერდით არსებობდა დიდი ოჯახებიც, სწორად არის ახსნილი დიდი ოჯახის დაშლის მიზეზები: საუბარია შიდასაოჯახო ურთიერთობაზე, შრომის დანაწილებაზე სქესობრივ-საკობრივი ნიშნის მიხედვით წლიურ სამეურნეო ციკლში, ოჯახის უმცროსი მამაკაცისა და ოჯახის უფროსი ქალის ფუნქციებზე ოჯახის მმართველობაში, აქვე ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები საქორწინო ურთიერთობაზე, რაზეც კარგად ჩანს აგრეთვე ქართული საქორწინო წეს-ჩვეულების გავლენა. გარკვეული ადგილი ეთმობა ბავშვთა დაზარალებასთან და აღზრდასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, ნათესაური სისტემის, პირველ რიგში სისხლით ნათესაობისა და ხელოვნური დანათესავების დახასიათებას.

მეოთხე თავში შესწავლილია ტრადიციული სულიერი კულტურა, კერძოდ, მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მაგიური წეს-ჩვეულებები, მიცვალებულის დატირებისა და დაკრძალვის ცერემონიები.

აქვე მკითხველი ეცნობა ხალხური მკურნალობის (დამწვრობა, მოტეხილობა, ჭრილობა) და წამლების დამზადების რეცეპტურას, რაც დღესაც არ კარგავს თავის პრაქტიკულ დანიშნულებას. აღწერილი და გაანალიზებულია აჭარაში მცხოვრები აფხაზების სიმღერები და ცეკვები, ანდაზები, გამოცანები, ლექვნიები და თქმულებები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ აფხაზი ხალხის მდიდარ სულიერ კულტურაში.

მომდევნო თავში დახასიათებულია თანამედროვე ყოფა და კულტურა. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეტად თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა აჭარაში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში, მათ შორით დასაქმებაში, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში. წიგნში კარგად არის ნაჩვენები თუ როგორ შეძლებულად ცხოვრობენ დღეს აჭარის აფხაზები, რომლებიც სხვა ხალხთან ერთად ხელიწინააღმდეგეული დაუღალავად შრომობენ აჭარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. წიგნში მოტანილია შესაბამისი კონკრეტული მაგალითები, სტატისტიკური და დემოგრაფიული მანკინებლები. მკითხველი ინტერესით ეცნობა იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა აფხაზებით დასახლებული სოფლების განაშენიანებაში, პირველ რიგში, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა დაგეგმარებაში.

წიგნში აფხაზთა ყოფისა და კულტურის შესახებ სხვა ბევრი საინტერესო მასალაც გვხვდება. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო მეტი უნდა თქმულიყო აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის არსებულ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობასა და მის შედეგებზე, უფრო ფართოდ უნდა გაშუქებულიყო აჭარის აფხაზთა და საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზ მოსახლეობას შორის ტრადიციულად არსებული კონტაქტები. გვხვდება ბევრი უცხო წარმოშობის ტერმინი, რომელთა ნაწილის შეცვლა შეიძლებოდა აფხაზური შესატყვისობით.

ამ შენიშვნების მიუხედავად გ. კოპეშვიდის წიგნი „აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ყოფა და კულტურა“, რომელიც ემყარება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემებს, საარქივო, ძირითადად კი ავტორის მიერ შეკრებილ საველე ეთნოგრაფიულ მასალებს, კარგად შეფასებეს იმსახურებს. იგი პირველი სერიოზული ცდაა აჭარაში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობის ტრადიციული და ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევაში.

ნოდარ კახიძე,
თეიმურაზ ანუშბა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები.

«მე ასე ვფიქრობ»

ასე ეწოდება ლექსების წიგნს, რომელიც ახლახან გამოცა „მერანმა“. მისი ავტორია სულიკო დიასამიძე, რომელიც კარგახანია იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

თბილისის მკვიდრი და გულმხურვალე მამულიწვილი, ს. დიასამიძე ავმა სენმა სარეცელს მიაჯაქვა, მაგრამ არ შეურიადა მძიმე ზედღრს. მისი მხნეობა სამავალითოა ყველასათვის.

„სულიკო დიასამიძის ლექსებს სამშობლოს სიყვარული ასულდგმულებს“ — სავსებით სწორადაა ნათქვამი მისი წიგნის ანოტაციაში.

შენი სიყვარულით ანთებული,
გადიდებ,
გაქებ და გიშდერი,
მიყვარხარ,
მიყვარხარ სავხე გულით,
ახე ზვაიანი, მზისფერი...

სხვა ლექსში ეს სიყვარული ასეა გამოხატული
შენი ზეცის სიღურჯე,
შენი მიწის სიმწვანე,
ჩემი ლექსის სათავედ
და სიცოცხლედ ვიწამე,

და შენდებ:

შენი ტაძრის ჩუქურთმა
სულში ამოვიკვეთი.

გულს მიხარებს მე შენი სიუხვე და სიკეთე.

ავტორმა იცის, რომ არც ეს ჩუქურთმა, რომელსაც იგი ასე ევლება თავს და არც ეს „სიუხვე და სიკეთე“ თავისით არ მოსულა და რომ ყველა ეს გამრჯე კაცის შრომისა და წყის ნაყოფია.

თუ ხარ ნამღვილი
მამულის შვილი,
სიახლოც და ოფლიც
უნდა დაღვარო,
საკუთარ თვალით
უნდა იხილო,
სხვასაც აჩვენო
ვრცელი სამყარო.

აწმყოს გვერდით პოეტი წარსულსაც უხდის ხარკს. ასეთ ლექსთა შორის „დიდ-გორის ზარში“ კეთილშობილი:

რევას წარსული —
დიდგორის ზარი,
ხულში იღვრება
სითბო და სიტკბო,
გუგუნებს ზარი
და ვით მთის ქარი,
გულიც საშენო
სიმღერებს ითხოვს.

ფიქრი და ოცნებაა პოეტის ყოველწამიერი თანამდგომი და უტყუარი მეომარი. ერთსაც და მეორესაც ეთაყვანება იგი და ლექსებსაც კი ასე ასათურებს: „მე ასე ვფიქრობ“, „ოცნება“ და სხვა.

ფიქრი ცხენსა ჰგავს
უბელოს,
ოცნება სად არ
გატარებს,
ხელით ეხები
ვარსკვლავებს —
ერთი შეხედვით
პატარებს,
მზე გაგიღიმებს
ცხრათვალა,
შენც ღიმილს დაესხებო,
და გულიხკარის გაღებას,
ცდილობენ შენი
ლექსები.

ეს ლექსები მამულოშვილის გულწრფელი სიმღერაა ჩვენი ქვეყნის წინსვლაზე, ბუნებაზე, ახალგაზრდობაზე, შრომისა და ცხოვრების მრავალ სხვა ასპექტზე.

მამია კოხანიძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.



დაკარგული გვირგვინი

სათაო პარკსაშრობის უფროსს, ბატონ ანთიმოზს, დაბადების სამოც-
დაათი წელი უსრულდებოდა, მართალია, სამოცდახუთი წლისთავი გადა-
ხდილი ჰქონდა, მაგრამ მრგვალ თარიღს უფრო დიდ მნიშვნელობას ანი-
ჭებდა, 70-ს რაღაც განსაკუთრებულ რიცხვად თვლიდა და, რაც მთავარია,
თავზე დაფნის გვირგვინის დადგმა უნდოდა. თუმცა იუბილეს გადახდის
საკმაო გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მაინც ბევრს ფიქრობდა, ის ღამეც
ფიქრებში გაატარა. მაგრამ იმ დასკვნამდე მაინც ვერ მივიდა, საკუთარ
იუბილეს თვითონ რატომ იხდიდა და მასში ზემდგომი ორგანოები რატომ
არ მონაწილეობდნენ... თუმცა ფიქრის დროც აღარ იყო. ანთიმოზის
მრგვალი თარიღი მეზობელი სადგურიდან გამოსული მატარებელივით
ახლოვდებოდა.

სამსახურში ანთიმოზი თვალეგაბრწყინებული წავიდა, როგორც კი
წვითა და ღვევით მოპოვებული კაბინეტის კარი შეაღო (კა-
ბინეტი ვის არ უყვარს, ანთიმოზს რომ არ ყვარებოდა), საზეი-
მო საქმეების სპეციალისტი — თავისი მოადგილე თადეოზი იხმო.
მოადგილე კაბინეტში ისე მორიდებულად შევიდა, ბატონ ანთიმოზს
თითქოს არაფერი გაუგია, თადეოზს მოსწყინდა ტყუილად ღგომა და ჩაახ-
ველა. „ავადმყოფებს არ ვღებულობ, ექიმი არ ვარ მეო!“ — გაბრაზდა ანთი-
მოზი, მაგრამ თადეოზის თვალებს რომ შეხედა, სახეზე ღიმილი გადაეფა-
რა და საქმის ვითარება გააცნო. მოადგილე რის მოადგილე იყო, ყოველი
მისი სიტყვა ხარბად არ მოესმინა და თავი არ დაექნია. ამით უსიტყვო
თანხმობას გამოთქვამდა, ბატონი ანთიმოზი კი ჭაღარა უღვაშეებში იღიმე-
ბოდა.

— ამხელა თარიღი მომიახლოვდა და უფროსებს ერთხელ არ გავახსენ-
დითო! — სინანულით თავი გააქნია ბოლოს უფროსმა.

— ნახავთ, თუ არ გაახსენდებით, — დამშვიდა მოადგილემ.

ისე თქვენ ყველაფერი კარგად ავიხდათ, როგორც თადეოზის სიტყვები
ახლა, — ანთიმოზი სასწრაფოდ იხმეს ზემდგომ ინსტანციებში, მეტად მნი-
შვნელოვან საქითხზე უნდა მოგეთათბიროთო.



„ჩემს იუბილეზე მნიშვნელოვანი მაგათ სხვა რა უნდა ჰქონდეთ“
 გაიფიქრა ანთიმოზმა და დანიშნულ ადგილას გასწია.

თანამშრომლებმა მარჩიელობა დაიწყეს. ზოგი ამბობდა აწინაურებენო, ზოგმა, რა დროს მისი დაწინაურებაა, საფლავის მიწაზე უნდა ზრუნავდესო. ზოგმა ისიც თქვა, იუბილეს ზემდგომი ორგანოები უხდიანო, მაგრამ მწარე სიმართლე ანთიმოზის გარდა პრაკინ იცოდა: საკუთარი სურვილით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სათაო პარკსაშრობის უფროსი ყოფილი უფროსი გახდა...

ზურაბ ჩხიკვაძე

გასულ ორ თვეში

უგვხვდნენ ყრილობის დელეგატებს

პროფკავშირების კულტურის სახლში ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობამ დღევიზით „პარტიის საქმის ვართ ერთგულები“ შეხვედრა მოუწყო სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებს — ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშას ლეილა დიასამიძესა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მუშას მერი აბაშიძეს.

№ 4 საშუალო სკოლის ოქტომბრელებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული მონტაჟი, ხოლო კულტურის სახლის ბავშვთა თვითმომქმედმა კოლექტივებმა გამართეს კონცერტი.

პროფკავშირების კულტურის სახლის სახლსო კინოსტუდია „იბერიამ“ გადართულ კინოფილმი „მოგითხრობთ დელეგატებზე“.

ყრილობის დელეგატები გაეცნენ ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობის განყოფილების საქმიანობას.

ანსაგული 60 წლისაა

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახალღეში გაიმა-

რთა აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის საქართველოს სსრ დამსახურებულნი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იუბილარ ანსამბლს მიესალმა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადასცა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის შუახვევის რაიკომის პირველი მდივანი ი. ზიმშიაშვილი, სახალხო დეპუტატთა ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. გოგიაშვილი, პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ო. მუჟაფანაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის სამმართველოს უფროსი გ. კოკოვეი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი ჯ. ჭკუასელი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი კ. თარბა, ანსამბლ „გორდას“ სამხატვ-



რო ხელმძღვანელი ბ. სვანიძე, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის დირექტორი ა. ხარაზი, პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექტორი რ. ბოლქვაძე, ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი, აჭარის პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ვ. გოგია, სამხედრო მოსამსახურე ვ. რიბაჩუკი, ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი ზ. ლაზიშვილი, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. მიქელთაძე, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი დ. ხინიკაძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი თ. მელაძე, მოსწავლე ლ. იმნაძე, აჭარის ასსრ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. საგინაძე.

ცალკეულმა მხატვრულმა კოლექტივებმა და სოლისტებმა შესრულეს სიმღერები და ცეკვები.

დასასრულ გაიმართა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საიუბილეო კონცერტი.

* * *

გაზეთმა „პრავდა“ ანსამბლის იუბილეს მიუძღვნა ვ. მერცალოვის წერილი „მარადიული წყარო“, რომელშიც ქებითაა მოხსენიებული აჭარის ანსამბლის მიერ შესრულებული „ცეცხლოვანი ცეკვები, მოხდენილი საცეკვაო კომპოზიციები, სიუიეტები, პოლიფონიურა მრავალხმიანი სიმღერები, მომხიბლავი მელიოდიები“.

ხულოლ მოსწავლეთა სტუმრები

ხულოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ ქართველ მწერალს, გაზეთ „ლიტერატ-

ურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს.

რაიონის კულტურის სახლში გამართული შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა.

ვახტანგ ჭელიძის შემოქმედებაზე, კერძოდ, მის „ქართლის ცხოვრების ქრონიკაზე“, მთარგმნელობით მოღვაწეობაზე დამსწრეთ ესაუბრა უფროსი „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე პოეტი თედო ბეიშვილი.

ვახტანგ ჭელიძემ უპასუხა დამსწრეთა მრავალ შეკითხვას და დასასრულ სკოლის საჩუქრად გადასცა თავისი ახალი წიგნები.

ღია პაკვეთილზე

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურის საშუალო სკოლის VII კლასში ჩატარდა ქართული ლიტერატურის ღია ვაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ მწერლები მამია ვარშანიძე, შოთა ზოიძე და ჭემალ ქათამაძე.

ვაკვეთილის თემა იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის „არ დაიდარლო, დედაო!“, მასწავლებელმა ზეინაბ შერვაშიძემ გამოიყენა მასალა — გიორგი ლეონიძის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, ფირზე ჩაწერილი პოეტის ხმა.

მამია ვარშანიძემ დამსწრეთ გაუზიარა თავისი მოგონებები დიდ პოეტზე.

ვაკვეთილის შემდეგ პოეტებმა მამია ვარშანიძემ, შოთა ზოიძემ და ჭემალ ქათამაძემ წაიკითხეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები.

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დოც.



ენტ ჭემალ ნოლიადელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ხახუტაიშვილმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები ნ. სურბავა, ე. ზოიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კახიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ქამადაძე.

ძარტველი მწერლის დღე

ბათუმის № 8 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ინგა გოგიბერიძის ინიციატივით ტრადიციულად აწყობენ „ქართველი მწერლის დღეს“.

ამჯერად ახალგაზრდებმა ეს დღე დავით კლდიაშვილს მიუძღვნეს, მოსწავლეებმა ჭერ ყვავილებით შეამკეს დიდი ქართველი მწერლის ბიუსტი და გამართეს სახელდასხელო მიტინგი, შემდეგ ზეიმმა სკოლაში გადაინაცვლა, მოსწავლეებმა წაიკითხეს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, ქართველი პოეტების ლექსები.

გამოფენა მკობულეთში

კულტურის რაიონულ სახლში გაიხსნა ქობულეთში მომუშავე მხატვართა გამოფენა.

დაშთვარიელებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რ. ინასარიძის, ზ. ფალავას, ე. ვერულაძის, მ. ნოლიადელის, მ. დანილოვას და სხვათა ნამუშევრებმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე თვითნასწავლი მხატვრის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის მ. ფალავას ნამუშევრები.

ზლაგოვეგრადის საოკრუგო გაზეთ „პირინსკო დელოს“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ბათუმელი მწერლის ვახტანგ ახვლედიანის მოთხრობა „ორი დიდი დღე“.

ეს მოთხრობა ჭერ უშრნალ „ქორობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად მიაწოდა მკითხველს გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“. ნაწარმოები ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მოთხრობა ასახავს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის აჭარაში ყოფნის დღეებს.

„საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა

აჭარის განთავისუფლებისა და დედასაქართველოსთან შემოერთებისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს მემედ აბაშიძეს. ეს მისი დამსახურებაცაა, რომ დღეს აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ქართველი ხალხი მუდამ სიყვარულით იგონებს დიდი მამულიშვილის სახელს. თბილისსა და ბათუმში ფართოდ აღინიშნა მისი დაბადების 110 წლისთავი, გაიმართა საიუბილეო საღამოები. ამ საღამოებზე გამოსულთა სიტყვები გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ ცალკე კრებულად დასტამბა. კრებულს „მამულიშვილი“ ჰქვია.

წიგნში შეტანილია ვრიგოლ აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ლადო სულაბერიძის, იროდიონ ქავუარაძის, ილია რურუას, ვახტანგ გორგანელის, იური სისარულიძის, ფრიდონ ხალვაშისა და სხვათა სიტყვები და ლექსები.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, სხატვარი — ა. ლომაძე.


„წითელი თოვლი“ ჰქვია ჯემალ ქათამაძის ახალი ლექსების წიგნს.

კრებულში შეტანილია ლირიკული პოემა „წითელი თოვლი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ავტორის წინათქმა: „დიდი დრო გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. თითქოს მოშუშდა მძიმე იარა, მაგრამ სახლში დღემდე ვინახავთ ჩემი ძმის მძიმე პროტეზებს,

როგორც ომის პროტესტს, როგორც საშინელ დღეთა ცოცხალ სურათსა და გახსენებას“.

ომისა და მშვიდობის, სიყვარულისა და სიძულვილის, ერთგულებისა და თანდგომის მოტივები მეტნაკლები სიმპაფრით არის წარმოჩენილი ლექსებში და პოემაში.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვარი თ. დარჩია.



გარეკანის 1-ლ და მე-2 გვერდებზე—რეპროდუქცია მხატვარ ნინო ნიჟარაძის ნამუშევრებისა „თეთრი როიალი“ და „თოჯინა დათა“ (იხ. ნომერში წერილი „ძაღლი ნიჭისა“).

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

6120/123

საქართველოს
ბიბლიოთეკის
სამეცნიერო ცენტრი

№ 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Ч О Р О Х И“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118